


154759



საქართველოს მთავრობის დოკუმენტები



19. მ. 28

საქართველოს
მთავრობის
დოკუმენტები



«Դյանտե» օդույթո. 1773

413d3. Տիկի

2012

-223

~~პლატონი იოსელიანი~~



ლილი
მოქანაფი
ჭიორჭი
სააკაძის
ცხოვრება

კირკელი



2000-2007 დაცვითი გამოცემა

9 (b41)

9 (47 . 922)(092 სააკედე 3.)

0 724



9 (c. 922) „15.8% - 16 30”

1) შავიძე, გრიгорი 1582 - 16 30

2) სამხედრო ასტრონომი ვ-172

თარგმანი რუსულიდან
გიორგი თარხნიშვილისა

206201 გამოცემა

სამხედრო ასტრონომი

სპეც-2000
გეგმოგეგმვების

7—3—3—79
M 604(08)—73

1995-09-26
P 309-5000

კლატონ იოსელიანის „დიდი მოურავი გიორგი სააპაშის ცხოვრება“.

„მე მაინც არ დავსუსტდები ჯერისამებრ შეწევნისა ჩემისა ქვეყნისა კეთილობისათვის. ესე ვალი არის ბუნებისა თანა-შეკრული და ვონებისაგან მოსათხოველი მარად და მარად, ტომელსაცა ვერა სძლევს ვერცა შური და მტერობა, ვერცა ლულგა ენებათა“.

მჲ. იოსელიანი.

საუკუნე-ნახევარზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისში, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის სტამბაში მეტად მცირე ტი-რაეით რუსულ ენაზე დაიბეჭდა ცნობილი ქართველი სწავლულის პლატონ იოსელიანის მონოგრაფია: „დიდი მოურავი გიორგი სააპაშის ცხოვრება“.

ავტორს ეს წიგნი გიორგი სააპაშის შთამომავლის რამაზ დიმიტრის ძე თარხან-მოურავის დაკვეთით დაუწერია, რომელიც, ეტყობა, ძალიან დაინტერესებულა თვისი დოდი წინაპრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობით.

თუ გავითვალისწინებთ ქართული სტორიოგრაფიის განვითარების იმდროინდელ დონეს, როდესაც საქართველოს ისტორიის მეცნიერული ჟურნალები ჯერ კიდევ სათანადო არ იყო შემუშავებული, წერილობითი წყაროები კი შეჯრებულ-შემოწმებული, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიძნელეებთან უნდა ჰქონოდა საქმე მონოგრაფიის ავტორს, როდესაც იგი მისთვის ესოდენ საპატიო ამოცანას ასრულებდა.

მიუხედავად ამისა, ავტორმა სძლია სიძნელეებს, თავი წარმატებით გაართვა საქმეს და ქართულ საისტორიო მეცნიერებას პირველი მონოგრაფიული ნაშრომი შესძინა, XVII საუკუნის საქართველოს მღელვარე ისტორიის გმირთა გმირის, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის გიორგი სააპაშის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

მონოგრაფიის ავტორი გასცნობია არსებულ ლიტერატურას, ქარგად შეუსწავლია: ქართული, სომხური, სპარსული, თურქული,

გერმანული, ფრანგული და სხვა წყაროები და ისინი გამოცემულია თავის ნაშრომში.

ავტორისათვის ძირითადი წყარო კი მაინც XVII საჟურნალო გამოცემისათვის მოჩენილი პოეტის იოსებ თბილელის ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“ უნდა ყოფილიყო, ამას იგი ორცა მალავდა. „დიდმოურავიანის“ გამოცემის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ესე პოემა იოსებ თბილელისა მაქვნდა ხელთ-მძღვანად მას უამსა, ოდეს თხოვნითა და სურვილითა პოდპოლქოვნიყის, თავადის რამაზ დიმიტრის ძე თარხანოვისა, შევადგინე რუსულსა ენასა ზედა ცხოვრება დიდისა მოურავისა გიორგი სააკაძისა!“¹.

ცნობილია, „დიდმოურავიანის“ პირველი გამომცემელი პლ. იოსელიანი იყო. მასვე ეკუთვნის ფარსადან გორგიგანიძის თხზულების ხელნაწერის. აღმოჩენაც.

რა თქმა უნდა, ამ ორი თხზულების ხელნაწერის შესწავლასა და გამოკვლევას, მათი ავტორების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლაც თან ერთვოდა.

პლ. იოსელიანი ფიქრობდა, თითქოს „დიდმოურავიანი“ ფარსადან გორგიგანიძის „ისტორიას“ ემყარებოდეს.

ასეთი მოსაზრება მხოლოდ გაუგებრობის შედეგია.

ყადა. ივ. ჭავახიშვილმა და პროფ. ს. კაკაბაძემ ექვმიუტანლად დაამტკიცეს, რომ ფარსადან გორგიგანიძემ თავისი თხზულება „ისტორია“ 1685—1694 წლებში დაწერა². ფარს. გორგიგანიძე კი თვითონვე გვამცნობს, რომ თხზულების დაწერა 1694 წლისათვის დაუმთავრებია³. გიორგი ლეონიძე სამართლიანად წერდა: „გადაჭრით უნდა ითქვას, რომ იგი („დიდმოურავიანი“, ვ. ს.) ყველაზე უადრესი ნაწარმოებია. იგი წინ უსწრებს ფარსადან გორგიგანიძის ისტორიას.“

რასაკვირველია შეუსაბამოა პლატონ იოსელიანის სიტყვები: „დანარჩენი ისტორიკოსები, განსაკუთრებით კი თბილელი მიტრო-

1 დიდმოურავიანი თქმული სააკაძის-ძის იოსებ თბილელისაგან დამატებით სხვათცა მისთა თხზულებათა, თბილისი, 1851, წინასიტყვაობა.

2 ივ. ჭავახიშვილი, ძევლი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 286. ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიგანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, 1925, გვ. 206.

3 გ. ლეონიძე, „დიდმოურავიანის“ 1939 წ. შესავალი წერილი, მისივე ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1949 წ., გვ. 53, მისივე გამოკვლევები და წერილები, 1959 წ. გვ. 118.

პოლიტის (იოსებ თბილელზეა ლაპარაკი) მოთხრობა გორგიგანიძის მიერთვა
თხზულებას ეყარება¹.

მართლაც იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ 1681 — 1688
წლებშია დაწერილი, ფ. გორგიგანიძის „ისტორია“ კი 1685 — 1694 უ
წლებში. თუ რაიმე გავლენაზე შეიძლებოდა მსჯელობა ისე კი არა,
როგორც პლ. იოსელიანს ეგონა, არამედ პირიქით არის საფიქრე-
ბელი.

პლ. იოსელიანის მეორე მნიშვნელოვანი ლიტერატურული წყა-
რო ქართლის მეფე ერეკლე პირველის შვილის მარიამ (მაკრინე)
ბაგრატიონის საისტორიო თხზულება უნდა ყოფილიყო, სადაც სა-
ქართველოს XVII საუკუნის ისტორია ყოფილა გადმოცემული. V
ავტორს მასზე „მოწოდება კახთაღმი“ დაურთავს.

პლ. იოსელიანისათვის რომ მარიამის საისტორიო თხზულება
გორის უგანათლებულეს მღვდელთმთავარ ნიკიფორეს გადაუცია,
ამის თაობაზე იგი თვითონ გვაწვდის საამისო ცნობას. იოსელიანს
ამ თხზულებიდან საქმაოდ ჰარბად უსარგებლია², მას თავის მონო-
გრაფიაში ისეთი ცნობები მოაქვს, რომელთაც არც ერთი სხვა ქარ-
თული საისტორიო წყარო არ იცნობს. მაგალითად, გიორგი სააკაძის
ორი წერილი: ერთი ზურაბ არაგვის ერთსთავისადმი მიწერილი:
„ნუგზარის სიკვდილი ხალხის უბედურებაა. ოლარ არის რეინის ხე-
ლი, რომელიც სამეფოს მყუდროებას იცავდა. ოლარა გვყავს ბელა-
დი, მთელი ხალხისა და პირადად ჩემი იმედი. შენი ძმა ბააღური,
რდემელიც არაგვის საერისთაოს გამგებლად დარჩა, სულითაც და
ხორციაც უსტირა. შენ კი, საყვარელო შეილო ზურაბ, ჩემო აღზრ-
დილო, ყრმობიდან სამხედრო საქმეებისათვის მწიფდებოდი. მოდი
ჩემთან, ეახლე დიდ შაჟს და მის საპატიო ტახტით აღიჭურვე სა-
ერისთაოს გამგებლის წოდებით და უფლებით³; და მეორე ქართ-
ლის კათოლიკოსისა და ეპისკოპოს პართენისადმი, რომლებსაც

¹ გ. ლეონიძე, „დიდმოურავიანის“ 1939 წ. შესავალი წერილი, მისვე ძე-
ბანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1949 წ., გვ. 53, მისვე გამოკვლე-
ვები და წერილები, 1959 წ., გვ. I—V.

² ეს გარემოება უნდა ყოფილიყო ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ მარიამ
ბაგრატიონის თხზულება პლ. იოსელიანმა არ გამოაქვეყნა, ხოლო მისი სიკვდი-
ლის შემდეგ ეს ხელნაწერი მთელ მის არქივთან ერთად საღლაც გაქრა და ჩევანმ-
დე ვერ მოაღწია.

³ პლ. იოსელიანი, დიდი მოურავი, გიორგი სააკაძის ცხოვრება; 1848, გვ. 39.



ქართლის აგანყების თავისი გეგმა გაუმხილა და მოუწოდა ქართლის
ეკლესიას ამ აგანყებისათვის მხარი დაეჭირა.

ამავე თხზულებიდან პლ. იოსელიანს მოაქვს სხვა საინტერესო
ცნობებიც გიორგი სააკაძის 1605 წელს ირანში ყოფნის შესახებ
და სხვა, ხოლო დიდი მოურავის დვალეთში ლაშქრობის თაობაზე
იგი პირდაპირ წერს: „ამ ლაშქრობის აღმწერი ისტორიკოსი მის
გმირთა შორის ასახელებს პაპუნა ვაშაყაშვილს, თავად თამაზ მაჩა-
ბელს, თამაზ ქარციძეს და მოურავის მსახურს ვარად ინაშვილს. პირთაგან თამაზ მაჩაბელი სსრით მოჰკლეს. მოურავმა საუკეთესო
ამხანაგი დაჰკარგა“¹.

მართა ბაგრატიონის თხზულებიდანვე უნდა იყოს ამოდებული
თბილისის მიტროპოლიტ დიონისეს, ეპისკოპოს ტრიფილეს და გი-
ორგი სააკაძის შეხვედრა დაბა მუხრანში და მათი საუბარი და სხვ.

ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილი არ არის, პლ. იოსელიანი იც-
ნობდა თუ არა შაპა-აბას დიდის ისტორიკოს ისქანდერ მუნშის
თხზულებას (XIX საუკუნეში და შემდეგაც მისი მხოლოდ ხელნა-
წერი მოიპოვებოდა), მაგრამ მას გერმანელი აკადემიკოსების: ბ.
დორნისა და ერდმანის მიერ გადმოწერილი ტექსტით ფრდა ესარგე-
ბლა და უსარგებლია კიდეც. ის კი ფაქტია, რომ პლ. იოსელიანი ის-
ქანდერ მუნშის ისეთ რამეს მიაწერს, რაც მას თავის თხზულებაში
ნახსენებიც კი არა აქვს. იგი წერს: „სპარსელი ისტორიკოსი ისქან-
დერ მუნში, შაპა-აბას დიდის თანამედროვე, დიდი ქებით მოვითხ-
რობს საქართველოში ლაშქრობის დროს დიდი მოურავი გიორგი
სამართლის გმირობას“².

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ისქანდერ მუნში არსად ამბობს,
რომ გიორგი სააკაძე შაპა-აბასს საქართველოში ლაშქრობის დროს
ხლებოდეს. სპარსელი ისტორიკოსი, პირიქით, გიორგი სააკაძეს აქ-
ებს კი არა, დიდად უკმაყოფილო, რადგან მიუხედავად იმისა, რომ
„მისმა უდიდებულესობამ, მოწყალე და შემწყნარებელი ბუნების
შემანებელი შაპა-აბას რომელიც დიდად აფასებდა ერთგულ მსახურთ... სი-
მონი, რომელიც ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, იმ ვილაეთის (ე. ი.
ქართლის, ვ. ს.) მართველობის ბოძებით აღამაღლა მამის (ბაგრატ
მეფის, ვ. ს.) აღგილზე და საპატიო ქართველთაგან მის ვექილად და

1 პლ. იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება; 1848, გვ. 50.

2 პლ. იოსელიანი, იქვე, გვ. 86.

ხელმძღვანელად დანიშნა მოურავ-ბეგი (გიორგი სააკაძე, ვ. ს.), რო-
მელიც მუსულმანად აცხადებდა თავს და ირანის ერთგულ და სანდო
ადამიანად იყო მიჩნეული... დროისა და გარემოების მიხედვით აღი-
არებდა ისლამს და ხელი არ აუღია ქრისტიანობის რჯულზე, ბორო-
ტი მოურავის რჯულისაგან (ისლამისაგან) განდგომით და აჯანყება-
ამბობით და ცბიერი შფოთის ამტეხი ბელადის უმსგავსო მოქმედე-
ბით უდიდესი შედეგი მოჰყვა, რა დიდი ზარალი შეხვდა ირანელებს¹!

როგორც ცნობილია, ეგრეთ წოდებული ოპოზიცია გიორგი სა-
აკაძის წინააღმდეგ XVII საუკუნეში არ არსებულა. „ეს ოპოზიცია 7
ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში. აღსანიშნავად, რომ XVIII საუკუ-
ნეში გიორგი სააკაძის მტრის თეიმურაზ პირველის ჩამომავლე-
ბის — თეიმურაზ მეორისა და ირაკლი მეორის მეფობაში არსალან
ხმა არ ისმის სააკაძის დასაცველად, გარდა „დიდმოურავიანის“ რე-
დაქტორ-გადამწერლებისა, რომელიც პირვის სათაურებში მოწიწე-
ბას გამოხატავენ სახელოვანი გმირისაღმი.

სამაგიეროდ, თბილელისა და არჩილის სახით, ჩვენ ვიციო,
XVII საუკუნის ქართული მწერლობის აღტაცება გიორგი სააკაძის
პიროვნებით. ეს იმ ეპოქაში, როდესაც ქართლ-კახეთში სააკაძის
მოწინააღმდეგ თეიმურაზ პირველის დინასტიური მემკვიდრეთაგან
არავინ მეფობდა².

გიორგი სააკაძის პიროვნებისა და მოღვაწეობის შეფასებაში
პლატინ იოსელიანის მსოფლმხედველობა უდაოდ პროგრესულია
სხვა ქართველ ისტორიკოსებთან (ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები)
შედარებით, თუმცა ისინი თავიანთ შეხედულებებში თანმიმდევრინი
მაინც არა ყოფილან.

პლ. იოსელიანი თავის მონოგრაფიაში ერთგან წერდა: „თავადმა
გიორგი სააკაძემ და ნუგზარ ერისთავმა შესახივლეს შაპს, მეფე ლუ-
არსაბზე, მას სამეფოზე და გაუმჯლავნეს ქართველ მეფეთა საიდუმ-
ლო მიმოწერა რუსეთთან, მათი მფარველობაში მიღების თაობაზე“³.

ვეტორი ცდება. დღემდე მიკვლეულ ისტორიულ წყაროებში
არსად არ არის ჩაიმუ ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლის მეფე ლუ-

¹ ისქანდერ მუნში საქართველოს შესახებ, თარგმანი ირანულიდან და შესა-
ვალი წერილი ვლად. ფუთურიძისა, 1969, გვ. 115, 123.

² გ. ლეონიძე, „დიდმოურავიანის“ წინასიტყვაობა, გვ. I—XI.

³ პლ. იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება; 1848, გვ. 25.



არსაბ მეორეს არამცთუ საიდუმლო, არამედ ოფიციალურს მიტყუ-
რა ჰქონდეს რუსეთის მეფესთან. სევე, არაფრით დასტურდება,
რომ გიორგი სააკაძეს და ნუგზარ არაგვის ერისთავს ქართლის მე-
ფეზე არამე. საჩივარი წარედგინოთ სპარსეთის სამეფო კარზე. განა
დიდმა პატრიოტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ გიორგი სააკაძემ
და ნუგზარ ერისთავმა არ იცოდნენ, რომ სპარსეთი საქართველოს
მოკეთე არასოდეს ყოფილა? ანდა საიდან ჩანს, რომ გიორგი სააკაძე
და ნუგზარ ერისთავი ერთმორწმუნე რუსეთთან საქართველოს კაშ-
შირ-ურთიერთობის წინააღმდეგნი იყვნენ. განა იმ პოლიტიკური
ძნელებდობის უამს მათ არ უნდა ეზრუნათ საქართველოს ყველა
მტრის წინააღმდეგ ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირზე?

პლ. იოსელიანი, ეტყობა, სათანადო ანგარიშს არ უწევდა ზო-
გიერთ ისტორიულ წყაროს და ზეპირი დასკვნების გაკეთებას
სჯერდებოდა.

ცნობილია, რომ 1604 — 1605 წლებში რუსეთის მეფე ბორის
გოდუნოვმა თავისი ელჩები მიხეილ ტატიშჩევი და ანდრია ივანოვი
საგანგებო რწმუნებით გამოგზავნა საქართველოში. ქართლში რომ
შემოსულიყვნენ, ელჩებს კავკასიონი უნდა გადმოელათ და დარი-
ალის კარით არაგვის საერისთაოზე გაევლოთ, ამიტომაც ბორის გო-
დუნოვმა ელჩების ხელით ნუგზარ ერისთავს კეთილგანწყობილების
დადასტურების ნიშნად რწმუნება და საჩუქრები გამოუგზავნა.

ნუგზარ ერისთავმა რუსთა ელჩებს თავისი უფროსი შვილი ბა-
ადური შეაგება. ბაადურმა ელჩებს მოახსენა, რომ მისი მამა ნუგ-
ზარ არაგვის ერისთავი და მთელი მისი საერისთაო ხელმწიფის ქვე-
შევრდომები არიან... და მას თავის სიტყვის გადახვევა არა სჩვე-
ვია!

მიხეილ ტატიშჩევი და ანდრია ივანოვი არაგვის საერისთაოზე
გავლით ჭერ კახეთში გადავიდნენ, შემდეგ კი ქართლში მოვიდნენ,
აյ ისინი მეფე გიორგი X-მ მეჯვრისხევის სამეფო-საზაფხულო
რეზიდენციაში მიიღო.

რუსეთის ელჩები, დიპლომატიური მისიის დამთავრების შემ-
დეგ სამშობლოში გაემგზავრნენ. მათი გზა ამჯერადაც არაგვის საე-

¹ С. А. Б е л о к у р о в . Сношениe России с Кавказом, 1, (1578—1813), 1889, стр. 458.

რისთამზე გადიოდა. ორივე შემთხვევაში ნუგზარ ერისთავი მათ კარგად გაუმასპინძლდა და საზღვრამდე მშვიდობით მოაცილა.

ნუგზარ ერისთავის დამოკიდებულების შესახებ რუსეთისადმი, კარგად არის გადმოცემული თვითონ ელჩების ტატიშჩევისა და ივანოვის რუსთა მეფისადმი მოხსენებაში.

1612 წლის გაზაფხულზე გიორგი სააკაძე და ნუგზარ ერისთავი პოლიტიკური მტრებისაგან დევნილნი იძულებული შეიქნენ საქართველოდან სპარსეთში წასულიყვნენ და დროებით იქ თავი შეეფარებინათ. ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, თავიანთ სამშობლოში აკლება და სიკვდილი მოელოდათ.

აი, რას ათქმევინებს იოსებ თბილელი გიორგი სააკაძეს:

„ნუგზარ მითხრა ერისთავმან,
 თქვი, თუ ჩემსა რასა ბძანებ? —
 მეც წამოგყვე უსაცილოდ,
 წავიდეთ და ნუ ახანებ;
 მეფესა და სულ ქართველთა
 არას ვაწყენ, არას ვაგნებ,
 დიდ ხელმწიფეს შევისწავლი,
 ჯვრსა არას არ ვათავნებ.

გ. სააკაძე კი ასე ჩიოდა:

ესე მეც ვიცი, იქ წასვლა,
 ვერა ვქენ კაის ცნებითა;
 დგომა და წასვლა ორივე
 შემქნია ბოლოს ვსებითა!

ისიც ცნობილია, რომ ნუგზარ ერისთავი სპარსეთიდან საქართველოში მალე დაბრუნდა, გიორგი სააკაძე კი შაჰ-აბასმა სამშობლოში დიდხანს არ გამოუშვა.

პლ. იოსელიანი აღფრთოვანებულია გიორგი სააკაძის გონიერი პატრიოტიზმით. მას იგი მთლიან პიროვნებად მიაჩნია: „დაიღუპა დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, დიდი სარდალი და გმირი, რომელმაც სამეფოები და ხალხები შეარყია, რომელიც თავისი მტკიცე ხა-სიათით, რკინისებური ნებისყოფით, მგზნებარე ვნებებით, თავისი

¹ დიდმოურავიანი, სტროფ. 146, 160.

ბუმბერაზი ტანითაც ყველას ოცებდა, მტერს შიშა ჰგვრიდა, და მითრიდატს ემსგავსებოდა (სალტიუს აღწერით). დაეცა ვაჟკაცი, რომლის მახვილი, პოეტების აღწერით, ჭავშანს ჰკვეთდა, საყვირიც განგაში სცემდა და მისი ვაჟკაცობით ბრძოლის ველი გმინავდა. ვაჟკაცი, რომელმაც სპარსეთში, ინდოეთში, ბალდატსა და არჩრუმში მამაცი მებრძოლის, ხოლო თვით ზექართველობი კი ქართველი ალკიბიადეს სახელი დატოვა¹.

პლ. იოსელიანს თავის მონოგრაფიაში ბევრი ფაქტობრივი შეცდომები აქვს დაშვებული, რაც ჩვენი აზრით ძირითადად მხოლოდ იმდროინდელი ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების დონით უნდა აიხსნას, რაც ცალკე განხილვის საგანია.

რაც შეეხება პლ. იოსელიანის მიერ შედგენილ სააკადეთა გენეალოგიას, რაც მონოგრაფიაზეა დართული, ზუსტი არ არის, და ქართული საისტორიო ლიტერატურის მონაპოვართა საფუძველზე აღალ დამუშავებას მოითხოვს.

ვახტანგ სილამონიძე.

¹ პლ. იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი სააკადის ცხოვრება; 1848, გვ. 69.

დიდი მოურავი გიორგი სახატაძის ცხოვრება

მის ბრწყინვალებას, ბ. პოდპოლკოვნიკსა და კავა-
ლერს, თავად რამაზ დიმიტრის ძე თარხან-მოურავს.
ბრწყინვალე თავადო, მოწყალო ბატონო!

თქვენ ისურვეთ გეორგი საკაძის ისტორია, და არ შეუჰინ-
დით იმ ფაქტს, რომ საქართველოს მატიანებში ეს-
ოდენ განთქმული მისი სახელი დაკავშირებულია
სისხლიან საქმეთა საზარელ მოვლენებთან.

ორნახევარმა საუკუნემ განვლო უკვე იმ სამწუხა-
რო დროიდან, როდესაც მოურავის დადი სახელი,
სასიხარულო და სავალალო მისი საშობლოსათვის,
და მრისხანე-მტერთათვის, მის თანამედროვეთ აღ-
უძრავდა არა მარტო სიძულვილს, არამედ განციც-
რებასაც.

გეირი რაინდის სიკვდილის შემდეგ საუკუნეთა მან-
ძილშე მიწყდა ხმა სიძულვილისა და შურისა, მაგრამ
ხალხსა და ისტორიაში დადებდე არ მამწყდარან დიდ-
ზი საქმენი, რომელიც აოცებენ შთამომავლობას.

მაშ ნუ დადუმდება სამართალი და მართებული
მსჯავრი გამოუტანს მის საქმებს, რომელთაც უკი-
ლა როდი იცნობს მათი ნამდვილი სახით.

მე შევასრულე თქვენი სურვილი, გულახდილად
ვიტყვია, მიუღიმშად ალვწერე მისი ცხოვრება, არ
მიღალატი გონიერული კრიტიკისა და ისტორიის მი-
თითებათათვის.

დიდი მოურავის ცხოვრების აღწერას დაუუროვ
აღწერა საქართველოში უძველესი ქრისტიანობის
ირი ძეგლისა, — ერთაშორისობის ტაძრისა, როგორც
თქვენი საგვარულო სამართისა, და ქვათახევის მონას-
ტრისა, რომელიც ესაზღვრება ძველ გეოგრაფიაში
„სათარხნოდ“ მოხსენიებულ თქვენს საგვარეულო აღ-
გლო-მამულებს.

ამ შრომას გიძლვით თქვენ, — დიდი მოურავის
მრავალრიცხოვან იჯახის წევრს.

და თქვენი წინაპრის ბედ-ილბალში ამოიკითხონ
ბედი ბერძენი ალყიბზადესი, იმდენადვე დიდუბული
რომ იყო თავისი საქმეებით, რამდენადაც პირადად

უბედური, და დიალი სახელი ათენელი მთავარსარდლისა, რომელიც გაჭირვებას განიცდიდა მის მიერვე აღმაღლებულ და დიდებით შემოხილ სამშობლოში.

თქვენი ბრწყინვალების უმორჩილესი მსახური კოლეგის მრჩეველი პ. ი თ ს ე ლ ი ა ნ ი.

1848 წ.- 26 ოქტომბერი.

თბილისი.

• ქართლში სიმონ I-ის მეფობის დროს, საქართველოს ამაღლებელი ომების მდვინვარების ხანაში, 1582 წელს ქართლის დაბანისტეში, კეთილშობილთა ოჯახში დაბადა გიორგი სააკაძე! •

აზნაურთა წრეში აღზრდამ ვერ შეაჩერა იგი ამ შეზემულ ასპარეზზე, სადაც უნდა ეცხოვოს და ემოქმედა.

საქართველოს ამაფორიაქებელ ომების ეპოქაში განუვითარდა მას დიალი სულისკვეთება. აგებულებით მძლავრი, ტანადობით წარმოსადეგი და სულით ძლიერი, იგი შესანიშნავი ვაჟაცი გახდა.

• 22 წლის გიორგი სააკაძე თურქების წინააღმდეგ შემდგარ ლაშქარში შევიდა და მისურვის ამ პირველ ლაშქრობაში ისე გამოიჩინა თავი, რომ მეფემ, უკვე აზნაურს, თარხნის წოდებაც უბოძა, რაიც „სათარხნო სიგელის“ მიცემით დაუდძიშტურა².

სიმამაცესა და ვაჟაცობასთან ერთად მისმა არაჩვეულებრივმა მჟევრმეტყველებამ და სხვათა დარწმუნების ნიჭმა ყველას ყურადღება მიიბყრო, და მეფე გიორგი X-ემ 1607 წელს დაუმტკიცა რაყველა უფლება, რაც ადრე ნაბოძები იყო მისი მამის მიერ, თითონაც უბოძა გლეხები და მიწა-წყალი, აგრეთვე მოურავის გვარით, გაანიჭა თავად-მთავრის წოდება, ე. ი. წოდება, რაც ახლანდელ გუბერნატორის უდინის. ისტორიკოსი გახუშტი წერს, „ხოლო მოურავის შეილი არს სააკაძე და მეფისაგან გამთავრებული“. მის გვარეულობას სააკაძეებად იცნობს მხოლოდ ისტორია, სადაც გვარის სათავე-ში გიორგი სააკაძემ თავისი დიდებული გამარჯვებებით სამეფოს სახელოვან პირთა შორის საპატიო ადგილი მოიპოვა. მისმა გვარეულობამ კი შეინარჩუნა სახელი თარხნა-მოურავისა, როგორც განმასხვავებელი თავად თარხნიშვილთა მთელი საგვარეულოსი, რომელთა წინაპრად იქცა თავადი გიორგი სააკაძე.

20 წლის გიორგი სააკაძე, რომელმაც ჯერ კიდევ მეტე გიორგი-შემონაბეჭდისა
გი X-ის დროს გამოიჩინა თავი საომარ ასპარეზზე, მეფის ტახტის
მემკვიდრეს, 13 წლის უფლისწულ ლუარსაბის წარუდგინეს³.

1603 წელს გამეფებული ლუარსაბი დავალებული იყო გიორგი
სააკაძისაგან, მან შემოუმტკიცა ქართლი, რომელიც ჯერ მთლიანად
არ დამორჩილებოდა, და ამიტომაც იგი, როგორც თავისი მისანდო
პირი, თბილისი, ცხინვალის და დვალეთის უფლებამო-⁴ შოურავის უფლებამო-⁵
სილებით აღჭურვა.

1605 წელს სააკაძე თან ახლდა მეტე ლუარსაბის უმცროს დას
თინათინს სპარსეთში, შაპ-აბასთან; შაპ-აბასმა ცოლად შეირთო თი-
ნათინი, გაამაჰმადიანა და უბოძა სახელი ლელუ, ხოლო სხვათა მი-
ხედვით, ფატმან სულთან გმბუმ.

შაპ-აბასის მიერ პატივით მიღებული და უხვად დასაჩუქრებუ-
ლი გიორგი სააკაძე საქართველოში დაბრუნდა და შეიქმნა უახლო-
ესი პირი მეფისა. მრისხანე შაპის კარზე სახელის მოხვევით მოი-
პოვა პატივისცემა ხალხისა, მაგრამ არა ფეოდალური წარმოშობით
ზეიადი და ქედმაღალი არისტოკრატიისა, რომელიც ვერ მოედრი-
კათ ჯერ კიდევ მოუმდლავრებელ მეფეებს. ბრწყინვალებითა და დი-
დებით მოსილ სააკაძეს პატივით არ ეკიდებოდნენ ის თავადნი, რო-
მელთა წინაპრების სახელი, ვით მითიური კაცლმერთნი, ანიჭებდნენ
მათ სამეფო კარზე პირველობის საგანგებო უფლებას.

განა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საუკუნეებით განმტკი-
ცებულ ამ ტრადიციის პირობებში გიორგი სააკაძეს, რომელმაც პი-
როვნულ ღირსებათა მეოხებით მოიპოვა მეომრისა და დიდებულის
სახელი, შეიქმნა მთელი სამეფოს უპირველესი კაცი? მაგრამ დიდე-
ბით გატაცებული, იგი ცხოვრობდა და მოქმედებდა დიდებისათვის,
იდუმალ მტერთა გულსაკლავად. თავის საუკუნეზე მაღლა მდგრა
სააკაძეს თავი მოსწონდა, რომ ბუნებამ მოქმადლა დიდი მთავარ-
სარდლის ნიშიერება. ხალხი მას იცნობდა, როგორც დაბადებით
მცირეს, მაგრამ იმედს ამყარებდა მასზე, ვით დიდებით ამაღლებულ
გოლიათზე. უფლისწული ისტორიკოსის ვახუშტის აღწერით იგი
იყო „მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა, და შემმართებელი უშიში“.
მაგრამ იმავე ისტორიკოსის სიტყვით, ამ ოვისებებს მართავდა სუ-
ლი „მცბიერი, მჩურჩნელი, დაუნდობელი“. ნუ გავიკვირვებთ ამ
უკანასკნელ თვისებებს, რომელნიც შეეძინა დიდგვაროვან თავადთა
შორის მოქცეულ ვაჟაც, ვინც სახელმწიფო მოღვაწის საპატიო



აღგილი დაიცავა არა შთამომავლობითი უფლებებით, არა მეტად მარტო მომავალი ელოდა. მოდენ მტკიცე შეგნებით იმისა, რომ მას დიადი მომავალი ელოდა. ითვალისწინებდა რა თავის დანიშნულებას, იგი მიისწრაფილა დიდებისაკენ, პირდაპირი გზით მიდიოდა მიზნისაკენ, რათა გმირული საქმეებით დაეჩრდილა თავადთა დიდება, გაეჩუმებინა მტრები, რომელნიც ძლიერნი იყვნენ ციხე-სიმაგრეებით და წინაპართა ბრწყინვალე საქმეებით და მტკიცე ხელით ჩაეწერა ერის სტორია-ში რაინდა მხედართსარდლის ქახელი.

შეფე ლუარსაბს კარგად გაეგებოდა, რარიგი საფრთხე ელოდა სამეფოს მისას. საკუთარ მაჟულებში განდგომილი და ციხე-სიმაგრეებში ჩაეტილი ძლიერი თავადებისაგან მიტოვებულ მეფეს აფიქრებდა საფრთხე, რაიც მოელოდა მას, თუ თავადები ომს დაუწყებდნენ.

გიორგი სააკაძის საქციელმა მეფის გულში ეჭვი გამოიწვია და მის მიმართ კეთილგანწყობილება შეარყია. იქნებ თვით სააკაძემაც, რომელმაც დვალეთის მთებში სიმაგრეები ააგო და ცხინვალსადა თბილისში ციხეები რაზმებით განამტკიცა, მისცა მეფეს გაუგებრობის საბაბი, რაზედაც მეფის აზრი შეჩერდა, ხოლო მისმა იღუმალმა შტრებმა კი ხელსაყრელი დრო პიოვეს. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ მტერთ უმატეს მოურავის მოსპობის / მცდელობა და შესძლეს კიდეც, რომ მეფეს გული ასცრუებოდა თავის უახლოეს მისანდო კაცზე.

როდესაც მეფე ცხინვალს ბრძანდებოდა და მრავალ უბედურებათაგან დასტურებული სამეფო საქმეთა მოგვარებისათვის ზრუნავდა, ვიორგი სააკაძეს ამცნეს სამეფო კარის საბეჭისწერო გადაწყვეტილება — სააკაძის სიკვდილით დაეშოშმინებინათ მღელვარე სამეფო და მისი თავადები, უქმაყოფილობი მეფესთან მოურავის დაახლოებითა და პირველობით, რაიც ჩრდილოვდა თავად-აზნაურთა შთამომავლობითს ბრწყინვალებას. ამგვარი მძიმე გრძელებით აღელვებულმა მოურავმა შუამავლად მროველი ეპისკოპოსი დომენტი გამოიყენა და თავადებთან — ქაიხოსროსა და იესესთან თათბირი გამართა. უშიშარმა და საფრთხესმოურიდებელმა მოურავმა მეფის წინაშე თავის მართლება იწყო. მეფე მოურავს ბრალს სდებდა, მინიჭებულ ძალაუფლებას ბოროტად იყენებო. „იხილა ესე მეფემ და აუწყა მოურავს: „რაი არს რომე არ დასცხრები ფურჩვნად; ანუ რაი გნებავს ყოფად“.

მოურავი იძულებული გახდა დროებით განშორებოდა მეფიშ მიუღიარებას. იმ დროს, როდესაც ეპისკოპოსი დომენტი მეფეს არწმუნებდა და მოურავის გულწრფელობქა და ერთგულებაში, და როცა ამით დამშვიდებული მეფე სამართალში იმ პირთა მიცემას პირებდა, ვინც მოურავს მისი მკვლელობის არარსებული გადაწყვეტილების ჭრი აცნობა, როცა ამასთან ერთად მეფე ეპისკოპოსს ავალებდა. მოურავი დაარწმუნე, კეთილი თვალით ვუცერიო, სწორედ ამ დროს — მოულოდნელად მოვიდა ცნობა, თურქები თრიალეთის მთებით საქართველოში შემოსაჭრელად მოდიანო⁷. თურქების ჯარმა სულთან ახმედ პირველის დროს, 1609 წელს ბაღდადის აღების შემდეგ თურქეთში დასაბრუნებელ გზად საქართველო აირჩია, რადგან ეს გზა ყველაზე მოკლე და მოხერხებული იყო, თანაც შეიძლებოდა ამ გზით დიდძალი ქონება და ტყვები ეშვენათ.

შეშფოთებულმა მეცემ ორ სახელოვან სარჩალს ზაქარიასა და
იარალის დაავალა მოების ვიწროებში მთავარი გამოსასვლელი
უზები, მანგლისა და დაბა კველთაში რომ გამოღიოდა, ჩატურგათ,
და სანამ საკმაო რაოდენობის ჭარს შეკრებდნენ, სანამ საჭირო საო-
მარ ლონისძიებებს გაატარებდნენ, ამით შეეჩერებინათ თურქები.
ამავე დროს მეცე ლუარსაბი ერთაშემინდის გავლით ცხირეთს ცი-
ხეში გაეშურა. მას მოურავი გორგი საკახეც შეუერთდა, რომე-
ლიც ყველა შესაძლებელ ლონისძიებას ხმარობდა გათამამებული
ოურქების დასამარცხებლად სამშობლოს ველებზე. გზების ჩასაკე-
რად გაგზავნილ მოწინავე რაზეს ღამის ღამის თევზს ტრის მოულოდნე-
ლად თურქები დაესხნენ და მოლიანად ამოწყვიტეს. მეფის საყვა-
რელი სარდლებიც — ზაქარია და იარალი რაზმთან ერთად დაიღუპ-
ენ დელი-მამადხანის წინამდლოლობით თურქებმა დაიკავეს მანგ-
ლისი, ოძისი და კველთა. კველთაში მათ თეღორე მღვდელი ზეიბ-
ყრეს. იგი თავის დროისათვის ფრიად განათლებული კაცი იყო.
დეთისმოსაობით ცნობილი და „მოურავიანში“ ხოტბაშესხმული.
მას ხელები შეკრეს და წინ წაიძოლეს გზისა და მეცე ლუარსა-
ბის ადგილსამყოფელის საჩვენებლად. პირადი კეთილდღეობისათ-
ვის თავს არ შევიტოცხვენ, სამარადისოდ არ დავიმკვიდრებ მეფისა
და სამზობლოს გამცემის სახელსო. ამ ფიქრით იმაგრებდა თავს ეკ-
ლესის ჭეშმარიტი მოძღვარი და ნამდვილი მამულიშვილი. რაკი
იძულებული გახდეს, თეღორე მღვდელმა ის მარნც გაეცეთა, რომ
თურქების ჭარი მათვეის დასაღუპვავი გზით წაიყვანოს და მას მარ-



მაღლობებით, ერთაშორისობის გვერდის ჩავლით ქვენადროს სამართლის ფარგლენები დააყენა. აქ თურქები დარწმუნდნენ, რომ თავისი მოვალეობის ერთგულმა მღვდელმა თედორემ შეაცდინა ისინი და ერთაშორისობის ახლოს თავი მოჰკვეთეს. თურქების ჯარი, რომელიც ისესებ თბილელი მიტროპოლიტის გადმოცემით, 60.000 კაცისაგან შედგებოდა. ახალქალაქის ორგვლივ გაშლილ ველზე დაბანებდა, ერთა წმინდიდან მტკვრის ნაპირამდე გაიშალა.

ცხირეთის ციხიდან მეფე მწუხარებით გადმოჰყურებდა მტრის ჯარით მოფენილ თვალწარმტაც ველებს... საეთ მძიმე ვითარებაში მეფის ერთადერთი იმედი მოურავი იყო. მან მეფეს ურჩია, აღგილიდან არ დაიძრა, ნება დამრთვ სრული განკარგულებისა და შველი საათი დრო მომეცი მტერთან ბრძოლის დასაწყებადო. მერე არწივის სისწრაფით ჩაიქროლა დაბა კავთისხევში¹⁰ და იქ რაზმი შეკრიბა, რომელიც თურქების ჯარს კვალდაკვალ დადევნებულ საბარათიანოს რაზმს შეუერთდა. საღამოს შვიდ საათზე მოურავი რაზმებით მეფესთან დაბრუნდა და, მეორე დღეს, დაბა ნიაბის მიდამოებში, რაც სხერტის ჭალად¹¹ არის ცნობილი, დაიწყო თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა. მოურავმა და მამატმა სარდალმა თავადმა ზაზა ციციშვილმა, რომელნიც ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ, სასწაულებრივი გმირობა გამოიჩინეს. მოურავის მიერ აღფრთოვანებული, თურქებისადმი სიძულვილით გაშშევალული, განრისხებული, რიცხვით ნაკლები, მაგრამ გულადობით უძლეველი ქართველთა ჯარი მწყობრად ეკეთა მტერს, ხელჩართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა. იმ დროს, როდესაც გიორგი საკაძის მძლავრი მარჯვენა თურქებს შეჭრებლად ულეტდა, მამაცი ციციშვილისათვის მან იმის თქმა მოასწრო, თურქთა ფაშის თავი მოჰკვეთეო. ზაზა ციციშვილმა გაარღვია მტერი, ფაშისთვის თავი უდა მოეკვეთა. თურქი მხედრები თავიანთი წინამდლოლის გადასარჩევად გარს შემოერტყენენ, მაგრამ ამ საფრთხემ ზაზა არ შეაკრო და მოურავის გამარჯვება საუცხოო ალაფით დააგვირგვინა. მან ფაშის მოკვეთილი თავი აიტაცა, მისი გრძელი წევერი კბილებით დაიჭირა, შეახტა ცხენს, გაუძლვა რაზმს, სისხლით დასერილმა თურქთა ურდო გაარღვია, ცხენი მეფესთან მიაქროლა და ბრწყინვალე გამარჯვების ნიშანი მეფეს ფეხებთან დაუგდო¹².

გამარჯვებულთა რიგებში აღტაცების ყიუინამ იქუხა. ქართველები მაღლობას სწირავდნენ ღმერთსა და პირველწამებული წმინ-

და ესტატეს მარჯვენის¹³ სასწაულმოქმედ ძალას. ეს მარჯვენა ერთაშორისობის ტაძარში ინახებოდა და მასზე ძველთაძველი დროიდან ფიცსა სტებლენენ: საციციანოს, სავაიონიანოს და სააკაძეების სათავადოთა მოსახლეობა. მეფე გაეშურა ერთაშორისობის დროში, მაღლობა შესწირა გამარჯვების მომნიჭებელ უფალს და, მტრის ჯარისაგან განთავისუფლებულ მინდორზე ღამისკუთევის შემდეგ, აშალა ჯარი, ქართლის შუაგულზე მიმავალი გზით მტრებს დაედევნა.

მეორე დღეს, განთვალისას ლაშქარი თურქების ჯარის მიერ გათელილ გზაზე მიდიოდა. დღესის მინდორზე გორში მიმავალმა სომებთა მღვდელმა გორისაკენ მიმავალი თურქები შენიშნა და თავზარდაცემულმა გორიც და მისი მიდამოებიც მტრის მახვილისაგან გადარჩინა — მტკვარზე აგებული ხიდი დაანგრია. თურქები მტკვრის ადიდების გამო იძულებული გახდნენ გეზი შეეცვალათ და ტაშისკარის ბოლოზე გასულიყვნენ.

მეფე ლუარსაბი და მოურავი გიორგი სააკაძე სოფელ ~~ჭალდაბასთან~~ რომ მივიღნენ, მოითაბირეს და გადაწყვიტეს თურქების დევნა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირით კი აღარ განეგრძოთ, არამედ ფონით მეორე მხარეზე გადასულიყვნენ, შემოევლოთ მტრისათვის და შეერთებოდნენ შიდა ქართლიდან მომავალ ჯარებს, მტკიცედ ღამდგარიყვნენ სურამთან და ამგვარად ჩაეცეტათ მტრისათვის ბორჯომის მთავარი გასასვლელი — თურქეთისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა.

ივნისში, ჩვეულებრივად, მდინარე მტკვარი დიდროობდა და მასზე გადასვლა არც ისე ადვილი იყო.

შესრან-ბატონის, შალვა ქსნის ერისთავის, ნუგზარ არაგვის ერისთავისა და თავად ამილანგრის რაზმები სურამის ვეჭზე გავიდნენ.

მტკვრის ნაპირზე გაჩერებულმა თურქებმა თავიანთი ბანაკი სურამის მხრიდან ღრმა თხრილებით გაამაგრეს.

თუ როგორ შეეტიათ ძლიერი მტრისათვის, ამის თაობაზე ქართლის სარდლების თაობირმა უნაყოფოდ ჩაიარა. ბოლოს სარდლებმა გაიზიარეს მოურავის აზრი. მოურავი თავისი იქ ყოფნითაც კი სიხარულსა და იმედს უნერგავდა ჯარსაც და სარდლებსაც. მათ გადაწყვიტეს, როგორც კი გათენდებოდა, თავს დასხმოდნენ თურქთა ბანაკს. მოურავის რჩევისამებრ, შალვა ქსნის ერისთავს კორტანე-

თის ვიწროები უნდა დაეკავებინა; | თხრილებში ჩასაფრებულ მეთო-
ფურებს მარჯვე სროლით თურქები იძულებული უნდა გაეხადათ
გაშლილ მინდორზე გამოსულიყვნენ, სადაც მათ საბრძოლველად
გამზადებული ქართველი მხედრობა დახვდებოდა.

რაზმის სათავეში მდგომი მოურავი პირველი შეიძრა თურქე-
ბის ლაშქრის შუაგულში. მას მეფე ლუარსაბი და დანარჩენი სარ-
დლებიც მიჰყვნენ. თავზარდაცემული თურქები სულ მთლად დაიბ-
ენ. კველა მათგანი თავის გადარჩენას ცდილობდა, მაგრამ ამას
ვერაფრით აღწევდა — ვერც შებრაჲების თხოვნით, ვერც ახლო
ტყეებში მიმალვთ. იმდროინდელი ომის ჩვეულებისამებრ, მეფის
ფეხებთან დაყრილი რამდენიმე ათასი მოკვეთილი თავი, უთვალავი
შუბი, თოფი, ხელშუბი, ვერცხლისა და ოქროს უნაგირები, ხმლები
და სხვა ნადავლი გამარჯვების ნიშანი იყო. იმ დღესვე თავად გარ-
ასპის მეთაურობით ქართველთა რაზმა მეფის ბრძანებით შაპ-აპან-
თან წაილო ნადავლის ნაწილი, თურქების ჭარის ნაწილი კი (დაახ-
ლოებით ერთი მესამედი) მხოლოდ ცხენების სისწრაფემ გადაარჩი-
ნა. ტყეებში მიმალულ თურქებს სამი ღლის განმავლობაში იჭერდ-
ნენ უიარალო ქართველი ქალები. მათ ისინი ტყეებიდან გამოჰყავ-
დათ, არცვენდნენ, აშიშვლებდნენ და სულგრძელად იქცეოდნენ,
არ ხოცავდნენ, გზას უჩვენებდნენ თავიათი ქვეყნისაკენ.

ისტორიული ვახუშტი ამ ომში მეფე ლუარსაბის დიდ წარმა-
ტებას აღნიშნავს, მაგრამ ყველას წინაშე განსაკუთრებულ უპირა-
ტესობას არც მოურჩევ გიორგი საკაძეს უკარგავს: „ამა ომსა შინა
ფრიად მხნედ გამოჩნენ მეფე ლუარსაბ და უფროსად მოურავი“. მოურავის მიერ ამ ბრძოლაში გაწეულმა სამსახურმა კვლავ შეარი-
გა ერთმანეთს მეფე და მოურავი. მის უანგარობას, რაც იმით დამ-
ტკიცდა, რომ ომით მოპოვებული დიდიალი ნადავლი თვითონ კი
არ მიისაკუთრა, არამედ სამეფოს შესძინა, ჭარისა და ხალხის მიერ V
მისი სამხედრო ღირსების დაფასებას, ახალი უქმაყოფილება მოჰყ-
ვა. ეს უქმაყოფილება იმ ნადიმის შემდეგ გამოვლინდა, მოურავმა
მეფესა და მის ამალას ნოსტეში რომ გაუმართა. ამ უქმაყოფილების
მავნე შედეგი მეფისა და მოელი სამეფოსათვის არეულობის მიზეზი
გახდა.

სახელვანი გამარჯვების მესამე დღეს მეფე, მისი კარისკაცე-
ბი და წარჩინებული თანამებრძოლები მოურავმა სანალიმოდ ნოს-
ტეში მიიწვია. ნოსტე იმ ღროს სააკაძეთა რეზიდენცია და მთავარი

დაბა იყო. მეფეს მოურავის ოჯახი გმირი რაინდის ციხეში დახვდა. მოურავის მასპინძლობით პატივნაცემი ჭაბუკი მეფე მისი დის სილმაზემ გაიტაცა და უმალვე გადაწყვიტა მასთან შეუღლება. ქალს დიდგვაროვნობა არ ამკობდა და წინდახედული მოურავი ითვალისწინებდა იმ უარყოფით შედეგებს, ასეთ პირთან მეფის ქორწინებას რომ მოჰყვებოდა. ამიტომაც უყო, რომ ბევრს ეცადა მეფის გულიდან ეს წადილი აღმოფხვრუს მაგრამ მოურავის რჩევაც და მეფის დედის — თავად ლიპარიტის ასულის, ქვრივი დედოფლის მარიამის დაბეჭითებითი შთავონებაც უნაყოფო აღმოჩნდა. გმირი-რაინდის დაი გამარჯვებულმა მეფემ თავის ღირსად მიიჩნია. ქვათახევის მონასტერში¹⁴ ქორწინების წესი სწავლულმა მოძლვარმა „კარგა მცოდნე იოსებ კანდელაქმა“ შეასრულა.

მოურავმა იმდროინდელი შეხედულებების თანახმად მეფესთან ნათესაური კავშირის გაბმით თითქოს განადიდა. თავისი გვარი, მაგრამ მისი ზემით ხანმოკლე აღმოჩნდა. კავთისხევში მეფე-დედოფლის ექვს თვეს ყოფნა, მშვიდობიანი და სიამონებით აღსახევ ცხოვრება^{*} მეფის ახლობელი კარისკაცების, თავადების[†] უპირველესად კი ჭაბუკი მეფის ბიჭებს შადიმან ბარათაშვილის საიდუმლო მტრობამ დაარღვია. შადიმანი და მეფის სასახლის სხვა დიდებულნი მეფეს[‡] ხალხის საყოველთაო სიძულვილით აშინებდნენ. ისინი აშერად უკმაყოფილო იყვნენ მეფის ღირსების დამამცირებელი საქციელით და განქორწინებასა და სააკაძის მთელი გვარის ამოწყვეტას მოითხოვდნენ. მეფე ლუარსაბი მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა კარისკაცთა წინადადებებს. მას ზნეობა და სარწმუნოება დიდად მიაჩნდა და მრისხანედ უარყოფდა იმათ საშინელ წადილს. მაგრამ საბოლოოდ კარისკაცებმა მეფე მაინც დაიყოლის, მოურავის შეცყრობა გამოსთხოვეს, განქორწინებაზე დაითანხმეს. ამ გზით სურდათ მშვიდობა დაემყარებინათ და მეფის ტახტზე ის პატივის-ცე[§] აღედგინათ, რაც მან მოურავის დის დედოფლად ასვლის დღიდან დაკარგა. 1610 წლის 20 მაისს მეფის კარის დიდებულებმა მეფის სახელით წავკისის სამეფო-საზაფხულო სასახლეში გიორგი სააკაძე მოიპატიეს და მოურავს[¶] მეფესთან და კარისკაცებთან ერთად ყარაიის ელეგებში ნადირობა შესთავაზეს. გიორგი სააკაძეს ეკვიც არ დაბადებია, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება იქნებოდა. მოწყობილი და თანხმობა გამოთქვა, გაზაფხულის ამ მშვენიერ, დროს მონაწილეობა მიეღო მეფის ჩვეულებრივ გართობაში. მაგ-

რამ მეორე დღესვე სახლთუხუცესმა — ბააკა (კახაბერ) ხერხეულიძემ მოურავს გაუმედავნა მეფის კარისკაცთა საიდუმლო განხრახვა, რაც მეტემ არ იცოდა. აღელვებული მოურავი მოახტა უბელო ცხენს და გატეცა თავის მამულში, საკუთარი ოჯახის გადა-სარჩენად. მას თავისი ერთგული რაზმით თავიდი შადიმან ბარათაშ-ვილი დაედევნა, მაგრამ ამათ.

მოურავმა ნეგოს, გელიყარისა და დიდგორის მთები და გოსტიბეს ხეობა გაიარა, თავის ციხე-სიმაგრე ნოსტეს მიაღწია. აქ ძვირფასეულობის ნაწილი ჭმოკრიფა და ოჯახიანად ნოსტეს ციხის ირგვლივ მდებარე ვიწროებში გამაგრდა. მდევარმა რაზმმა ალყა შემოარტყა ციხეს, მაგრამ იქ სააკაძე რომ ვერ აღმიაჩინა, ციხე გაძარცვა, ნაცრისა და ნანგრევების გროვად აქცია.

ბედ-იღბლის უკუღმართობა კარგად მოეხსენებოდა მოურავს და ამ უბედურებით გული როდი გაიტეხა. თავისი ოჯახითა და შვილი ერთგული მსახურით, მათ შორის აზნაური პაპუნა ჩივანის¹⁵ თანხლებით, ღამით ტყე-ლრეებით დიდგორის სიმაღლეები გადაიარა და განთიადზე ჟავე სოფელ თელოვანს გასცდა. მათ დილის 6 საათზე მცხეთის ახლო მდებარე სოფელ კარსანის¹⁶ მიაღწიეს და ლვითისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის-ეკლესიასთან მივიღნენ.

მოურავი არ შეუშინდა მცხეთის ხიდის დასაცავად დაყენებულ 60 კაცისაგან შემდგარ რაზმს, გული გაუმაგრა ცოლს უფალი მაცხოვრის სახელით, გადასწერა ყველას პირველი და პირველმა გადაუშვა თავესი ცხენი მდ. მტკვარში მეორე ნაპირზე გასაცურავად. მას მიჰყეა ცოლი და ყველა მხლებელი. ხიდის მცველებმა ვერ შეამჩნიეს მოურავი და მისი ოჯახი, რომელნიც მცხეთის ტაძრისაკენ გაეშურნენ უფალ მაცხოვრისათვის მაღლობის შესაწირავად. ბედნიერი მშევიდობიანი გზის სამაღლობლად ოჯახმა ტაძარს 60 მარჩილად ლირებული ოქროს თასი შესწირა. არსებობს გადმოცემა, რომ მდ. მტკვარში გაცურვამდე, რაც ივნისში მეტად სახითათ იყო, მოურავი ცოლს შეეკითხა: ხომ არ გეშინია აღიდებული მდინარისაო, „განა შეიძლება მოურავის ცოლს ეშინოდეს?“ — უპასუხა თურმე ცოლმა და, როგორც მითოლოგიურმა ამორძალმა, თამამად შეაგდო ცხენი წყალში, მარჯველ გაჰვეთა მტკვრის მღვრიე ტალღები.

უბედურებით დევნილმა გიორგი სააკაძემ თავისი ოჯახით სოფელ მისაქციელს მიაღწია.¹⁷ აქ მოურავს თავისი სიმამრი, მამაც

ნუგზარ ერისთავი დახვდა. გმირისა და მისი ოჯახის გაჭირვებულ შეცდილება
მდგომარეობამ ძალიან შეაწესა ნუგზარი,¹⁸ ამ ძლიერი ერისთავის
გულში მეფისათვის საშიში მრისხანება და უკმაყოფილება დაბადა.
მაგრამ ამ შემთხვევაში ნუგზარმა ისეთი ნებისყოფა გამოიჩინა,
უშიშარი გიორგი სააკადე მისგან რომ მოელოდა. ნუგზარმა იცოდა,
რომ რაკი დევნილი სააკადე თავის სამფლობელოში მიიღო, მშეი-
ლობიანად ყოფნის იმედი ალარ უნდა ჰქონოდა და უკანასკნელ სა-
შუალებას მიმართა — გადაწყვიტა, თავისი თავიცა და მოურავიც
სპარსეთის ჭავის მფარველობის მოპოვებით გადაერჩინა. ორივემ
გადაწყვიტეს ოჯახებიანად სპარსეთში გამგზავრებულ უკვენებ და შა-
პის წინაშე პირადად გაუმართლებინათ თავი იმ საქმეზი, რამაც სა-
მეფოს მშვიდობიანობა შეარყია. ღამით ქ. ანანურიდან ნუგზარი და
მოურავი მდ. არაგვზე გადავიდნენ, საგურამოს გზით გასწიეს და
ლოჭინის ახლოს გავლით განთიადზე მდ. მტკვარზე უურყუთას¹⁹
ფონს მიაღწიეს. ფონს მეფის მდევარი რაზმი იცავდა კოლოტაურის
შეთაურობით. კოლოტაურმა გაბედა ფონზე მგზავრთა გაჩერება.
ამით შეურაცხყოფილმა მოურავმა კოლოტაური შებით გადმოაგ-
დო ცხენიდან, მაგრამ სულგრძელად მოექცა, სიცოცხლე შეუნარ-
ჩუნა. აღვაყალაში, ანუ თეთრ ციხეში,²⁰ სპარსეთის სამფლობელო-
ში, ე. ი. ახლანდელ ბორჩალოს მაზრაში, მოურავმა მცირე ხანს შე-
ისვენა. ნუგზარმა და გიორგიმ სამშობლოდან საბედისწერო გაქცე-
ვის სამწუხარო დღეების შემდეგ ოჯახი აქ, სპარსეთა სამფლობელო-
ში დატოვეს და თვითონ ისპაპანში გაემგზავრნენ. შაპაბას დიდმა
ისინი წყალობით შიიღო ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო, მისცა,
უხვად დაასაჩუქრა. ამით შაპს სურდა თავისი დიდი ხნის საიდუმ-
ლო წადილისათვის მიეღწია. მოესპო საქართველოში სამეფო ხე-
ლისუფლება და ქართველები მაპმაღიანობაზე მოქცევით დაემორ-
ჩილებინა სპარსეთისათვის.

თავადმა გიორგი სააკადემ და ნუგზარ ერისთავმა შესჩივლეს
შაპს მეფე ლუარსაბასა და მის სპეციალისტების ქართველ
მეფეთა საიდუმლო მიმოწერა რუსეთთან მის მფარველობაში მიღე-
ბის თაობაზე.

ისპაპანში ჩასვლის შემდეგ გიორგი სააკადე შაპმა მალე ჩააბა
ინდოეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში. შაპის კარზე ნაქებმა სააკადის
გულადობამ შაპს ნდობა განუმტკიცა. შაპმა სააკადე წარმატებით გა-
მოიყენა თურქებთან ოშიაც, სადაც ბალდადის სიმაგრეთა აღების



დროს მოჰკლეს მოურავის ერთადერთი ძმა, რომელიც ხუმურაშვილი
შელია „მოურავიანში“.²¹

მოურავმა სახელი გაითქვა მთელ სპარსეთში. მას ყველგან სი-
ხარულით და ყიფინით ხდებოდნენ. პოეტები ხოტბას ასხამდნენ
მის გმირულ ღვაწლს.

ისპაანშიც, შაპის სასახლეშიც მას უმღეროდნენ. ქართულად
თარგმნილმა ამ სიმღერებმა მაღლ თბილისამდეც მოაღწია. ხალხი
მათ ქუჩებში მღეროდა, რაც მეფის სასახლემდე ოღვევდა და ძილს
უფრთხობდა გიორგი სააკაძის მტრებს.²²

გიორგი სააკაძის სიმიმრი, მამაცი ნუგზარ ერისთავი შაპმა სა-
ქართველოში გამოგზავნა, მეფე ლუარსაბთან საჩუქრები და სიგე-
ლი გამოატანა და დაავალა, ლუარსაბი დაარწმუნე, შაპი კეთილი
თვალით გიყურებსო.

კახეთის უფლისწულს თეიმურაზს, მეფე დავითის შეილს, შაპ-
აბასმა კახეთის მეფობა მიულოცა²³. ეს ის თეიმურაზი იყო, რომ-
ლის ბიძა კონსტანტინემ რუსეთის ელჩის ტატიშჩევის თვალშინ ვე-
რაგულად დახოცა თავისი მამა ალექსანდრე და ძმა გიორგი, რის-
თვისაც იგი კახელებმა მოკლეს.

შაპის ბრძანებით თეიმურაზი მეფე ლუარსაბის უფროს დას
ხორეშანს უნდა შეუღლებოდა. ხორეშანი თეიმურაზის ნათესავი
იყო და შაპმა კარგად იცოდა, რომ მათ მართლმადიდებელი ეკლე-
სიის წესით ეკრძალებოდათ შეუღლება. ეკლესიის მოძღვარნი, მეფე
და ხალხი წინასწარ ხედავდნენ შაპის საზარელ განზრახვას, იმას;
რომ შეკს სურდა ეკლესიის წესების დარღვევით თანდათან შეერყია
ქრისტიანობის სიმტკიცე, ქართველები მაპმადიანობასთან დაეახ-
ლოვებინა. დაქვრივებული თეიმურაზი, რომელსაც გურიელის
ასულ ანასთან პირველი ქორწინებით უკვე შვილები ჰყავდა, ემუ-
დარებოდა შაპს, ნუ მთხოვ ამ წადილის შესრულებასო. შენსა და
ლუარსაბს შორის მტრობა არის ჩამოვარდნილი, — ეუბნებოდა
მას შაპი, — ლუარსაბის დასთან ქორწინება შენ ჩემთან ნათესაო-
ბით დაგვავშირებს, თქვენ შორის კი სიყვარულსა და მშვიდობას
დაამყარებსო. ლუარსაბის და, — უპასუხებდა თეიმურაზი, — პა-
პაჩემის ასულის შვილიშვილია და ჩემი სარწმუნოება მიკრძალავს
მასთან ქორწინებასო.

ნაშენი და განრისხებული შაპი თავისი სურვილის სიტყვაშე-
უბრუნებლად შესრულებას მოითხოვდა. ისტორიკოსები აღნიშნა-



ვენ, რომ შაპს, დაიმედებულს იმით, რომ ლუარსაბი თეიმურაზე უარს ეტყოდა თავისი დის, მითხოვებაზე, უნდოდა მიზეზი ჰქონოდა ომის დაწყებისა, რომელზედაც მიუხედავად იმისა, ცბიერი შაპი მაინც ფიქრობდა.

კახეთში მოსული თეიმურაზი, მალე ეკლესიის იძულებული კურთხევითა და მიტროპოლიტების ნებართვით, ქალაქ გრემში 1612 წელს დაქორწინდა ხორეშანზე.

ყაზახის ხანისთვის შაპის მიერ საცუმლოდ მიცემული ბრძანება, შეეკრიბა ჯარი, შეჭრილიყო ქართლში, მოეკლა მეფე ლუარსაბი და მისი თავი, გამარჯვების ნიშნად, სპარსეთში გაეგზავნა, ლუარსაბმა ყაზახში საამისო სამზადისის დაწყებამდე ვერ შეიტყო. იმავე შაპის განკარგულებით თვითონ ლუარსაბ მეფე ყაზახის ხანის მოსაკლავად სწრაფად უნდა დაძრულიყო.

ყაზახის ხანმა ვერ მოასწრო შაპის დავალების შესრულება, ქართლისაკენ გალაშერება, როცა ლუარსაბი უკვე ყაზახის საზღვარზე გაჩნდა, დაამარცხა ქართველების წინააღმდეგ შეკრებილი ჯარი, შეიძყრო ხანი, მოპკვეთა თავი და გულის მოსაგებად შაპს გაუგზავნა. აქ მეფე მიხვდა, რომ ცბიერი და ვერაგი შაპი მეფისა და ქართველი ხალხისადმი ყაზახი თათრების მტრობასა და სიძულეილს ხელოვნურად ქმნიდა.

შაპი, ერთი მხრივ, ქართლის მეფეს აჯილდოებდა ყაზახის ხანის მოკვლისათვის, მეორე მხრივ, რისხესა ანთხევდა მეფე თეიმურაზისადმი, ქართველი სარდლის ქაიხოსრო ომანიშვილის ვერაგულად მოკვლის გამო;²⁴ ამ მკვლელობას კახეთში უკმაყოფილება მოპყვა. კახეთის დიდებულთაგან ზოგმა ისიც კი განიზრახა, შეთქმულება მოეწყოთ, მეფე მოეკლათ და ამით შური ეძიათ. შაპმა კახეთში ჩამოვარდნილი არეულობა და ქართლის მეფისადმი მოსაზღვრე მაპმალიანურ სამფლობელოთა მტრობა გამოიყენა და განჯისაკენ დაიძრა.

1615 წლის მარტში მან განჯა დაიპყრო. ცბიერი შაპი, რომელსაც თან ახლდა გიორგი სააკაძე, თეიმურაზს თავისი ლაშერობის მიზანს არ უმუღავნებდა. იგი სწერდა: „მოვდივარ თურქების წინააღმდეგ; ერთგულების საწინდრად მომეცი შენი შვილი; ასე მოიქცა შენი პაპაც. ამით დაამტკიცებ ჩემდამი შენს ერთგულებას“. შეწუხებულმა მეფემ დიდებულნი სათათბიროდ მოიხმო. მათი რჩევით გადაწყდა შეესრულებინათ შაპის ეს საშინელი წადილი,

რითაც შეიძლება ქვეყანა გადაეტენინა. მეფე გრძნობდა შაპირის კულტურული რაგობას, იცოდა მისი განზრახვა, მაგრამ კახელთა დაბუჭისათვეს არა ზეეწინით დასალუპავად გაწირა თავისი უმცროსი ვაჟი ალექსანდრე. თეიმურაზის დედა, ქვრივი დედოფალი ქეთევანი ამ საზარელი ამბის გამო ცრემლით ივსებოდა და „გადაწყვიტა, შვილიშვილთან ერთად თვითონაც წასულიყო მკაცრ შაპთან ხალხის, შვილისა და შვილიშვილის შემავედრებლად. ასევე ნოდარ კორჯაძე შაპის ტახტის წინაშე ელჩად წარსდგა, საჩუქრები მიართვა და ერთგულება მოახსენა. შაპი ამით არ დაკმაყოფილდა და მრისხანედ მისწერა მეფეს: „განა მე არა ვარ შენი შვილის ბიძა და აღმზრდელი? შენ ჩემს მეგობრობას მოიპოვებ, დედაშენს სათანადო პატივს ვცემ და შენთავე დავაბრუნებო“. თეიმურაზი თავისი დედისაგან გაფრთხილებული იყო, რომ შაპის მთელი სამეფო სახლის დატყვევება და მოსახლეობა პეტრი განზრახული და მეტად უმძიმდა ამ ახალი მოთხოვნის შესრულება. შაპ-აბასის ლაშქრობის შიშით თავზარდაცემული კახელები ცრემლით ემუდარებოდნენ მეფეს, დათანხმებოდა შაპის ახალ სურვილს. „ორჯერ არ იყავი შენ მასთან? — ეუბნებოდნენ მეფეს, — განა ორჯერვე არ დაგიხვდა იგი პატივთა და საჩუქრებით? შვილის მიცემაზე უარის თქმით რატომ უნდა მივცეთ მას საბაბი კახეფის აოხრებისა? ჩენ ვიცით რომ იგი ბავშვს არაფერს ავნებსო“.

უფროსი ვაჟი ლევანიც, რომლის გადარჩენაც სათუო იყო, სამუდამოდ გამოეთხოვა უბედურ მამას და სახლთუხუცესმა თავადმა დავით ასლანიშვილმა იგი შაპ-აბასს წარუდგინა.

დასასვენებლად და ჭარის გასაძლიერებლად განჯაში გაჩერებულმა შაპმა მეფე თეიმურაზს მისწერა: „ჩემდამი შენს ერთგულებაში ეჭვი არ მეპარება; შენ გასწირე შენი შვილები; თვითონაც მოლი, საჩუქრები მიიღე და დაუბრუნდი შშვიდობიან სამეფოს“. შემკრთალ მეფეს დაგვიანებით გამოუცხადეს თანაგრძნობა თავისმა ქვეშვერდომებმა, მთელმა სამეფომ, ეკლესიის მოძღვრებმა. ყველა ალაპარაკდა შაპის ვერაგობაზე; ყველგან გაისმოდა გმინვა და ტირილი უმწეო კახელებისა...

თავსდატეხილი და გოსალოდნელი უბედურებით შემკრთალმა და შეწუხებულმა თეიმურაზმა გადაწყვიტა, უკანასკნელი ღონისძიებებისათვის მიემართა — ქართლის მეფეს ლუარსაბს დაკავშირე-

ბოდა და შაპის ძალებისათვის გაერთიანებული ძალა დაეპირისპი-
რებინა.

ქართლის მეფე ლუარსაბმა, შაპისა და განსაკუთრებით გიორგი
საკაძის მოქმედებით შეშინებულმა, ჯარი შეკრიბა და დაბა მუკუჭი⁷.
ზანთან, მდ. იორის მარცხენა ნაპირის მთელ ხაზზე თავი მოუყარა.
აქ ქართლის მეფე ლუარსაბმა და კახეთის მეფე თეიმურაზმა კახე-
თისაკენ ტყე-ტყე მიმავალი ერთადერთი გზა ჩახერგეს. ომისათვის
ქართველ მეფეთა მზადებამ შეაშინა შაპ-აბასი; შეძრწუნებულმა
შაპმა გიორგი სააკადეს მიმართა. მამაცი და თადარივიანი სარდალი
დაემხო შაპის წინაშე და მოხასენა: მეფეო, კისრად ვიღებ სამ დღე-
ში თქვენს აქედან გაყვანასო. დამშვიდებულმა შაპმა მას ნათქვამის
ალსრულება მიანდო. გიორგი სააკადემ გვერდი აუარა ჩახერგილ
გზას და შაპის მთელი ქვეითი ჯარი ტყეთა და მთათა გავლით გა-
იყვანა კახეთში და სიღნაღთან გაჩნდა. მოურავის ასეთი მოულოდ-
ნელი მოქმედებით შეშინებულმა ქართველთა ჯარმა მიატოვა ჩა-
ხერგილი გზა და შაპმაც შეუფერხებლად გაატარა ჯარი²⁵ სააკაძის
ჯართან შესახერთებლად.

ვახუშტის ცნობით, ნუგზარ არაგვის ერისთავი, იესე ქსნის
ერისთავი, ანდუყაფიარ ამილახვარი, ფეშანვი ფალავანდიშვილი და
ალათანგ ხერხეულიძე, გიორგი საკაძის მიერ წაქეზებულნი, თავი-
ანთი რაზმებით განჯაში შაპთან გამოცხადდნენ და მორჩილებით
ალუთქვეს ქართლის მეფის წინააღმდეგ სამსახური²⁶. ამან ძირი გა-
მოუთხარო ხალხის სულისკვეთებას, მის მზადყოფნას, ძლიერ მტერს
შებმოდა, ქართველ მეფეებს წარმატების იმედი გაუქარწყლა და
მოსპო საქართველოს გადარჩენის ყოველი საშუალება. ღვთისანა-
ბარად დარჩენილმა ხალხმა დაყარა უკვე უსარგებლო იარაღი და
მთებში გაიხიზნა. მეფე თეიმურაზმა ჯარი დაშალა და ქართლში გა-
დავიდა. ქართლი იმ დროს შიშა და მწუხარებას მოეცვა. ღალატ-
მა თავი იჩინა კახეთშიც. შაპის მიერ გაგზავნილი მოწინავე ჯარი
მდ. მტევარზე გადავიდა და უალეთს მიადგა. გზად შეხვედრილი
მწყემსები სპარსელებმა ტყვედ წაიყვანეს და შაპს წარუდგინეს.
შაპშა ისინი დაასაჩუქრა და თავთავიანთ ადგილებში დაბრუნა.
ასეთი მოპყრობა საქმაო აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჰკუასუსტ ადა-
მიანებში შაპს ხალხის მწყალობელის სახელი მოეპოვებინა. შაპის
ვერაგობამ მიზანს მიაღწია. კახელები მეფეს გადაუდგნენ და თავი-
ანთ მომავალ დამმონებელს ეგებებოდნენ. თეიმურაზი ოჯახიანად

გადავიდა მეფე ლუარსაბთან, დაბა მუხრანში. შაპმა ომი გამოცხადა ა რიცე მეფეს, რომელთაც აღარც ჭარი ჰყავდათ და ცოტოც სარდლები.

კახეთში ყოველი მხრიდან შემოსეულმა მტრის ჭარმა ხალხი აიძულა შაპის ძალაუფლებას დამორჩილებოდა. ქართლის მეფემ ლუარსაბმა და კახეთის მეფემ თუმშრაზმა, გადარჩენის სხვა საშუალება რომ არ პქონდათ, თავშესაფარი იშეორთის მეფე გიორგი მესამესთან პჰოვეს, რომელმაც მათი ოჯახები პატივით შიოლო, თუმცა შაპისა, მის ხელქვეით მოქცეული ქართველთა რაზმებისა და ქართველ მეფეთაგან განდგომილი ქართველი თავადებისაგან საფრთხეს მოელოდა.

კახეთისა და თბილისის გავლით ქართლისაკენ შაპის ორი რაზმი მიემართებოდა. ისინი გაქცეულ მეფეებს დაედევნენ, თითქოს მათ მიერ აღლებული ხალხის გადარჩენა სურდათ. თვითონ შაპი კი ჭარით ჭერ კახეთში შემოვიდა, შემდეგ კი, მდ. არაგვზე გადავიდა (საღაც არაგვი მტკვარს ერთვის) და მალე ქალაქ გორში შევიდა.

კახეთის გამგებლებად შაპმა მასთან მორჩილებით გამოცხადებული თავადები ნოდარ ჯორჯაძე და დავით ასლანიშვილი დატოვა.

რაკი იმერეთისაკენ მიმავალი გზის გადალახვა იოლი არ იყო, თანაც რაკი იმერლები საომრად უმზადებოლენენ, შაპმა გადაიფიქრა ლიხთიმერეთის სახიფათო მოებზე გადასვლა. შაპი დარწმუნებული იყო, რომ ქართლი და კახეთი, რომელებსაც უძველესი დროიდან სპარსულ ზნე-ჩვეულებათა ზეგავლენა ემჩნეოდა, ადვილად დაემორჩილებოლენენ სპარსელების ძალაუფლებას. ქართველ მეფეთა მიმართ შურისძიებით აღვსილი შაპ-აბასი იმერეთის მეფე გიორგი მესამეს მასთან თავშეფარებული მეფეების — ლუარსაბისა და ოეიმურაზის გაცემას სთხოვდა. მეფე გიორგი შუამავალი გახდა ბედისაგან დევნილ მეფეებსა და შაპ-აბასს შორის. მან იმერეთის კათალიკოსი მალაქია და თავისი სახლთუხუცესი თავადი ლევან აბა-შიძე საჩუქრებით, შშვიდობის მოციქულად გაგზავნა შაპთან. იმერეთის მოძღვარი თავისი ამალით ქ. გორში შაპის წინაშე წარსდგა და მეფის სახელით მოახსენა: „გევედრები წყალობას, გთხოვთ დაუბრუნოთ მეფეებს თავიანთი სამეფოები, და დააკისროთ ქვეშვრდომობა მათთა მამა-პაპათა მსგავსად“. მრისხან შაპი დარწმუნდა, რომ მეფეთა ძალით გამოთხოვა შეუძლებელი იყო. ამიტომ ცბიე-

რება იჩია: იმერეთში მეფე ლუარსაბის ბიძა ქართველი თავადი შადიმანი გაგზავნა და დავალა, მეფე დაარწმუნე, რომ მის მი-
მართ კეთილად ვარ განწყობილი, განა დავტოვებ მეფე ლუარ-
საბს, მეფე სიმონის შვილიშვილს, მეფე გიორგის შვილსო; მას, კა-
ხეთის მეფის თეიმურაზის მიერ მოტყუებულს, სამეფოს დაბრუნე-
ბასა და სხვა ყოველ სიკეთეს ვპირდებით. შაპმა თავის მხრივ კათა-
ლიკოსი მალაქია და მისი ამაღლა უხვად დაასაჩუქრა და დაბარა:
„თეიმურაზი ჩემი ძელი მტერია, მა მე არ ვენდობი; ლუარსაბის
წინაპართა დამსახურებას კი ვაფასებ. დაბრუნდეს ჩემთან და მე
მას დავასაჩუქრებო“.

შაპის მიერ კათალიკოს მალქიისთან ერთად გაგზავნილმა თა-
ვადმა შადიმან ბარათაშვილმა და სპარსეთის სამეფო კარის ერთ-
ერთმა საჭურისმა, მეფე ოჩილის ლექსებში მუსაიბად დასახელე-
ბულმა²⁷, შაპის სახელით გადაცეს მეფე ლუარსაბს ძვირფასი
თვლებით შემქული ხმალი და ლუარსაბის დის — შაპ-აბასის მე-
ულის წერილი. ლუარსაბს თავისი და სწერდა, მორჩილებით გა-
მოცხადდი შაპთან, მე ეკვი არ მეპარება შენდამი შაპის სიყვარულ-
სა და გულწრფელობაშით. მეფე უკვე ცხენზე იჯდა და მზად იყო
იმერეთიდან გამოსამზავრებლად, მაგრამ მას მეფე გიორგი, მეფე
თეიმურაზი და იმერეთის ხალხი აჩერებდა.

სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულ მეფე ლუარსაბს აღელ-
ვებდა ქვეყნის ბუნდოვანი მომავალი და მან გადაწყვიტა, ხალხისათ-
კის თავი შეეწირა. მას ეშინოდა შურისძიებისა, რომელსაც ქართ-
ველ ხალხს და ქრისტიანულ სარწმუნოებას თავს დაატეხდა შაპი.
მეფე ამბობდა, თუ არ ვეახელი, შაპი ჩემს ხალხს ქართლიდან აჰყ-
ას, სამეცნის ააოხრებს და ეს კი ლვთის წინაშე ჩემი შეცოდება
იქნებათ. ლუარსაბმა პირველი გადაიწერა, თავისი და შთამომავ-
ლობის ბეღ-ილბალი ღმერთს მიანდო და ქართლში გაემგზავრა.

შაპ-აბასს შეატყობინეს, მეფე ლუარსაბი რომ გამოემგზავრა
და თითქოს მის შესაგებებლად მიდისო, იმერეთისაკენ მიმავალი
გზადაგზა ნადირობით ერთობოდა. შაპის მხლებელმა რაზმა მოახ-
ლოებული მეფე უმალვე შენიშნა. შაპი და ლუარსაბი პირველად
დაბა რუისში შეხვდნენ ერთმანეთს²⁸. ისტორიკოსი წერს, შაპი მე-
ფეს გადაეხვია და ატირდაო, მისალმებისთანავე შაპმა გაკვირვება
გამოთქვა ლუარსაბის ახოვანებით, სასიამოვნო და ვაჟკაცური ტანა-
დობით და თავისი ერთგული და საყვარელი შვილი უწოდაო.

მიზანს რომ მიაღწია, შაპმა დაუყოვნებლივ გასწია თბილისაკენ, მეფე ლუარსაბთან ერთად, რომელსაც ქართლის სამეფოს დაუნებას დაპირდა, მაგრამ ამასთანავე სთხოვა ყარაიის უელიშში სანადიროდ წავიდეთო. შეფიქრიანებული და ცბიერი შაპის მიერ შეშინებული მეფე იძულებული გახდა თანხმობა განეცხადებინა.

გმაგრებული თბილისის ციხე, რომელშიც შაპმა ჭარი და ციხისთავი დატოვა, მეფეს ჭერ კიდევ ეპეს არ აღუძრავდა, რომ ცუდი რამ მოელოდა; სპარსეთის მორჩილ მეფეთა ხარჯზე ამ ციხეში უწინაც იღვა ჭარი.

სპარსელთა ბანაკის თვალშინ ლუარსაბის პირადმა გმირობამ კიდევ უფრო აღანთო შაპის გული მეფისადმი შურისძიებით. შაპს სურდა ქართველებისათვის წაერთმია საშიში ბელადი. შაპის მეუღლემ—ლუარსაბის დამ თვითონ: გააფრთხილა საცოდავი ძმა, არ გამოიჩინო მამაცური თვისებები, ეს შაპს არ ესიამოვნებაო, მაგრამ ამაოდ: მოსიყვარულე და გულშემატკივარი დის ჩჩევამ ვერ გასჭრა და ჭაბუქი მეფე უნებლიერ გახდა ტყვეობისა და სამშობლოს გარეთ მონობის მსხვერპლი. „მე უკვე ტყვე ვარ, — თქვა ლუარსაბმა, — და ჩემს სამშობლოს ვეღარ ვინილავო“.

ყარაიის ველიდან შაპმა, ლუარსაბთან ერთად, ყარაბაღისკენ გასწია, იქიდან კი მაზანდარანში წავიდა. აქ შაპმა მეფეს წინადაღება მისცა რჭული შეეცვალა — მიიღე მაპმადიანობა და ამით ჭანამტკიცე ჩემთან მეგობრობაო. ეს ლვთის საწინააღმდეგო წინადაღება მეფემ არ მიიღო, რის გამოც იგი გულაბის ციხეში დამწყვდიეს. შვიდი წლის პატიმრობის შემდეგ, 1622 წელს, 35 წლის მეფე შაპის ბრძანებით ოკეით დაახრჩვეს.

ქახეთის მეფე თეიმურაზის დატყვევებული შვილებისა და მისივე დედის ქეთევანის ბედიც სპარსეთში შაპის დაბრუნებისთანავე გაზარტყდა. ორივე ვაჟიშვილი დაასაჭურისეს. მათგან ერთი მაშინვე გარდაოჭვალა, მეორე კი სამი წლის შემდეგ დელოფალი ქეთევანი ბევრი ტანჯეს და აწვალეს, მაგრამ მაპმადიანობა მაინც ვერ მიაღებინეს. იგი მარტვილობის გვირგვინს შეეწირა ქალაქ შირაზში, 1624 წელს.

ქართულ გადმოცემებში შემონახულია რამდენიმე ეპიზოდი ქართლში შაპ-აბასის ყოფნის შესახებ. მათგან აქ მოყვანილია გიორგი სააკაძესთან დაკავშირებული და ცნობისმოყვარეთათვის საუზრადლებო ეპიზოდები.

ქალაქ გორისკენ ლაშვრობისას შაპ-აბასს შორიდან ერთაშობინდის ტაძარი შეუმჩნევია, თანმხლებელ მოურავ გიორგი სააკაძისათვის უკითხავს, რა მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხისათვის ამ ტაძარს, და ჯარისთვის ერთაშობინდის თვალწარმტაც მიღამოებში გაჩერება უბრძანებია. მეორე დღეს შაპს ტაძრის დანგრევის ბრძანებაც გაუცია. ჯარისკაცები ავარდნილა ტაძრის გუმბათზე და ნგრევა დაუწყიათ. ქრისტიანული სალოცავის სიძულვილით გამსჭვალულ შაპ-აბასს უეცრად მხედველობის თანდათანი დასუსტება უგრძენია. ამ მოულოდნელი ამბით შეძრუნებულ შაპს ვერაფრით აუხსნია ყოველთვის მახვილ და უტკიფარ თვალთა დაკარგვა. მას დაუძინია და სიზმარში რაღაც უხილავი ძალა უგრძენია, რომელიც უბედურებას უქადა, შიშით გაღვიძებულს ვერც სიზმრის მნიშვნელობა აუხსნია. მე ვნახე შუბით შეიარაღებული ბუმბერაზი, — უთქვამს შაპს, — რომელიც მკერდის განგმირვით მემუქრებოდა. შაპის სიზმარი სპარსეთის სამეფო ტახტის ასტროლოგ სიზმრის ამნისნელებსაც ვერ აუქსნიათ. მაშინ შაპის წინაშე წამდგარა გიორგი სააკაძის ამაღაში მყოფი, ერთაშობინდის მკვიდრი თეორწვერანი მოხუცი, გაუბედავს, დაუჩინება და შაპისთვის უთქვამს, დასუსტებული მხედველობა დაგიბრუნდება, თუ სასწაულმოქმედ ტაძრის ნგრევას შეაჩერებო, ის ბუმბერაზი, რომელიც სიზმარში გამოგცხადებია, წმინდა ესტატე არისო. შაპს შეუჩერებია ტაძრის ნგრევა, მოხუცს კი იგი მაშინვე მიუყვანია ტაძარში და უჩენებია კედელზე დახატული წმ. ესტატე. შაპი შემკრთალა, რადგანაც იგი ზუსტად მიუმსგავსებია სიზმარში გამოცხადებულისათვის. დიდია, — უთქვამს შაპს მოხუცისათვის, — ოქვენი წინასწარმეტყველიო. იქვე გადაუცია ერთ-ერთი დიდებულისათვის თავისი აღმოსავლური თვალ-მარგალიტებით შემკული ხმალი, ეფესი და ბუნიკი მოუხსნევინებია და ტაძრისათვის შეუწირავს. შაპს მაშინვე დაბრუნებია მხედველობა და უხვად დაუჭილდოებია მოხუცი ქართველი ასტროლოგი. ეფესია და ბუნიკს დიდი ხნის განმავლობაში ჰქიდებდნენ ტაძარში შენახულ წმ. ესტატეს ნაწილებზე, მაგრამ 1794 წელს, მეფე ერეკლეს მოთხოვნით, წმ. ნაწილები თბილისში ჩამოიტანეს ავადმყოფ თეკლა ბატონიშვილისათვის. ამის შემდეგ ისინი ერთაშობინდის ტაძარში აღარ დაუბრუნებიათ და სასახლის ეკლესიაში ინახავდნენ.

1795 წელს, აღა-მაპმადხანის მიერ თბილისის განადგურების



დროს ეფესი და ბუნიეთი, სასახლის სხვა ძვირფასეულობაზე მდგრადი და დაიკარგა. ერთი წლის შემდეგ წმ. ესტატეს ნაწილებიდან გამოსყიდულ იქნა მხოლოდ მარჯვენა მკლავი, რომელიც დღემდე ტაძარში ინახება. თბილისა და მთელ საქართველოში თვლაზე ხილუკანს უკანასკნელი უბედურების მოწმეთაგან ბევრ მოხუცს დღემდე ახსოვს წმ. ნაწილებიც და მათი სამკაულებიც — შაჰ-აბასის საჩუქრები და შეწილულება.

1735 წელს ნადირ-შავება ზემოაღნიშნული სამყაულების ხილვა
მიისურვა. შავ-აბასის მიბაძვით, მანაც აჩუქა ტაძარს სამასამდე მარ-
გალიტო, რომელიც აბრეშუმის მაგარ ძაფზე აასხმევინა იმ ღროს მის
სალაშვრო ჰარამხანაში ერთ-ოთხ ქართველ ქალს.

ძველ მკვიდრთ ასეთი გაღმოცემა ხშირად მოუსმენიათ კახეთის მეფე ერეკლე მეორისაგან.

მარგალიტების ეს ასხა, რომლითაც კათალიკოს ნიკოლოზის კურთხევით შემცული იყო წმ. ესტატეს ხატი, 1770 წლამდე არსებობდა, ე. ი. იქამდე, სანამ ლევები გაიტაცებდნენ მას ერთაშემინდის ტაძრის გაძარცვის დროს.

II

თბილისიდან შიდა ქართლისაკენ გზადაგზა შაპ-აბასის ამაღლაში
მყოფი ზოგი ქართველი გულმოდგინედ ეძებდა ხრამებში იას, ტიტა-
სა და საერთოდ მინდვრის ყვავილებს შაპისათვის მისართმევად. მდ.
მტკვრის მარჯვენა მხარეზე, ქართლში შაპის მგზავრობას არაფერი
აფერებდა და იგი ამით კმაყოფილი იყო, მაგრამ ის კი სწყინდა, რომ
სოფლებში მცხოვრებლები არ ხვდებოდნენ. ჩაკი ქართველები სპარ-
სელებისათვის მიუდგომელ ტყეებში იყვნენ გახიზნული, მოსალოდ-
ნელი საფრთხის შიშით შეფიქრიანებულმა შაპმა ღამე კავთისსხვში
გაითენა. საღამოთი ზოგიერთმა ქართველმა კვლავ მოწიწებით მიარ-
თვა შაპს ყვავილები. შაპმა მათ მრისხანედ გადახედა, ყვავილები არ
მიიღო და ოქვა: მე ყვავილებს კი არ ვეძებ, არამედ ცოცხალ აღამი-
ანებს, იმათ, ვინც არ მემორჩილებათ. შაპი მოკრძალებულად დაარ-
წმუნეს სურვილი სწრაფად და უცილობლად შესრულდებათ, და
ამით დაუშოშმინეს სიძულვილითა და რისხვით აღგზნებული გული.

I-II

ნოსტეში ყოფნის დროს გიორგი საკაძემ, რომელსაც შაპის გულთბილი მოპყრობა არ აქვთ, ამ უკანასკნელს ნებართვა სთხო-



ვა, ჩემს საგვარეულო დაბაში თქვენი ყოფნის აღსანიშნავად, აღმო^{ცეკვის განვითარების} სავლეთის მეფეთა ჩვეულებისამებრ, მარმარილოს სვეტს აღმართავო, შაპმა ნება დართო; თადარიგიანმა მოურავმა თავისიანებს უბრძანა, უკან დაბრუნების დროისათვის, ათ დღეში ძეგლი მზად იყოსო ქალქ გორიდან მეფე ლუარსაბის თანხლებით დაბრუნებული შაპი გაჩერდა ძეგლთან, დაათვალიერა იგი და მოურავი უხვად დაასაჩუქრა.

ეს ძეგლი შაპ-აბასის შემდეგ დიდხანს არ მდგარა. როცა სპარსეთიდან დაბრუნდა და შაპს ულალატა, იგი თვითონ მოურავმა დაანგრია. მის ადგილზე საყდარი ააშენა, რაც დღემდე არსებობს.

IV

როცა დაბა ნოსტეში გიორგი სააკაძესა და თავის დიდებულებს უმასპინძლდებოდა, შაპ-აბასმა ყალიონი, ყავა, ლვინო, და ორიაქე მოითხოვა²⁹. „ეს ოთხი საგანი საერთო მხიარულების ოთხი ნაწილი და სიამოვნების კარავის ოთხი დედაბოძიაო“, — თქვა შაპმა.

V

საქართველოში შაპ-აბასის ჰირველი ლაშქრობის დროს ქართლის ჯარმა ბრძოლა შაპის მოწინავე ჯართან შეხვედრისთანავე დაიწყო. ეს ბრძოლა იმდენად გაძელული იყო, რომ შაპ-აბასის გამოწენას შეეძლო მხოლოდ გაეძლიერებინა იერიში მამაცი ქართველებისა, რომლებმაც ერთ საათში 2000-მდე სპარსელი გაშევიტეს. განარჩევების იმედდაკარგულმა სპარსელებმა მათ შხარეზე გადასულ ქართველთა დახმარება ითხოვეს. მოურავ გიორგი სააკაძესთან და ახლოებული კაცი, შაპის პატივი რომ მოპოვებინა, მუზარალით და ჩაჩქანით შემოსილი, შაპის დასაცავად მის წინ დადგა ბრძოლა ღამემდე გაგრძელდა და ქართველების უკუქცევით დაბოლოვდა. მეორე დღეს ის ქართველი, რომელიც ხიფათისაგან შაპის დაცვით პატივის მოპოვებაზე ოცნებობდა, შაპთან დაიბარეს. შაპმა იგი სრულიად მოულოდნელი კითხვით გააოცა.

„— როგორ გაძედე ჩემწინ დაღვომა გუშინდელ ბრძოლაში?“.

„— თქვენი სიცოცხლის გადასარჩენად, დიდო შაპო“, — უპასუხა მუხლმოდრეკით ქართველმა, — მსურდა შემეწირა საქუთარი სიცოცხლე“.

— მაშ შენ მე ლაჩრად ჩამოვალე? — მრისხანელი შემომართებული შეკმა და ბრძანა, თავი მოკვეთეთო.

VI

გიორგი სააკადე შეუძრუნებლად ვერ უყურებდა მეფე ლარ-
საბს, რომელიც მის მიმართ არავითარ გულისწყრომას აზ გამოთქ-
ვამდა. თბილისის ციხე-სიმაგრიდან, რასაც შაპ-აბასი ათვალისწე-
ბლა, ლუარსაბ მეფემ მიაპყრო თვალი სიონის ტაძარს, პირველი გა-
დაიწერა და დიდებული ლოცვა წარმოთქვა: უფალო, აპატიე ჩემს
მტრებს. შეძრუნებულმა გორგი სააკადემ ძლივს მოახერხსა ეთქვა:
«მე ვარ შენი მტერი?» და თვალები ცრემლით აევსო.

— შენ შეგეძლო შური ჩემზე გეძია, — უპასუხა მეფემ, — ხალც
რას ერჩიდი, რომელიც სამუდამოდ დაილუპა, ან ეკლესიას, რო-
მელმაც შენ სარწმუნოება და ცხოვრება მოგანიჭა?

მონაზონი მაკრინე წერს, ამ წუთიდან გიორგი სააკადე გულით
სპარსეთის მტერი გახდა და გადაწყვიტა, აღრე თუ გვიან ბოლო მო-
ელო საქართველოში სპარსეთის ბატონობისათვის, რაც მის სულ
შძიმე ტვირთად აწვაო.³⁰

VII

ქართლიდან თბილისში რომ ბრუნდებოდა, მცხეთის წიდთან
მისვლისთანავე, შაპ-აბასი ცხენიდან ჩამოვიდა, ხმალი ქარქაშში ჩა-
ფით და ბრძანა, რომ ქართველთა პირველ სატახტო ქალაქ მცხეთაში
მისი ძლევამოსილი ლაშქრობა ამ ქალაქის სახლებისა და ეკლესიე-
ბის დანგრევით აღნიშნულიყო. მისი ულმობელი, მრისხანე ბრძანე-
ბით ნახევარ საათში სპარსელებმა მოასწრეს ხიდიდან მდ. მტკვრის
ნაპირზე 70 სახლის გადაწყვა და იერუსალიმის გეთსიმანის ტაძრის
მსგავსად ბორცვზე აშენებული გეთსიმანის ეკლესიის კამარის და-
გრევა. ამ განკარგულებით შეძრუნებული პატრიარქის ამალის ხუ-
ცესი ბერი პართენი, რომელიც ტაძრის ქვეშ ქვაბულში დამალულ
ძვირფასეულობას დარაჯობდა, წარსდგა მრისხანე შაპის წინაშე, მუხ-
ლი მოიდრიკა, მიესალმა მის მოსვლას და გაბედა მოეხსენებინა:

— დიდო შაპო, ნუ დაანგრევ ტაძარს, ღვთის სადიდებლად აგე-
ბულს, ზეციერ შემოქმედისათვის მიძღვნილს, მან ხომ შენც გიწ-
ჭალობა გამარჯვება.

— რას მოელი, მოხუცო? — შეეკითხა შაპი, — რას თხოულობ?

— ნუ დაუნგრევთ ტაძარს თქვენს მორჩილ ხალხს, ეს ტაძარი სპარსელთა მფარველობით ჩვენმა მეფეებმა ააშენეს, მას პარივსა სცემდნენ და მდიდრად ასაჩუქრებდნენ შაპებით.

შაპმა ბრძანა შეეჩერებინათ ნგრევა, შევიდა ტაძარში, დაათვალიერა შიგნით, წინ ხალიჩა დააგებინა, შეასრულა ლოცვა და აქვებრძანა, დაწერათ მტკიცების სიგელი მთელ ქონებაზე, რაც კი ძველი ღრივადან ტაძრისთვის ქართლისა და კახეთის მეფეებს /შეეწირათ. ძვირფასეულობა რომ ვერ ჩონვა, რაც ტაძარში ეგულებოდა, შაპი შეეკითხა ხუცესს:

— სადღა არის ტაძრის სიმდიდრე და ნივთები?

— ძვირფასეული ჯერ კიდევ თქვენს მობრძანებამდეა წალებული შორეულ მთებში, — უპასუხა ხუცესმა, იმის შიშით, გადამალული სამკაულები ხელახლა არ მოძებნოს, ტაძრის ქვეშ აღგილი უჩვენა, სადაც ტაძრის სალოცავების ნაწილი ინახებოდა, და მოახსენა: — ამეამად ტაძარში ამაზე მეტი არაფერია.

— ეს რა სიმდიდრეა? — შეეკითხა შაპი.

— უველაზე ძვირფასი, — უპასუხა ხუცესმა, მაცხოვრის კვართის ნაწილია, სიჩქარისაგან რომ დაავიწყდათ წალება მეფის მსახურთ.

შაპმა ოილო ოქროს პატარა კიდობანი, გააღო, ნახა ალისფერი ანაფორის პატარა ნაჭერი, ისევ დაკეტა და გიორგი სააკაძეს გადასცა, სპარსეთში დაბრუნებამდე შეინახეო.

მაცხოვრის ანაფორის ეს ნაწილი 1629 წელს შაპ-აბასმა საჩუქრად გაუგზავნა რუსეთის მეფეს და პატრიარქ ფილარეტს, რუსეთის ელჩ კორობინის და შაპ-აბასის კართან მყოფი ვინმე ქართველის როსტომ-ბეგის მეშვეობით.

VIII

შაპ-აბასმა შენიშნა, ლუარსაბ მეფის ბედზე მოლაპარაკების დროს იმერეთის ელჩები გიორგი სააკაძეს წმ. გიორგის სახელითა და მისი სასწაულმოქმედი ხატით აფიცებდნენ იმერეთის დაბა მრავალ-ძალში, რომელიც იმერლების უდიდესი სათაყვანებელი სალოცავი ცყო. ეს რომ შეიტყო, შაპმა საჩუქრად იმერეთის დიდებულებს მდიდრულად შემკული თავისი ხმალი გადასცა და სთხოვა, ეს საჩუ-



ქართის ტაძრის კედელზე დაჭირდეთო. გეოგრაფი ვახუშტი აღმინშვერი ხმალი მრავალძლის ეკლესიაში ჩამოკვიდეს, როგორც შაპ-აბასი დიდი საჩუქარიო, და დასძენს: „არა თუ სარწმუნოებით, არამე პუნან რამეთუ ხმალი მისი ჰყიდავს მუნ“. ეს ხმალი 1745 წელსაც ხსენებულ ეკლესიაში იყო. არ ვიცია ეხლაც იქვე არის თუ არა.

IX

იმერეთის საზღვრიდან ქართლში დაბრუნებისას შაპს გული მოსავებად დაბა კარალეთის მცხოვრები ლამაზი ქალწულები წარუდგინეს, რომელნიც მან თავისი ამალის დიდებულებს გადასც ქალები პატივითა და ალერსით მიიღეს, მხევლები მიუჩინეს, სამკაულებით მორთეს და აბილი ბუმბულის მდიდრული საწოლები გაუშალეს. ფუფუნებას შეუჩეველი კარალელი გოგონები მწუხარებია დასტიროდნენ თავიანთ უბედურებას. მდიდრული საწოლების დანახვისას მათ კარალეთის გლეხური ცხოვრება, სამო ჭილობები და ჩალის მუთაქები აგონძებოდათ: „ვაი შენ, კარალულო ჭილაო“, — გაიძახოდნენ ისინი; ეს სიტყვები იმ დროიდან დარჩა ხალხურ გამოთქმად, და დღემდე იმეორებენ საქართველოში შაპ-აბასის ბარბაროსაბობის საზარელი ღროის გახსენებისას.

X

სიონის ტაძრის დათვალიერებისას შაპ-აბასმა შენიშნა ერთი ხრი. მასზე მთავარანგელოზი ჯიბრაილი იყო გამოსახული, რომელი ზეციური მადლის ნიშნად, ქალწულ მარიამს აყვავებულ შტოს აწერდის, ნახატის სილამაზით მოხიბლულმა შაპმა გიორგი სააკაძეს ხატის მნიშვნელობის ახსნა მოსთხოვა. სააკაძემ განუმარტა ხატის მნიშვნელობა და დაუმატა, ეს ხატი, რომელზედაც წარმოდგენილი არია მთავარანგელოზი ჯიბრაილი და ქალწული მარიამი, ისლამის დიდ წინასწარმეტყველის მიერაც დაშვებულია. შაპ-აბასმა ხატის კედლიდან ჩამოღება და სპარსეთში გაზიარდა ბრძანა:

— დაე, პეტრე იგი მაპმადის ერთგულ ხალხს, რომელიც ყველას უჩვენებს ნამდვილ თაყვანისცემას, როგორც ღვთის ნება-სურ-

ფილის მაუწყებელი მთავარანგელოზის ჯიბრაილისადმი, ისე წინასაჭიროება
წარმეტყველი იესოს დედის — ქალშული მარიამისადმი.

გიორგი სააკაძე, რომელმაც სამშობლო დაკარგა, და სინდისი
ჰენკნიდა, სპარსეთში ცხოვრობდა და შაპის წყალობით სარგებლობ-
და. იმ დროს ქართლში მეფობდა ბაგრატი, რომელსაც შინაგანი გან-
ხეთქილება აწუხებდა. შაპ-აბასის მიერ თავისთან დატოვებული გი-
ორგი სააკაძე მხოლოდ შორეული მხილველი იყო იმ უბედურებისა,
რაც აღელვებდა ქართლში სამეფოს და მეფეს; იგი, როგორც თვი-
თონ წერდა, გულითა და სულით სწუხდა თავისი საყვარელი სამშობ-
ლოს უბედურებაზე. ჩუგზარის სიკვდილი, — წერდა იგი ნუგზარის
უმცროს შვილს ზურაბს, — ხალხის უბედურებაა. აღარ არის რკინის
ხელი, რომელიც სამეფოს მყუდროებას იცავდა; აღარ გვყავს ბელა-
დი, მთელი ხალხისა და პირადად ჩემი იმედი. შენი ძმა ბაადური,
რომელიც არავის საერთოსაოს გამგებლად დარჩა, სულითა და
ხორცითაც სუსტია. შენ კი, საყვარელო შვილო ზურაბ, ჩემი აღზრ-
დილო, ყრმობილან სამხედრო საქმეებისათვის მწიფდებოდი. მოდი
ჩემთან, ეახელ დიდ შაპს და მის საპატიო ტახტან აღიჭურვე გამ-
გებლის წილებითა და უფლებებით³¹.

ზურაბმა შეისრულა რჩევა, თავისი ოჯახით დიდი გზა გაიარა და
სპარსეთში შაპ-აბასს ეახლა. მასთან ერთად შაპთან ქართლის მეფის
ძე, ბაგრატის შვილი სიმონიც გამოცხადდა. იგი ქართლში არსებულ
შფოთს, ცალკეული სამთავროების განდგომასა და ბოლოს, შაპის
დაჭხმარებლად მშვიდობიანი მეფობის დამყარებას შეუძლებლად
თვლიდა.

1619 წელს ქართლის მეფე ბაგრატი გარდაიცვალა. ქართლში
შექმნილი აშლილობით შეფიქრიანებულმა შაპ-აბასმა მეფედ ახალ-
გაზრდა სიმონ მეორე დაამტკიცა და ქართლში გამოისტუმრა. მე-
ფე თან გამოაყოლა დიდქალი ჯარი ყარჩი-ხანის წინამდოლობით.
შაპმა საქართველოში გამოისტუმრა აგრეთვე გიორგი სააკაძე, რო-
მელსაც ქართლის მოურავობა აღუდგინა და ზურაბ არავის ერის-
თავიც, რომელსაც არავის ერისთავა ებოძა.

შაპმა ყარჩი-ხანს საიდუმლოდ უბრძანა კახეთის მთლიანი
ამოწყვეტა, ქართლის აყრა და სპარსეთში გადასახლება. მძევლე-
ბად გიორგი სააკაძის შვილი პაატა და ზურაბ არავის ერისთავის
ცოლი დატოვა.³²

1623 წელს სიმონ მეფე სპარსთა ჯარის, გიორგი სააკაძისა და



ზურაბ არაგვის ერისთავის თანხლებით თბილისში მოვიდა ქართლის ქართლის სამეფო ტახტზე აიყვანეს. ქართველებს იმედოვნებოდნენ ხანგრძლივი მშვიდობიანობა და მყარდება, მაგრა ეს ასე არ მოხდა. მოურავი, როგორც ყველა მოქმედების მთავარი მოქმედი პირი, იძულებული იყო გარემოებებს დამორჩილებოდა. მას, როგორც ქართლის მოურავს, მოჰყავდა სპარსეთის ჭარი, რომელსაც სურ-სათ-სანოვაგით, სამხელრ-საჭურვლით ამარავებდა. იგი ხალხის აზრს და გრძნობებს შაპის მრისწნავ სახელს უმორჩილებდა, დიდებულებს ქედს ახრევინებდა და ყოველგვარ საშუალებას პოულობდა პირადად ამაღლებულიყო, წინდახედულად ნავარაუდევი თავისი მომავალი გეგმები შეესრულებინა. მოურავის გულში შაპისადმი ღალატი იმაღლებოდა, რაც მან ზურაბს ჭერ კიდევ ქართლში მოსვე ლამდე გაანდო.

სპარსელებს არავითარი ეჭვი არ ეპარებოდათ და სრულიად დაენდუნენ მოურავს, რომელმაც სამშობლოს გათავისუფლების განზრახვა ქართლზე სპარსელების ლაშქრობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე კათალიკოსსა და წილკანის ეპისკოპოს პართენს გაანდო.

კახელებმა მოურავის განზრახვა მაშინ შეიტყვეს, როცა სპარსელთა რაზმი სოფელ ილაიანისა და მუხრანის სამფლობელოს მიდამოებს ანალგურებდა და აოხრებდა. ამავე ღრის მოურავმა თავის განზრახვა მეფე თეიმურაზსაც აცნობა.

მეფე სიმონი თბილისში რომ დატოვა, მოურავმა სპარსეთის ჭარი ყარჩი-ხანის მეთაურობით მუხრანში წიაყვანა, საფურცლის ველზე განალაგა და სპარსეთიან მშვიდობის გასამტკიცებლად კახელებს მათთან შეერთება მოუწოდა.

კახეთის თავადებს, ხანთან შესახვედრად დაპატიჟებულო, მოტყუებით, თითქოს იმისთვის, რომ მათთვის შაპის გამოგზავნილი საჩქრები უნდა გადაეცათ, სპარსელებმა მუხანათურად დაუწყეს ხოცვა „თევზირსა შინა წინაშე ხანისასა“. მოტყუება გამომუღავნდა. ეს საქმაო იყო, რომ ხალხის გულში გმირობის ცეცხლი დანთებულიყო და მოურავმა შესძახა:

— მეგობრებო, იარალისკენ!

სპარსელები შეკრთნენ, დაიწყო მათი ულეტა. ქართველებს თავის შეურაცხყოფილი ერისა და შელანძღული სალოცავებისათვის შურისგება საბრძოლველად აღაფრთოვანებდა. კახელები, რო-

ცელთაც მოურავი მხარს უჭერდა, შეიარაღდნენ თავიანთი ამაოხალებითია
რებლების წინააღმდეგ და აღიმართნენ ღირსების დასაცავად. შუ-
რისძიებით აღზუნებული ქართველთა ჯარი სპარსეთის ჯარს შეესია,
დაამარცა და გააქცია. მცხეთის გზაზე ცხენით გაქცეული ყარჩი-
ხანი მოურავმა მახვილით განგმირა და თავი მოჰკვეთა. მეორე
დღეს მოურავმა და ზურაბ არაგვის ერისთავმა, დაბა ნორიოსთან
მომხდარ ბრძოლაში, ამაღლების დღეობის ლამეს, ყარჩი-ხანის შვი-
ლი ვერდი-ბეგიც გამოასამდეს წუთისოფელს.

სპარსელებზე გამარჯვებას რომ ზეიმობდა, მოურავმა სპარ-
სელთა მძიმე მონობისაგან საქართველოს სრული გათავისუფლების
გეგმა შეადგინა. .

მოურავის მოქმედება რომ შეიტყო, შაპ-აბასშა კახეთის გამგე-
ბელ ფეიქარ-ხანს³³ მოურავის მოჭრილი თავი მოსთხოვა. იმ დროს,
როდესაც შაპის ბრძანებით მისი შათირი ლოჭინის ხევით მიაქრო-
ლებდა ცხენს კახეთში, ნადირობაზე მყოფმა მოურავმა შემთხვევით
შეიძყრო იგი, იქვე მოკლა, წერილი ამოართვა და წაიკითხა. ეს იყო
შაპის განარგულება — მოურავის მოკლის, კახეთის ოხრებისა
და ხალხის გადასახლების შესახებ. ამ შემთხვევაში, ვაჟუშტი სამარ-
თლიანად წერს მოურავზე, მისი ასეთი მოქმედებით საქართველო
გადაურჩა მთლიან განადგურებას; „გარნა თუმც არ ეხილვა მო-
ურავსა წიგნი იგი შათირისა, აყრილიყომცა ქართლი. გარნა იხსნა //
ლმერთმან ერი თავისი ესრეთ“.

მოურავის გეგმით გადარჩენილ ხალხს საბრძოლველად მოუ-
წოდებდნენ. „მე თქვენთან ვარ, — წერდა გიორგი სააკაძე, საშობ-
ლოს ერთგულ დიდებულებს, — ჩემი მარჯვენა ჯერ კიდევ შემძლეა
შური იძიოს სპარსელებზე დალვრილი სისხლისათვის. საქართვე-
ლოში ნურც სპარსეთის ბატონობა იქნება, ნურც მაპმადიანი სიმონ
მეფე“.

მოურავმა ზურაბ ერისთავი ძლიერი ჯარით შარგზავნა კახეთ-
ში ფეიქარ-ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად. თვითონ გიორგი
სააკაძე თბილისისაკენ გაემართა, საღაც მეფე სიმონის მცველი
სპარსელთა ჯარი იდგა, სწრაფად დაიკავა თბილისი და მის ციხეს
ულყა შემოარტყა. დროის დაუკარგავად გიორგი სააკაძე კახეთისა-
კენ დაიძრა, რათა ზურაბს შეერთებოდა. ზურაბის მიერ დამარცხე-
ბულმა ფეიქარ-ხანმა ოჯახიანად კახეთიდან გაქცევით გადაირჩინა
თავი. მოურავი და ზურაბი მტკვარზე იორის შესართავის ზემოთ



გადავიდნენ, ფეიქარ-ხანს ქალაქ ბარდავამდე სდიეს, გამჭვაცურთა
ბალი აოლეს და დიდი ნადავლით ქართლში დაბრუნდნენ.

თუმცა თბილისის ციხეში მომწყვდეულ სიმონ მეფეს სპარ-
სელთა გარნიზონი იცავდა, გიორგი სააკაძემ ქართლის გამგებლად
ვახტანგ მუხრან-ბატონის შვილი ქაიხოსრო გამოაცხადა.³⁴

ქართლის გამგებლის წოდებით ოლქურვილ ჭაბუკ ქაიხოსრო
მოურავი ხელმძღვანელობდა, რომელსაც მოელ სამეფოში მეფის
სრული ძალა-უფლება ეჭირა და მართვა-გამგებლობის ყველა სადა-
ცი ხელო ეპყრა.

სახელი გმირისა დიდებით დააგვირგვინეს. მადლიერმა სამშობ-
ლომ გიორგის ხალხის მხსნელი, სამშობლოს მამა და ეკლესიის შვი-
ლი უწოდა.

ეპისკოპოსნი საქურთხევლის წინ ლოცულობდნენ გიორგი სა-
აკაძის დღეგრძელობისათვის, თითქოს ავიწყდებოდათ ის საშინელი
მსხვერპლი, რაც მოჰყვა მის გაუფრთხილებელ სიტყვებს რამდენი-
მე წლის წინათ შაჰთან რომ თქვა: „ვიდრე ლუარსაბი ცოცხალა,
ქართლში მშეიღობა არ იქნებათ“.

მოურავის სწრაფი და დიადი წარმატებებით მოხიბლული
დიდებულები და თავადები მასთან მეგობრობას ცდილობდნენ, მის
დასახმარებლად ისწრაფოდნენ და თავიათ რაზმებს ყველგან მისი
გამარჯვებული დროშის ქვეშ აერთიანებდნენ, პოეტები, მესტეირე-
ნი განუწყვეტლივ ადიდებდნენ მტრებისათვის საზარელსა და ხალ-
ხისათვის სანუგეშო მის სახელს.

ძლევამოსილმა გამარჯვებამ, ხალხის მხსნელის სახელმა არ გა-
ამპარტავნა, არ გაადიდეაცა მოურავი.³⁵ მოურავმა, რომელსაც ქართ-
ლის გამგებლის ჭაბუკ ქაიხოსროს სრული იმედი არა ჰქონდა და
ამავე დროს მეფედ არც სპარსეთის შაპს მომხრე მაპმაღიანი მეფე
სიმონი სურდა, ძველად გაყოფილი ორი სამეფო—ქართლისა და
კახეთის ერთი სკიპტირის ქვეშ გაერთიანება განიზრახა და ამ სასი-
კეთო მიზნის განსახორციელებლად შავი ზღვის სანაპიროზე არსე-
ბულ გონიოს³⁶ ციხე-სიმაგრეში მყოფი, კახეთიდან განდევნილი მე-
ფე თეიმურაზ პირველი მოიწვია.

კათალიკოსი ევლემოსი, სამთავროს მთავარეპისკოპოსი დანიე-
ლი, რუსის მიტროპოლიტი აგაფონი, ალავერდის მთავარეპისკო-
პოსი ფილიპე, ზურაბ არაგვის ერისთავი და იესე ქსნის ერისთავი
თეიმურაზს იმერეთის საზღვარზე მიეგებნენ.

მასის თვეში მეფე ზეიმით შევიდა პირველ სატახტო ქალაქ მცხეთაში, აქედან კი უინგალის ხილით და თაანეთის ულელტეხილით ახეთში გადავიდა.

ორი სამეფოს გაერთიანებაზე მზრუნავი მეფე თეი-მურაზს სთხოვდა ჭარი შეეკრიბა, სპარსელებთან შემდგომი სამცხე-დ-რო ბრძოლების მოსამზადებლად, სპარსელთა გარნიზონის გასადევ-ნად თბილისის ციხიდან, სადაც ჯერ ისევ იყო მომწყვდეული შავ-აბასის მორჩილი ქართლის მეფე სიმონი, და ეს გარნიზონი იცავდა მას. ამასთან ერთად მოურავი სთხოვდა მეფეს, ძალაუფლების გან-სამტკიცებლად და სამეფოში სამუდამო მშეიდობის დასამყარებ-ლად, მეფის ასული ნორჩი დარეჯანი სახელოვან ზურაბ არაგვის ერისთავისათვის მიეთხოვებინა.

ახალგაზრდა ზურაბი და მეფის ასული დარეჯანი მართლაც მა-ლე დააქორწინეს ანანურის მონასტერში კათალიკოსმა და თორ-მეტმა ეპისკოპოსმა. ქორწინებას მოურავიც ესწრებოდა.

იმ დროს, როდესაც მოურავი ქართლში სამეფო საქმეებს აწეს-რიგებდა, სპარსელთა ახალი შემოსევის წინააღმდეგ ციხე-სიმაგრე-ებს აშენებდა, კახეთის მეფე თეიმურაზი კი სპარსელების მხერ და-ცარიელებულ აღილებს ხელახლა ასახლებდა, განრისხებულმა შავ-აბასმა თეიმურაზ მეფის დედის — სპარსეთის ტყვეობაში 10 წლის განმავლობაში გულგაწვრილებული და ტანჯული ქეთევან დედოფლის ბედი გადაწყვიტა. შავის ბრძანებით მას წინადადება მისცეს, თუ ქრისტიანობას არ გადაუდები, წამებით მოგვლავთო. მტკიცე ქრისტიანმა, ნამდვილმა ღვთის მორწმუნებმ, შირაზში წამე-ბულის გვირგვინით შეიმქო თავი. დედოფლის მომავალი ბედის თა-ობაზე მის წამებამდე ერთი წლით ადრე ქართველ ხალხში გავრცე-ლებულმა ამბავმა ხელახლა ააღლევეს მეფეც და სამეფოც, კვლავ გაამტკიცენებულეს ქვეშევრდომთა განცდები და კინალამ არ დაარ-ღვიეს მეფის კეთილგონიერი მიღვომა მოურავისაღმი, რომლის სპარსეთში ყოფნის დროსაც შემოესივნენ სპარსელები საქართვე-ლოს.

მოურავი წუხდა და სინდისის ქენჭნით იტანჯებოდა, თავს შექ-მნილი მდგომარეობით იმართლებდა, გულს უფლისადმი ლოცვე-ბით, სალოცვებისადმი შეწირულებითა და სპარსელებზე შერის-ძიების აღთქმით იმშვიდებდა,³⁷ მაგრამ მეფესა და მოურავს შორის



შშვიდობა არ დარღვეულა, სპარსეთთან დაწყებული ომის მძიმე გა-
რემობაში მოურავი მეფის იმედი და დასაყრდენი იყო.

განრისხებულმა შაჰ-აბასმა ბრძანა, თავები მოეკვეთათ მო-
ურავის ვაჟის პაატასათვის და ზურაბ არაგვის ერისთავის ცოლი-
სათვის, რომელიც სპარსეთში შაჰის ქართან იყვნენ დატოვებულ-
ნი, და საქართველოში სწრაფად გაგზავნა ძლიერი ჯარი თავისი საყ-
ვარელი მცველი, ცხენოსანი რაზმის უფროსის (ყორჩიბაში) ისახა-
ნის სარდლობით.

1624 წელს ივნისის დამდეგს სპარსელთა ჯარი სომხითში ალ-
გეთის ნაპირზე დაბაჯდა.

მოურავმა კახეთიდან თეიმურაზ მეფე გამოიწვია, დაბა კოჯ-
რის სიმაღლეებზე თავი მოუყარა ქანეთის, არაგვის ერისთავის, თა-
ვად ბარათაშვილისა და მათ დასახმარებლად სამასი ცხენოსანით
მოსულ მანუჩარ ათაბაგის³⁸ ჯარებს.

12 ივნისს, განთიადზე, ალგეთისაკენ დაძრული ჯარი თავს და-
ესხა სპარსელთა ბანებს, მამაცურად ეკვეთა სპარსელებს და ისახანი
გააქცია. გაქცეულ ხანსა და მის ჯარს ქართველები მისდევდნენ ეგ-
რეთ წოდებულ წითელ ხიდამდე. დიდალი ნადავლი და მრავალი
სპარსელი ტყეედ დარჩათ გამარჯვებულებს.

ისახანთან შესაერთებლად წამოსული ერევნის ბეგლარ-ბეგი
ემირ-გაურხანის ჯარი მხოლოდ შორიდან მაყურებლად დარჩა
სპარსელთა უკუქცევისა. იგი, მარაბდის ვიწროებში თავშეფარებუ-
ლი, თვითონ ფიქრობდა გაქცევით გადარჩენას. მაგრამ შორიდან
წცირე რაზმი შენიშნა, რომელიც თავში მძიმედ დაჭრილ ზურაბ
არაგვის ერისთავს, გარს ეხვეოდა, და მარაბდის სიმაღლიდან თავს
დაესხა ქართველთა ერთ მუჭა რაზმს. ამ რაზმში მყოფმა მეფე თე-
იმურაზმა, მოურავმა და ათაბაგმა თავისი ნებთან მიატოვეს დაჭ-
რილი ზურაბი, სპარსელებთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ,
ბეგლარ-ბეგის ჯარიც დაამარცხეს და უკუაქციეს. ერევნის ბეგლარ-
ბეგი მანუჩარ ათაბაგმა მძიმედ დაჭრა, მაგრამ სიცოცხლე შეუნარ-
ჩუნა, რაღვან ბეგლარ-ბეგმა გამოსთხოვა ეს, როგორც თავის ალზრ-
დილს.

ამ ომს სიცოცხლე შესწირა თეიმურაზ ბუხრანბატონმა. ხმა გა-
რარდა, თითქოს თეიმურაზ მეფე დაიღუპაო, რასაც ჯარში ახალი
არეულობა და დაუმორჩილებლობა მოჰყვა.

იმ დროს, როდესაც ჯარი უწესრიგოდ უკან იხევდა, სპარსე-

ლები მდ. ქციაზე გადავიდნენ, უწესრიგოდ გაქცეულ ქართველზ და ედევნენ და ჟღერა დაუწყეს. მათ ქალაქ თბილისს მიაღწიეს.

ვახუშტი წერს: ამ ომში 14.000 ქართველი მოკლეს, მათ რიცხვში 9.000 კაცი არაგვის ერისთავის მხედრიონიდან იყო, სპარსელებს კი 18.000 კაცი მოკლესო.

ისახანმა თბილისი დაბყრო და თავისი ჯარი რაზმებად დაპყო, რომლებსაც ახლო მდებარე სოფლებში სურსათის მოსაპოვებლად გზავნიდა. თბილისიდან კილომეტრზე დაშორებულ სოფელ ლისს 1000 სპარსელი დაესხა თავს.

ამ საერთო შიშიანიბის უამს ერთადერთ მოურავს არ ჰქონდა სასოება წარკვეთილი. 60 ცხენოსანი კაცით იგი თავს დაესხა ლისის ზალლობიდან თბილისში მომავალ მტერს და ადგილზევე მოსპო 700 სპარსელი. სოფ. წოდორეთში გაგზავნილმა მეორე რაზმა მოასწრო თავის დაღწევა მჩინსხანე მოურავის ლახვარისაგან, რომლის სახელიც იმდენადვე საშინელი გახდა სპარსელებისათვის, რამდენადაც სპარსელთა ძალა საშიში იყო მთელი საქართველოსათვის.

მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ ქართველებთან, რომელსაც მოურავი ხელმძღვანელობდა, ომი უნაყოფო იყო, ისახანი ვეღარ ბედავდა მცირე რაზმების გაგზავნას, მათ ყოველთვის სპობდა მოურავი. ისახანმა ქართლში ძლიერი ჯარით გალაშქრება გადაწყვიტა.

ისახანის განშრახვა რომ შეიტყო, მოურავი ღართისკარის ვიწროების გამაგრებას შეუდგა და ქართლის ციხეებში თავისი რაზმები ჩააყენა.

საუბრებუროდ, მოურავის ბრძნულად მოფიქრებული გეგმები უნაყოფო აღმოჩნდა; მას არ მიემხრო ზურაბ არაგვის ერისთავი; ეს უკანასკნელი საიდუმლო მოლაპარაკებით დაუკავშირდა ინახანს, რომელიც მოითხოვდა ქართველ უფლისწულს—ხოსრო მირზას არაგვის საერისთაოზე თავისი ჯარით თავისუფლად და დაუბრკოლებლად გაევლო, რათა არშის ციხიდან³⁹ გაეთავისუფლებინა ანდუყაფარ ამილახვარი ცოლით,⁴⁰ რომელიც მოურავმა იღრე იქ სამშობლოს მტრის—სპარსეთის შაპისაღმი ერთგულების გამო დამწყვდია.

ხოსრო-მირზა ძლიერი ჯარით დაიძრა მოურავის წინააღმდეგ, შეება ქართველებს წიწამურის ველზე, სძლია მათ და ბანაკად დაბა მუხრანში გაჩერდა.

მაშინ იგრძნო მოურავმა, რა ძალა აჩენა განგებამ გაუფრთხი-

ლებლად და ნაჩეარევად რომ მოიქცა, ჯერ კიდევ ისპაანში, უციცუტ მეფე ლუარსაბის მოქიშედ წამოაყენა სპარსეთში მცხოვრები, მაგრამ სპარსელთათვის მანამდე უცნობი ხოსრო-მირზა.

აი, რას წერდა ხოსრო-მირზას შესახებ ისტორიკოსი:

„იმ დროს, როდესაც ლუარსაბ მეფე სპარსელებთან საპყრობილები იტანჯებოდა, ხოლო მოურავი შაპის კართან განდიდებას ზემობდა, ქართველი მაჰმადიანი მეფე დაუთხანის უკანონო შევის ხოსრო-მირზას ისპაანში არავინ იცნობდა. იგი მოურავის მფარველობას ეძებდა.

მოურავის ნადიმზე მოუტიქებულ ხოსრო-მირზას შემთხვევა ზეცა დავიწყებიდან გამოსულიყო. სპარსელებით გარშემორტყმულმა მოურავმა რომ დაინახა, ხოსრო-მირზა სტუმრად შემოვდა, ადგილიდან წამოდგა, დიდი პატივით მიეგება, თავისი ადგილი დაუთმო და თვითონ კი მოკრძალებით მისგან დაშორებით მოთავსდა.

მოურავის ასეთმა საქციელმა სპარსელები გააკვირვა. მოუტკვემა მათ ხოსრო-მირზას ვინაობა გააცნო და სამეფოს ტახტის მემკვიდრის სახელი უწოდა.

ეს შემთხვევა შაპ-აბაშია შეიტყო. მანამდე უცნობი ბატონიშვილი თავისითან მიიხმო და ქალაქ ისპაანის მოურავის წოდება მიანიჭა. ციხეში ტანჯული კანონიერი მეფე ლუარსაბი კი შაპმა დაიკიშყა. მოურავს უხაროდა, რომ მიზანს მიაღწია და ხოსრო-მირზას სახით ლუარსაბს მეტოქე დაუპირისპირა.

განა შეწილო, მოურავს გაეთვალისწინებინა, რომ მისგან პატივითა და პურ-მარილით დავალებული ხოსრო-მირზა მტრად და მოქიშპედ გაუხდებოდა?

ხოსრო-მირზა მოურავს მისდევდა. გეზი კავკასიონისაკენ აიღო დუშეთი და ანანური გაიარა და ფასანაურის ხეობით არშის ციხესთან მივიდა, საიდანაც იქ დამწყვდეული თავადი ანდუყაფარ ამილახვარი და მისი ცოლი გამოიყვანა, მერე კავკასიონის მთებიდან დაბრუნებისას ლომისის მთაზე ავიდა და ქსნის ხეობით უკან დაბრუნდა.

მოურავდელვის სისტრატით გაჩნდა სოფელ ქარჩოში და მდ. ქსნის სათავის ახლოს იქსე ქსნის ერისთავსა და ზურაბ არავის ერისთავის ძმას შეუერთდა; თითონ ზურაბმა კი არ ისურვა მოურავ-

თან ერთად სპარსელებისა და მათი წინამძღვროლის ხოსრო მირზას¹¹ წინაამდგევ ბრძოლა.

ქსნის ხეობის ვიწროებში მოურავის მიერ 15 კილომეტრის მანძილზე გამართული ხერგები სპარსელთა ლაშქრობას ყოველ ნაბიჯზე აფერხებდა, მოურავის ჭარი ყველგან ანალგურებდა სპარსელთა ჭარებს. აქ ყაზახის ხანი შაბანდა და განძისა და ყარაბახის ორი მფლობელი სულთანი მოპკლეს, შირვანის მფლობელი ყაზახანი კი დაატყვევეს; მდ. ქსანი მოკლულ სპარსელთა სისხლმა გააწითლა და იმედგადაწყვეტილმა ჭარსელებმა სამი დღის განმავლობაში დიდი მსხვერპლის ფასად გაიშმინდეს გზა მუხრანის მინდვრებამდე. ქედან ხოსრო-მირზა მოკლე გზებით თბილისში ძლევამოსილად შეედია და ისახანს თავადი ანდუყაფარი და სილამაზით განთქმული მისი ცოლი წარუდგინა¹².

სპარსელთა ახალი თავდასხმის მოლოდინში მოურავმა ზემოქართლის, კიქნათბერის, ალის, სურამის, კეხვის ციხეები გაამაგრა და სამცხეში, ახალციხის საზღვრებისაკენ გაემგზავრა, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა.

სპარსელთა რაზმებმა სუსტად დაცული ციხეები მალე დაიყავეს. სპარსელთა წინამძღვროლის, ბატონიშვილი ხოსრო-მიჩრას სახელის გაგონებაზე ყველა მშვიდდებოდა. ერთადერთი მოურავი იყო, რომელსაც ჭარი უკვე აღარ ჰყავდა, მაგრამ თავისი სათაყვანებელი სამშობლოს ნანგრევებზე მოგზაური რაინდი არა სწყვეტდა საბრძოლო გზების ძიებას თავისი პირადი გმირობის გამოსაჩენადაც.

სამცხის მთებში ნაციონობის დროს მოურავმა შენიშნა სპარსელთა რაზმი, დაბა ასპინძას გარს რომ ერტყმოდა. მებრძოლთა მცირე რაზმით იგი სპარსელებს თავს დაესხა, შეებრძოლა და უკუაქცია. მეორე დღეს მიადგა ხერთვისის ციხეს, და ისიც ბრძოლით აიღო. იქიდან სპარსელთა რაზმი გამოიყენა, დახოცა და ციხე გაამაგრა. ასეთივე სისწრაფით სპარსელებისაგან გაწმინდა სამცხის სხვა ციხე-სიმაგრეებიც: აწყური, ფარავანი და სხვ.

მოურავს თან ახლდნენ მამაცი და მისი დიდებისათვის თავდალებული თანამებრძოლნი: სიტყვა-პასუხის ნიჭით დაჯილდოებული გიორგი ქავთარაძე, თავადი გერმანოზ ციციშვილი, გულით და სულით მოურავის ერთგული როსტევან გედევანიშვილი, დემეტრე საგინაშვილი, გამჭრიახი მხედარი მათარისი შიხაიდრიშვილი, მოურავის დიდებისათვის თავდალებული პაპუნა ვაშაყაშვილი, მოურავის

ერთგულებაში ჯვარზე ნაფიცი, ციხიჯვრის სიმაგრის უფროსი და
უთბეგ გოგორიშვილი, ბრძენი და ფრთხილი თანუნა უწყვეტისამას
როსტომ შალიკაშვილი, ელიზბარ თათქირიძე, მოურავთან ჯერ კა
დევ შაპის კარზე დამეგობრებული ბეჟან თათქირიძე, თავადი ბა
რათაშვილები და ისტორიკოსის მიერ დაუსახელებელი ორი ბა
დიასამიძენი, სამცხის, მესხეთისა და საათაბაგოს აზნაურნი და სხვ.

ჯერ კიდევ გამარჯვებაზე მეოცნებე მოურავმა ქალაქ ახალცი
წიდან კონსტანტინეპოლში სულთან მურად მეოთხესთან თავის
საყვარელი მეგობარი გიორგი ქავთარაძე გაგზავნა, რომელსა
მფარველობა და დიდი სულთანის სამფლობელოს საზღვრებზე
სპარსელთა დამარცხებისათვის წარმატებით დაწყებულ საქმეში
დახმარება ათხოვნინა. ელჩიბა კარგად დაბოლოვდა; სულთანმ
მოურავი დაასაჩუქრა, ხოლო საქართველოს მოსაზღვრე ფაშებ
უბრძანა, მოურავს ჯარით დახმარებოდნენ ახალციხის ფარგლებით
დან სპარსელების გასადევნად. იმ დროს, როდესაც სამხედრო შზა-
დება დაიწყო, რამაც მოურავს რაინდული სულისკვეთება კვლავ
გაუცხოველა, სპარსელთა სარდალმა ისახანმა და ხოსრო-მიზანში
ქართლის მეფე სიმონის დასახმარებლად თბილისში ჯარი დატოვეს,
თვითონ კი სპარსეთში დაბრუნდნენ. ხოსრო-მიზანს სამსახურით
ქმაყოფილმა შაპ-აბასმა სამეფო სასახლის მცველთა უფროსის წო-
დება მიანიჭა.

სამშობლოს გათავისუფლებისათვის განზრახული ფართო გეგ-
შის შესასრულებლად მოურავმა გადაწყვიტა სპარსელების წინა-
ლიდევ იმტრეთის სამეფოს, სამეგრელოსა და სხვა სამთავროების
ჩაბმა. ამისათვის იგი სამცხიდან ქუთაისში მეფე გიორგი მესამეს-
თან გაემგზავრა, შემდევ კი სამეგრელოს მთავარი თავადი ლევან
დალიანი ინახულა. თურქების მიერ შევიწროებულებსა და საკუთა-
რი აჩსებობის დასაცავადაც კი სუსტებს — იმერლებს და მეგრე-
ლებს არც შეეძლოთ და ვერც ბედავლნენ მოურავისთვის რამე
დახმარება გაეწიათ.

რაინდული პატივმოყვარეობითა და სამშობლოს საყვარულით
გამსჭვალული მოურავი კვლავ დაბრუნდა ქართლში, სადაც ანდუ-
ჭაფარ ამილახვარმა და მასთან დამეგობრებულმა იესე ქსნის ერის-
თავმა 1625 წელს ახალი არეულობა მოახდინეს — თავად ლაზნე-
ლის გვარი ამოწყვიტეს და მთელი მისი საგვარეულო ქონება გაიყ-
ვეს.⁴⁴

თავის მტერთან — ანდუყაფაზ ამილახვართან დამეცობრებულ
იქსეს რომ ალაზ ენდობოდა, მოურავდა ზურაბ არაგვის ერისთავ-
თან შერიგება მოახერხა. მუხრანის მფლობელი თავადი ქაიხოსრო
კვლავ მოიწვიეს და ქართლის გამგებლად გამოაცხადეს.

საბრალო ხალხი მსხვერპლი განდა ორი ძლიერი მოუსევნარი პიროვნების ვნებებისა, რომელიც არ ასვენებდნენ თბილისში მოწყვედებულ მაჰმალიან მეფე სიმონს, რომელიც ვერ ბედავდა თბილისის ციხიდან გამოსვლას და ვერც ქართლის გამგებელ ქაიხოსროს, რომელიც მთლიანად დამოკიდებული იყო მოურავსა და ზურაბზე.

ხალხს არეულობა აწუხებდა. ეკლესიის მოძღვანელი გულმოდ-
გინედ უწევდნენ სამსახურს და სტრუკტურა და საქმით ანუგეშებდნენ ხალხს. თბილისის მიტროპოლიტმა დიონისემ ძლიერ გამოსთხოვა
ჰყფე სიმონს ნებართვა მოურავთან გამგზავრებულიყო და მისგან
ეკლესიის მშვიდობა და ხალხისთვის მოსვენება მოეთხოვა. მხცო-
ვანი ხუცესი, საქართველოს მთავარეპისკოპოსის ტრიფილეს თანხ-
ლებით, მუხრანში მოურავთან იმ დროს მივიღა, როდესაც პრწყინ-
ვალე ამაღლით გარშემოხვეული მოურავი ცხენზე გდებოდა და
ოსების დასამორჩილებლად დავალეთში წასვლას პირებდა.

თავმდაბალი ქრისტიანის გრძნობით, მოწიწებით, მოურავი
კურთხევის მისაღებად ქედმოხრით მიეგება ხუცესს და თავის პა-
რაში მიიპატიქა. მთავარეპისკოპოსმა ასეთ პატივზე უარი თქვა და
შოურავს უთხრა: „მხოლოდ ერთსა გთხოვ: მშეიღობას კელესი-
ისათვის მშვიდობას ხალხისათვის. გაიხსენე, რას შოთათვის შენგან
ჯვეყანა, სამშობლო. ნუთუ არ გაშუხებს სამეფოს უბედური მდგო-
მარეობა? შეხედე სახლების, ციხეების გაფანტულ ნაგრევებს.
ისეთი ოჯახი აღარსად არის, მამების, ვაჟიშვილების, დედებისა და
ქალიშვილების დაღუპვის გამო ცრემლი რომ არ იღვრებოდეს.
სპარსელთა მონაბის უღლილი დიდი ხანია გვადგია, ჩვენ მას შევეჩ-
იეთ. განა ქართლს შეუძლია თავისი ძალებით მრავალ შაპს და-
უზირისპირდეს?“. ამ სიტყვების თქმისთანავე ხუცესმა მოურავის
წინაშე დაიჩოქა. მთავარმოძღვარის ამ სიტყვებმა მოურავი მოხიბ-
ლა და მშვიდობა აღუთქვა, მაგრამ იმ პირობით, რომ მეფედ ქართ-
ლშიც კახეთის მეფე თეიმურაზს დასვამდნენ, თბილისიდან კი აუცი-
ლებლად განდევნიდნენ მაპმალიან მეფე სიმონს. მთავარეპისკო-
პოსმა თავისი მოგზაურობის შიზანს ვერ მიაღწია, უკან წამოსვლი-
სას მცხეთის ტაძარში ილოცა და თბილისში დაბრუნდა. მისი შუა-



მავლობის წარუმატებლობაშ თბილისში მდგარი სპარსელთაჭურების
ეჭვები გააძლიერა და საბაბი შექმნა მოხუცის დასაღვავად, მიტ-
როპოლიტი დიონისე საპყრობილეში დამწყვდიეს, საღაც მალე
გარდაიცვალა.

მოურავის ლაშქრობაშ დვალეთში, ოსებით დასახლებულ ად-
გილებში, ზეკარის უღელტეხილზე მისმა სწრაფად გადასვლამ, გა-
მაგრებული ციხეების აღებამ თავზარი დასცა მთელ დვალეს, რო-
მელმაც მოურავისადმი სრული და სამუდამო მორჩილება აღიარა.

ამ ლაშქრობის აღმწერი ისტორიკოსი ომის გმირთა შორის
ასახელებს პაპუნა ვაშაყაშვილს, ჭთავად თამაზ მაჩაბელს, თამაზ
ჭარციძეს და მოურავის მსახურს, ვგარად ინაშვილს. ამ პირთაგან
თამაზ მაჩაბელი ისრით იქვე მოკლეს. მოურავმა საუკეთესო თანა-
მებრძოლი დაკარგა.

ამ ბრძოლაში მოურავმა ძალა და სულგრძელობა გამოავლინა.
როდესაც ოსები ისარნატყორცნ მაჩაბელს თავის მოსაკვეთად მის-
ცვიდნენ, მოურავი მათ შეუძლებელად დაესხა თავს, გაფანტა, მო-
მაკვდავი, სისხლით მოსვრილი გმირი მხარზე აიყიდა და თავის პა-
ნაკში მიიყვანა. თან გზად დადევნებულ მტერს იგრძიებდა. მისი
ცხელარი ლომისის მთაზე არსებულ წმ. გიორგის ეკლესიაში გადაი-
ტანა და დაკრძალა.⁴⁶

აჯანყებული ოსების დამორჩილების შემდეგ მოურავი ისტო-
რიაში მელიქ-ათაბაგად ხსენებულ ლორის მელიქს შეერკინა, გამაგ-
რებულ ქალაქ ლორეს ალყა შემოარტყა, იერიშით აიღო და მთელ
ქონებას დაეუფლა. ლორის მელიქი და მისი მრჩეველი ზაქუმი
მთების ნაპრალებში გაპარვით გადარჩნენ. მოურავს მელიქის ცოლ-
შვილი ტყვედ ჩაუვარდა. ისტორია მელიქის წინააღმდეგ მოურავის
მოქმედებას ამართლებს და აღნიშნავს, რომ ლორის-მელიქ-ათაბა-
გი, სპარსეთის პოლიტიკის მაღლული ძალა იყო და სულ ერთოვად
მოურავსა და ქართველ ხალხს შორის განხეთქილების ჩამოგდებას
ცდილობდათ. თბილისელი მიტროპოლიტი იოსები წერს, მელიქი
თავისმა გესლიანმა ენამ დამხო და ხანგრძლივი უმოქმედობით
დაუკანგა იარაღით.

„მელიქ ათაბაგ მჩუბევდა,
ენას ხმარობდა გველადო...
ვეჭვ, მათი ხმალი დაუაგდეს,
პირი წუუხდეს სრულობთ.“⁴⁷

მაგრამ ყოყოჩი მტერზე გამარჯვებით დაქმაყოფილებულმა შესაბამის ურავმა სულგრძელობა გამოიჩინა და დამარცხებულ მელიქს თავისი ოჯახი პატივით დაუბრუნა.

ასეთი წარმატებებით ჭერ კიდევ ვერ განმტკიცდებოდა მოურავის ძალაუფლება და სამეფოს მყუდროება. სპარსელთა ბატონობა ქართლის სამეფოს კვლავ არყევდა, მოურავის დასის გმირული მოქმედება არ იყო საკმარისი სპარსელთა დასამარცხებლად და საქართველოდან გასაღევნად.

ხანგრძლივი ომებით შეწუხებულ მოსახლეობას სპარსელთან ზავის დადება ერჩია. მოურავი კი ზავს შეუძლებლად თვლიდა, ამიტომ ბევრი თავიდი გადაუდგა მოურავს.

მათგან ყველაზე ძლიერი იყო მტერთათვის უძლეველი ბირთვისის ციხის მფლობელი თავადი ქაიხოსრო ბარათაშვილი. იგი არც მოურავს ემორჩილებოდა და არც მეფე სიმონს. ამ უკანასკნელს სამეფოდაც და საცხოვრებლადაც მხოლოდ თბილისი ეჭირა. ქაიხოსრო ბარათაშვილს მოლაპარაკება და მიმოწერა ჰქონდა გამართული ხოსრო-მირზასთან, სიმონ მეფის შემდეგ როსტომის სახელით რომ მეფობდა. ა.

ხოსრო-მირზასთან მეგობრობისა და კავშირის გამო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ზირთვისის ციხეში 500 სპარსელისაგან შემდგარი მეციხოვნეთა რაზმი ჩააყენა, მოურავი ქაიხოსროს დაემდურა. საავადე თავადს სთხოვდა, სპარსელებთან ურთიერთობა გაეწყვიტა, საქართველოსთვის არ ეღალატნა, სამშობლოსათვის მტკიცე დასაყრდენი არ მოეშალა.

ქაიხოსრო ურყევი დარჩა. გულნატკენი მოურავი ქალაქ გორიდან ელვის სისწრაფით გაემართა სამშობლოს მოლალატის დასასკელად, და მეორე დღეს, განთიადზე დაბა ტბისში თავად ქაიხოსროს ციხე-სიმაგრეს გარს შემოერტყა.

მოურავის ასე სწრაფ თავდასხმას ქაიხოსრო არ მოელოდა და იძულებული გახდა დათანხმებულიყო მის ყველა მოთხოვნას: ციხიდან სპარსელთა მხედრობა გამოეყვანა და მართლმადიდებელ სამშობლოს დასაცავად მოურავს დაკავშირებოდა.

ქაიხოსრომ და მისმა ძმამ ხოსიამ სპარსელები ციხიდან მოხებებულად გამოიყვანეს და აიძულეს იარაღი დაეყარათ, მაგრამ სპარსელებისადმი შურისძიებით გამსჭვალულმა მოურავმა ბრძანა, განიარაღებული სპარსელები დაეხოცათ. მოურავის ჭარმა 500

სპარსელი ბირთვისის ვიწროებში გაწყვიტა, ციხეში ქართველთა რაზმი ჩააყენა. თავად ქაიხოსროს მოურავთან ერთგულების საწინდრად მისი ძმა ხოსია ქართლში არსებულ მოურავის სიმაგრეში, თიკნიბერას ციხეში დროებით დაამწყვდიეს⁴⁸. ბირთვისის ციხიდან მოურავმა იმერეთისეკ გასწია თავისი ახალი მტრის, თავად ქველი წერეთლის დასასჯელად, რაჭის მთებზე გადავიდა და ამპარტავინი თავადის ციხესთან განიდა. წერეთელი თავდასწმისათვის მოუმზადებელი იყო და მოურავმა ადვილად იძა ზური. მდინარე ყვირილას ნაპირზე არსებული ციხე გაანადგურა. ჭყან დაბრუნებისას მოურავი ქველი წერეთელს და მის რაზმს შეხვდა და ბრძოლა აუტება. მოურავმა ისარი სტყორცნა, და თითქოსდა გაქცევით გადარჩენილი ქველი წერეთელი წუთისოფელს გამოეთხოვა.

ბოლოს მოურავისთვის განსაკლელის მძიმე დღეებიც დადგა. ზურაბ ერისთავმა ოღარ ისურვა მასთან კავშირი და გაეთიშა. მოურავი თავის პირად მამაცობასა და ქართლში თავის გავლენას დაენდო და ზურაბ ერისთავს ომი გამოუცხადა. ქართლშიც გასამეფებლად ზურაბის მიერ მოწევული მეცე თეიმურაზი ჯარით ბაზალეთს მიადგა. მოურავმა სამცხისა და იმერეთის ჯარები გამოიძახა, ქართლის ჯარს შეუერთა და 20.000 კაცით მეცე თეიმურაზთან და მის მოკავშირე ზურაბ არავის ერისთავთან საბრძოლველად გაემართა.

ბაზალეთის მინდვრებზე მომხდარ ბრძოლაში მოურავი დამარცხდა და ამიტომ, მეფის წყალობისა და ხალხისაგან იმედაკარგული, ქართლის გამგებელ თვად ქაიხოსრო მუხრანბატონთან ერთად, მთელი თავისი ოჯახითა და ამალით იძულებული განდა, თურქეთის სულთანთან გამგზავრებულიყო.

წინათ ბალდაგთან თურქების წინააღმდეგ მებრძოლი და ახლა საქართველოში სპარსელთა ჯარის გამანადგურებელი დიდი სარდალი და სახელოვანი თავადი გიორგი სააკადე სულთანმა მურად მეოთხემ შესაფერისი პატივით მიიღო. მას და მის ამაღლას კონსტანტინოპოლში მდიდარი სადგომი მიუჩინეს და გულუხვად უმსაპინძლეს. ფაშებს ნაბრძანები ჰქონდათ მოურავთან მისვლა-მოსვლა, სულთანის წინაშე მისულმა მოურავმა დაიჩიქა, მუხლზე ეამბორა და უთსრა: „დიდო მეფეო! თქვენს ხმალს მოვენდევ, ყმობა ვერა ვქენ სხვისნიო“⁵⁰.

მოურავის დამსახურებით კმაყოფილმა სულთანმა იგი ღირსად ჩათვალა დედაქალაქში ცენტით თავისთან ერთად გაესეირნებინა.



იანიჩრებს უბრძანა, მოურავისთვის ეჩვენებინათ ყოველი სიმდიდა განსაცვიფრებელი ზომის ზარბაზნებით სავსე ნავსადგური, სამხეცე და დედაქალაქის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

მოურავმა პატრიარქი ინახულა, თურქების ოინებით პატრიარქის ტახტიდან ხუთჯერ გადაყენებული მსოფლიო მამის, უწმინდესი პატრიარქის კირილე ლუკასისაგან კურთხევა მიიღო და სიამოვნებით მოისმინა მის მიერ ოცზე მეტი მიტროპოლიტის მონაწილეობით შესრულებული საუცხოო წირვა.

ყველა ისტორიკოსის თხზულებათაგან, ვინც კი მოურავზე რამეს წერს, მხოლოდ ვახუშტის თხზულებაში ვკითხულობთ, მოურავმა სტამბოლში მაჰმადიანობა მიიღო. მაგრამ ვასაოცარია, რომ არც კათალიკოსი ანტონ პირველი, არც სამთავროს მთავარეპისკოპოსი ბესარიონი, რომელნიც საერთოდ მოურავზე სიძულვილით წერდნენ, ამ ვარემოებას არ აღნიშნავენ.

სამხედრო საქმეში მოურავის გამოცდილება, სპარსელების სიძულვილი, რაც მან საქართველოში სპარსელთა განადგურებით და-ამტკიცა⁵¹, დაედო საფუძვლად იმას, რომ სულთან მურად მეოთხემ გადაწყვიტა მოურავი სპარსთა წინააღმდეგ ანატოლიის და სირიის ლაშქრობაში გაეგზავნა. ეს ქვეყნები ბალდადისა და სპარსეთის მოსაზღვრე ადგილებზე დავობდნენ. ბრძოლის შვილს, მოურავს კვლავ გაეხსნა ასპარეზი, რაზეც დიდი ხანია ოცხებობდა. მან გამოიღვიძა, როგორც ხანგრძლივი უმოქმედობით დაქანცულმა პერკულესმა და ძველი სამყაროს მისთვის უცნობ ადგილებში, იმ ხალხთა შორის, // რომელთა გულშიც ცოცხლობდა გადახდილი ომების გმირთა ხსოვნა, სიხარულით აღტაცებული შეუდგა დიდი მიზნის აღსრულებას.

მთელი თავისი ამალითა და ოჯახით მოურავი 1626 წლის 4 დეკემბერს სტამბოლიდან წავიდა ხალილ-ფაშასთან ერთად, რომელმაც სულთანის დის ქმარი, დიდი ვეზირი აზიზ-ფაშა შეცვალა. 1627 წლის 7 აგვისტოს ჯარი, რომელთანაც მოურავი იმყოფებოდა, დიარბექირის კედლებთან გაეწყო: აქ მოურავმა გიორგი სააკადემ პირველი მხედრული ძლიერება ჯარკუქის ველზე სარდალ ყარჩი-ხანზე ბრწყინვალე გამარჯვებით გამოავლინა.

ოთხი ათასი თურქითა და 40 ქართველით მოურავი ათიათას სპარსელს შეებრძოლა და სასტიკად დაამარცხა⁵². მანვე მიიღო მო-

ნაწილეობა აზის-ფაშას მიერ ბაღდადის ასაღებად ბრძოლაში, რაც მარცხით დამთვარდა.

არზრუმის აჯანყების ამბავმა სულთანის ყურამდე მიაღწია. არზრუმელ აბაზ-ფაშას იქ მყოფი იანიჩარები დაემარცხებინა. ამან დიდი ვეზირი აიძულა ძლიერი ჭარით დაძრულიყო აჯანყებული ქალაქის წინააღმდეგ. ჭარის ნაწილი, მოურავის სარდლობით, არზრუმის კედლებთან ხალილ-ფაშას ჭარს ისე სასწავლოდ შეუერთდა, რომ თვით ვეზირიც გაოცდა.⁵³

ქალაქის ალყა წარუმატებლად გრძელდებოდა და ხალილ-ფაშა და მოურავი 1627 წლის 25 ნოემბერს, ძალ-ლონის უსარგებლოდ ხარჯის ორი თვის შემდეგ ქალაქ სოხტაში დაბრუნდნენ. უსაზღვროდ ძნელ პირობებში 25 დღეს ჭარი უკან იხევდა. მკაცრი ზამთრის გამო ბევრი გზაში დაიხოცა. სულთანმა ხალილ-ფაშა მეოთხე ხარისხის ვეზირის წოდებამდე ჩამოაქვეითა, მაგრამ მალე მისი სიკვდილის ცნობა მიიღო.

ხალილ-ფაშას ადგილი დიარბექირის ბეგლარ-ბეგმა ხუსრევ-ფაშამ დაიკავა. მან ხელახლა შემთარტყა ალყა არზრუმს, სადაც ჯერ კიდევ განდგომილი აბაზ-ფაშა იმყოფებოდა, ქალაქს იარაღი დააყრევინა და სპარსელები, რომელნიც მათი ერთგული აბაზა-ფაშას დასახმარებლად იყვნენ მოსულნი შამსი-ხანის სარდლობით, უკუაქცია.

მოურავმა აქაც სასწაულებრივი მამაცობა გამოიჩინა, მაგრამ თავისი და თავისი ამაღლის საბედისწეროდ.

ხუსრევა-ფაშა და იმ დროს სულთანის დის ქმარი კაფუდან-ფაშა ჰასანი სახელმოხვეჭილი მოურავის მოსასპობად საბაბს ექებლნენ. როდესაც ისტორიკოსების მიერ ულმობლად და სისხლის-მსმელად დახასიათებული ხუსრევ-ფაშა ჭარში მიიღიდა, სხვადასხვა საბაბით, საუკეთესო სარდლების ხოცვა დაიწყო.⁵⁴

ფაშას ბრძანებით დახოცეს: მოურავი, მისი შვილი, მისი ამაღლის 40 ქართველი და სხვა სახელოვანი პირები, რომელნიც სულთანს ღირსეულად და სახელოვნად ემსახურებოდნენ. ისინი ქალ-სოხტაში (ტოკატში) 1629 წლის ოქტომბერსა ან ნოემბერში დახოცეს.⁵⁵

(ასე გადმოგცემენ თურქი ისტორიკოსები დიდი მოურავის სიკვდილს.

მოურავის სიკვდილზე ვახუშტი შემდეგსა წერს: ბაზალეთში



თეიმურაშ მეფის მიერ სასტიკად დამარცხების შემდეგ მოურავდა ქაიხოსრო მუხრანბატონი და მოურავის ამალის სხვა წევრები 1626 წლის დასაწყისში კონსტანტინოპოლში წავიდნენ. შაპის მოღალატე მოურავმა სულთანს შესთავაზა — თქვენთვის საძულველ სპარსელებს საქართველოდან განვდევნიო. სულთანი მას სწრაფ დახმარებას შევიტორდა. სპარსელებთან მიმხრობილ არზრუმელ აბაზა-ფაშასთან ომითა და სირიაში მომხდარი არეულობით შეზღუდულმა სულთანმა მოურავს რაზმის მეთაურობა დაავალა (ვეზირ-აზამის სარდლობით). მოურავმა და ქაიხოსრომ სულთანის იმედები გაამართლეს. მოურავის გმირობის ქება-დიდებამ სწრაფად მიაღწია სტამბოლს და სულთანის დის—ვეზირის ცოლის გულში შურის გრძნობა გააღვიყა. „რას ნიშნავს მოურავის ასეთი სახელის განთქმა, რაც შენ სახელს ჩრდილავს?“ — წერდა იგი თავის ქმარს.

ნაწყენმა ვეზირმან მოურავი, ქაიხოსრო და მათთან მყოფი ყველა ქართველი დააპატიმრა და ყველასათვის თავები მოაკვეთინა. მაგრამ მხოლოდ ერთი გადარჩა — ბექან გორგასლიშვილი, რომლის მამამ ჯალათი მოისყიდა, შვილი გადაარჩინა, თვითონ კი თვეი გასწირა.

მოურავის ოჯახი კი არზრუმში დარჩა.

უფრო სწორია მოურავის თანამედროვე და მისი ჭერ კიდევ შაპ-აბასის კართან ყოფნის ღრივიან ნაცნობი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის შემდეგი მონათხრობი: ბაზალეთში თეიმურაზ მეფის მიერ დამარცხებული მოურავი, თავადი ქაიხოსრო მუხრანბატონი, იასე ქსნის ერისთავი და სხვა სახელოვანი პირები, სულთანთან გაუმგზავრნენ. სულთანმა მათ საჩინო სამი თუ ოთხი სათმალიყო უბოძა და დიდი პატივი სცა. ამ დროს შაპს და სულთანს. შორის უკვე სწარმოებდა ომი ბალდადისათვის, ამიტომ სულთანმა იქ საომრად ხუსრევ-ფაშა გაგზავნა, ამასთან ერთად, მოურავი და მასთან მყოფი ყველა ქართველი გააყოლა. არზრუმთან მისვლის დროს, აბაზა-ფაშა სულთანს გადაუდგა და არზრუმის ციხე გაამაგრა. ხუსრევ-ფაშამ ჯარით ქალაქს ალყა შემოარტყა და დიდი გაჭირვებით აიღო. ციხის აღებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მოურავმა და ყველა ქართველმა, რომელთა ქება-დიდების ცნობაც სულთანს მოუვიდა; მას მოახსენეს, მოურავი რომ არ ყოფილიყო, არზრუმის ციხეს ვერ აიღებდნენო. ხუსრევ-ფაშას ცოლმა⁵⁷, სულთანის დამისწერა ქმარს: შენ ხარ მთავარი ვეზირი და სერასქირი. მოურავის



ქება საყოველთაოდ განთქმულია, შენზე კი არაფერი ისტორიული ტემა განვითარებულია. ტომ ხუსრევ-ფაშამ მოაკვლევინა მოურავი, მისი შვილი, თავადი მუხრანბატონი, და ყველა ის, ვინც თან ახლდათ. მისი ცნობამ სულ-თანამდე მიაღწია, რომელიც ძალიან შეწუხდა, მაგრამ სულთანი ამაზე დუშდა, სანამ ხუსრევ-ფაშა ბალდადიდან უკან არ დაბრუნდა. მისი დაბრუნებისთანავე კი სულთანმა ჰქითხა: მოურავი სადღა არისო. ფაშამ მოახსენა: მოლალატე იყო და მოვაკვლევინეო. გან-რისხებულმა სულთანმა თავისთან ჭალათი დაიბარა და ფაშა წამე-ბით მოაკვლევინა.

დანარჩენი ისტორიკოსების, განსაკუთრებით კი თბილელი მიტროპოლიტის იოსების მონათხრობი გორგიგანიძის თხზულებას ეყყარება. მოურავის სიკვდილის ადგილად იოსები ქალაქ სოხასტას, ანუ, რაც იგივეა, ტოკატს ასახელებს.

ისე დაღუპა დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, დიდი სარდალი და გმირი, რომელმაც სამეფოები და ხალხები შეარყია, რომელიც თავისი მტკიცე ხასიათით, რეინისებური ნებისყოფით, მგზნებარე ენებებით, თავისი ბუმბერაზი ტანითაც ყველას აოცებდა, მტერს შიშა ჰვერიდა, და მითრიდატს — ემსგავსებოდა⁵⁸. დაეცა ვაჟკაცი, რომლის მახვილი, პოეტების აღწერით, ჯვშანს ჰქვეთდა, საყვირიც განგაშს სტეხდა და მისი ვაჟკაცობით ბრძოლის ველი გმინავდა, ვაჟ-კაცი, რომელმაც სპარსეთში, ინდოეთში, ბალდადსა და არზრუშში მამაცი მებრძოლის, ხოლო თვით საქართველოში კი ქართველი ალ-კიბიადის სახელი დატოვა.)


დიდი მოურავის უბედილბლო სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახი არზრუშში ცხოვრობდა. მას სულთანი განსაკუთრებულ მფარველობას უწევდა, როგორც ეს როსტომ მეფის მიერ 1659 წელს მიცემული სიგელიდან ჩანს.

როსტომ მეფე ცრემლით იგონებდა თავის განმაღიდებელს. მან შეიწყალა მოურავის უბედური ოჯახი — ნება დართო სამშობლოში დაბრუნებისა.

სულთან მურად მეოთხის დროს თურქეთში მყოფი დიდი მოურავის ცოლი, ვაჟიშვილი სიაუში და შვილიშვილი იორამი საქართველოში დაბრუნდნენ. მათ მთელი ქონება დაუბრუნდათ, რაც საქართველოდან მოურავის გაქცევის დღიდან ჩამორთმეული ჰქონდათ.

სიაუშისა და იორამისაგან გაგრძელდა ახლანდელი თავად

თარეზნიშვილების გვარი, ამასთან დართული საგვარეულო ნათე-
სავომეტყველების მიხედვით:



1. თავადი გიორგი სააკაძის შთამომავალთა დასახელებას მე-19 საუკუნის და საწყისით გამთავრებთ. მათი წინაპრები XII საუკუნიდან უკვე ქვევით მოეისტენი-ეთ. უსაფუძვლოდ კი არ ამტკიცებენ, რომ გრძელი წყება სახლოვენი წინაპრები-ს თუ არ მიუმატებს ღირსებას კაცს, ყოველ შემთხვევაში, გაულინს აზდენს მის ცხოვრებაზე.
 2. დიდი მოურავი მოხსენიებულია არჩილ მეფის ლექსებში, თემურაზის მი-ერ ნათქვამია „ზურაბ და შიომშის შვილი იყვნენ სიძე-ცოლისძმანი. გაეზარდა მოურავსა, ყოფლოვყეს ვითა მმანი“.
 3. პატა (დიდ მოურავის შვილი), მოკლულ იქნა სპარსეთში შაპ-აბასის მი-ერ. ეს სახელი მოხსენიებულია მეფე ლუარსაბის მიერ, დიდი მოურავისათვის 1607 წლის 5 ოქტომბერს მიცემულ საბჭოში, იქ მეფე ერთგულ მოურავს მამაცო-ბისათვის დამსახურებულ ქვეშევრდომს (ყმა) მთავარ გმირს უწოდებს.
 4. სახელი მოურავის ამ დისა არსად არ არის მოხსენიებული, არც ისტორია-



5. የተሰጠውን ስርዓት በመሆኑ የሚከተሉት ነው፡፡

6. ბევრანი (დიდი მოურავის შეინი) ანუ ბერობაში აღავთიტი, განწყესებულ იქნა ქვთახევის მონასტრის არქიმანდრიტიად მამის. დიდი მოურავის გორგი საა-დადისავან, როცესი მოურავის ძალით თლიბა უძლიერო იყო.

იორამი ისტენიება ვაჟუშტის ისტორიაში (როსტომის სიცოცხლეში). მეცე როსტომისადმი პირველი და ყველაზე დიდი ერთგულება იმით გამოიჩინა, რომ გმირულად დაიჭირა ორი ძმა — ჩხეიძეები, რომელიც სხვებთან ერთად ცდილობდნენ ალევეგინათ ქართლის სამეფო ტახტზე კახეთის მეცე თეიმურაზი. თავად თარხან-მოურავების შთამომავალნი დღემდე ინაჯავენ 1652 წელს მეცე როსტომის გაცემულ გუარს, რომლითაც ნება ექლეოდათ შაპ-აბასის თანხმობით იორამს უკან დაბრუნებოდა ჩამორთმეული ქონება.

8. დიდი მოურავის ქალაშვილი, მეუღლე ფარად ფაშისა — სამცხის ათაბაგისა. იგი იხსენიება „მოურავიშვილი“ (სტროფი 234). „ფარად ფაშა ხომ სიძედ შევა, თავდადებ ჩემთვის მკვდარა“ და გორგიანიძის სტრომიდანც ჩანს, ხომ დიდ-მოურავის შვილები ერთი ცოლად ჰყავდა იასე ქსნის ერისთავს, მეორე კა — ოფიშურაზ მოხრანაარონს.

9—10. თარხანი და გიორგი თარხან-მოურავები (დიდი მოურავის შეილიშვილები). — ეს სახელები იმ ქერიდან ჩანს, მეცე ირაკლი I-მა ნაზარალი ხანმა რომ გასცა 1662 წელს. იქ აღნიშნულია, რომ ისანი ერთგულად და ძალ-ღონის დაუზოგავად ემსახურებოდნენ მეფეს, როცა თვისის სახლობით ციხე-სიმაგრე თორლეში (თუშეთი) იყო გამაგრებული.

11. იოსებ თბილელი (საკაერ), თბილისის ყოფილი მიტროპოლიტი, მწერალი საკულესით ჰიმნებისა, პოეტი, ეკრორი „მოურავიანისა“, ანუ დაღმ მოურავის ცხოვრების გამლევსავი. „მოურავიანი“ ათი თავისაგან და 484 სტროფისაგან შედგება. იმ აქტიდან, რომელიც 1688 წელს არის გაცემული და სინოდის კანტორაშია, ჩანს, რომ იოსებმა გიბლიოთეკითა და სამკაულებით გამდიდრა სიონის ტაძარი. ყიდულობდა მამულებს და ტაძარს სწირავდა. გიორგი XI-ს საჩუქრად გამოსთხოვა თბილისის მინერალური მანო, რომელსაც დღესაც სიონის აბანოს ეძახონ.

12. օշտանդուլո (գուղօ մռուրացու Մցոլո՛Մցոլո) — 1710 թվու 12 օցլուս Ցյ-



ფე ვახტანგ VI-ის გაცემული სიგელით მოურავობის ჩამორთმევის სანაცვლოდ
მას ეძლევა გლეხები კავთისხევში და სხვა ოდგილას; ეს სიგელი დამტკიცა მეოქმედობის
ბაქარბა 1716 წლის 15 ოქტომბერს.

13. ექვთიმე, შეილი გორგისა და შეილიშვილი დიდი მოურავისა, როგორც
სასაფლაოს ქვის წარწერიდან ჩანს, არქიმანდრიტად გარდაცელია და კავთისხე-
ვის მონასტრის წინამძღვრი ყოფილა.

ექვთიმე (დიდმოურავის შეილიშვილი), მცხოვრები მეფე ვახტანგ VI-ის დროს
სასამართლოს გადწვერილების აქტში, რომელიც გაცემულა 1700 წლის 29 ნო-
ემბერს, ის მოურავდა (მოურავის შეილად) იწოდება. ეს აქტი ინახება სინოდა-
ლურ კანტორიში.

14. ზაალი, ლუარსაბი, მამუკა და ზურაბი იბენიებიან სახელორ ძალების სა-
რევიზიო წიგნში (მეფე ვახტანგ VI შედგნილი 1721 წელს). თვით მეციის ნამდვი-
ლი ხელშერილით, რომელიც მე მაქს ხელში, ჩანს, რომ თბილისის ჩრდილოეთით
თი კილომეტრის მანძილზე მდგრად სოფები იღლის (თრიალეთში) და ლისი
თავადების თარხან-მოურავების მემკვიდრეობითი საკუთხება იყო. ლაშქრობის
დროს, მეციის პირველ დაბახილზე, მათ 50 შეიარაღებულ მხედარი გამოჰყავდათ.

15. ლუარსაბ თარხან-მოურავი — საფლავის წარწერაზე ვკითხულობთ, რომ
ის იყო საიდუმლო მრჩეველი გენერალ-ადიუტანტი მეფეთ-მეციის საახლეში, გმ-
გე შამშაღლილისა და შამქორის მაჩრებისა მეფე ირაკლი მეორის დროს. გარდაიც-
ვალა 58 წლის ასაკში, 1812 წლის 11 ავგვისტოს.

16. ზაზა თარხან-მოურავი — თანამდებობით მეიათარი, ანუ შეცი მეფე ირაკ-
ლის კაბინეტისა. გარდაიცვალა 67 წლისა, 1817 წელს.

17. სოლომონ თარხან-მოურავი — ასისთავი მეფების: ირაკლისა და გიორგი
XIII-ის დროს. გარდაიცვალა პოლკოვნიკის ხარისხით 77 წლის ასაკში, 1839
წელს.

18. დაყვით თარხან-მოურავს მეფე გორგის სასახლეში ეკავა მეციის მოვალე-
ობის აღმასრულებლის აღგილი. რუსთ მმართველობის დროს, 24 წელიწადი ეკა-
ვა თანამდებობა სამოქალაქო პალატის მრჩევლისა. ერევნის ხანის პუხენის გა-
ნადგურებისას გენერალ ტორმასოვის დროს, 1811 წელს, მილიციას ხელმძღვანე-
ლობდა. გარდაიცვალა 76 წლის ასაკში 1847 წელს.

19. ლუარსაბ თარხან-მოურავი — ოსმალეთის ფაშასთან დაახლოებული პირი
და მისი ნაბიძე ქართლში. 1734 წელს მის სახელზე გაცემულ იქნა ფირმანი ისმა-
ლეთის სულთან მამუდ პირველისა. ლუარსაბი სპარსეთთან შეთანხმებით 1752
წლიდან ფლობდა ქართლ-კახეთს და არაესის ნაპირებს. ოსმალურ ენაშე დაწე-
რილ ამ ფირმანში ლუარსაბი იწოდება თარხანად, ქრისტიანულად კი ღიღ თავა-
დად. ამით მას მემკვიდრეობით კუთვნილი აღვილება და გლეხები ენიჭება იმის
პატივსაცემად, რომ ოსმალეთის ჯარის მიერ საქართველოს და თბილისის დაცუ-
რობის დროს იგი ნათესავებით პირველი დაემორჩილა სულთანის უმაღლესი სა-
სახლის უფლებას. როცა ოსმალები გარეკეს საქართველოდან, იგი ნადირშაპის
სანდო პირი გახდა. რამდენჯერმე იყო სპარსეთში ქართლის მეფე თემურაზ მეო-
რისა და ირაკლი მეორის ერჩად; იყო სალოუხუცესი მეფე ირაკლი მეორისა (ეს
ჩანს მეფე ირაკლი მეორის სიგელიდან). გარდაიცვალა ირანში. შეიდი წლის შემ-
დეგ მისი ცხედარი გადმოასვენეს და ერთაშმინდის ტაძარში დაკრძალეს.



20. ლუარსაბი, არქიმანდრიტი და გამგე ქვათახევის მონასტრისა 1739-1784 წლებში. ეს ჩანს სიგელიდან, რომელიც ინახება სინოდალურ კანტონშემოყვალისა 1802 წელს.

21. ანტონი არქიმანდრიტი და გამგე ქვათახევის მონასტრისა, გარდაიცვალა 1802 წელს.

22. სოფიო, ქართლ-ქახეთის მეფე გიორგი XII-ის შეილიშვილი, მეუღლე ლუარსაბ თარხნიშვილისა, გარდაიცვალა 1836 წელს.

ვ ე ნ ი ზ ვ ე ბ ი ბ ი:

1. საკაძეთა ანუ ახლანდელ თავად თარხნიშვილთა გვარეულობაში შემონა-სული საბუთებიდან, განსაკუთრებით კი რასტომ მეფის მიერ 1659 წელს გაცემული, დაუშინებდა დემორჩინილი სიგელიდან ჩანს, რომ ჭრ კიდევ თამარ მეფის დროს უცხოვრია ჯან-ზურაბ საკაძეს, რომელიც პირადი და მისი გვარეულობის დამსახურებისათვის აღგილ-მამულებით ჭაუჭილდობით. თემურ-ლენგთან შეუც ბაგრატს V-ის ომებში მონაწილედ იხსენიება დონა საკაძე, რომელიც თბილისის ციხიდან მეტესთან ერთად ტუვედ წაუყვანიათ.

გიორგის მამა კი ჩანს, სამეფოს რაიმე საქმიანობაში არ გარეულა; იგი არც ისტორიაში იხსენიება და არც საგვარეულო საბუთებში, რამდენიც კი მე ხელთ მეონდა, მაგრამ თანამედროვე აქტებიდან ცნობილია, რომ წარჩინებულ აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა და პქნენდა დიდი სიმდიდრე, აღგილ-მამული და ძეიწფასეულობა.

2. საქართველოს შეფერი, მხევარის თურქე და საპარსელი ხანებისა, თარხნობას უბოძებდნენ იხეთ პირებს, რომელიც აზნაურთა წოდებას არ ეყუთვნოდნენ, მაგრამ თუ განსაკუთრებული დამსახურებანი პქნენდა, ამასთან აძლევდნენ „სა-თარხნო სიგელებს“, სათარხნო წერილს, სადაც განსახლერული იყო თარხნობით მინიჭებული უფლება-უპირატესობანი. უფლებანი თანაბარი როდი იყო კველასა-თვის — ეს დამოიდებული იყო დამსახურებაზე. მაგალითად, ზოგ ენიჭებოდა უფლება თავისუფალი ქონებისა, რომელშეც არ ეკისრებოდა არავთარი გადახა-ხადი. ზოგ ეძლეოდა უფლება საცხოვრებელი აღგილის თავის ნებაზე ამორჩევი-სა, ზოგ მეფის კარჩე თავისუფლად მისელისა, ზოგსაც უფლება იმისა, რომ რა-იმე დანაშაულისთვის იგი გაესამართლებინ მხოლოდ მეფეს, ან საგანგებო სასა-მართლოს და ა. შ. მაგრამ კველა შემთხვევაში თარხნობის წოდებას (ეს სიტყვა სპარსულად ნიშნავს თავისუფლებას) საფუძვლად ედო თავისუფლება და თავი-სუფალი მდგომარეობა.

თარხნობის წოდება საქართველოში არსებოდა 1817 წლამდე, ე. ი. საქარ-თველოში დეპუტატთა საკრძულოს დაარსებამდე, ხოლო ამ დროიდან იგი გაუქ-შებულია. საქართველოს ისტორიის მკველევარი ბევრ საყურადღებო და მნიშვნე-ლოვან ცნობას ჰპოვებენ სათარხნო სიგელებში, მეფებს რომ უბოძებით ქართ-ლისა და კახეთის მრავალი გლეხისათვის, რომელთა ოჯახებს დღემდე კარგად შე-მოუნახავთ ეს სიგელები.

3. „ოცი წლის მამამ მიმართვა, ის იყო ცამეტებამდის“ (დიდმოურავიანი, სტროფ. 28).

4. დაბა ცხინვალი მდინარე ლიახვის პირას მდებარეობს, აშენებულია მეფე ასუაგურის მიერ ჩ. წელთაღრიცხვის III საუკუნის ნახევარში. ძელად თვალ-ჩვენს

საჩინო სავაჭრო ქალაქი იყო. მოსახლეობას შეადგინდნენ ქართველები და ებრაელები, სომხები შემდეგში დასახლდნენ. ებრაელებს დღემდეც აქა აქვთ მთავარი სინაგოგა მთელი საქართველოს ებრაელებისათვის. ვრცელ და მოსავლიან ხეობაზი მდებარე ქალაქი თვალწარმტაცი სანახავია.

დფალეთი ეწოდებოდა მდინარეთა დიდი და პატარა ლიახვის ხეობებს. იგი დასახლებულია დფალებით და მაღნარ-დფლოთის მთებიდან ჩამოხიზნული ოსტით, რომელიც კავკასიის მაღალი მთების კალთებზე ბინადრობდნენ.

5. ე. ი. რუსისია. იგი თავად აფალიშვილების გვარისა იყო. იმდროინდელი კულების ერთ-ერთ უბრძნეს მოძრვრად ითვლებოდა.

6. დედანში: „ესე ნიადაგ თვითეულთა კაცთა ფურჩენილა და არა დასცხრებოდა. ინილა ესე მეფემა და აუტყა მოურავს; „რაც არს რომელ არა დასცხრები ფურჩენად; ანუ რაც გნებავს უფლად“. მეფეთა მიერ თავადებისათვის მიცემულ შრავალ სიცელში სიტვა „ფურჩენა“ ნიშავდა თავადის იჩგვლივ ხალხის მომრავლების უფლებას, მათთვის მიწებისა და წოდების ბოძებით. ასეთი ხალხი უთანაბრდებოდა მემამულის ყოფილ აზნაურებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკენელთ ამ წოდებას მეფე ანიჭებდა. პირველებს კი თავისუფალი მდგომარეობის უფლება თავად ვასალის მიერ ექცევოდათ. მათ უმრავლეს შემთხვევაში ირჩევდნენ შორეული ადგილიდან გამოქცეულ თავისუფალ პირთაგან, ტკცებიდან გამოსყიდულთაგან, უბატრონო თბლებისაგან, უკანონო შვილებისაგან, დალესტნიდან, ხარსხეთიდან, თურქეთიდან, კავკასიონის მთებიდან გადმოხიზნულთაგან, ხევა ჯულის პირთაგან, რომელიც ქრისტიანებად მოინათლენ, და იმ სახელმწიფო კულტებისაგან, რომელიც არსად ბინადრობდნენ და რომელიმე თავადის მამულზე ცხოვრების სურვილს განაცხადებდნენ.

7. სამხრეთ ქართლის დასაცულით, მდ. მტკვრის მარჯვენა სანპიროს გაუოლებით აღმართული ეს მთები ქართლის მთების დასავლეთი კალთების უკან მდებარეობს. ძველი ფრიდალური დროის დაუთვის მიხედვით, იგი საციციანოთი იწყება, ჰქონდან გრძელდება და სათარხნოთ თავდება. სამხრეთ ქართლის ასეთ დაუთვას, რაც მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაშლილი თვალწარმტაცი ველით თავდება, მეცნიერი გიულდენშტრედტი ინსპენიებს საქართველოს აღწერაში. ასეთი დაუთვა ხალხში დღემდე არ არის დაიწყებული. ასეთივე სახელწოდებით ცნობილი ის ტუები, რომლითაც დაფარულია რინალთის ხეობების გამყოფი მთები, და რომელებსაც (ხაციციანო ტუებს, ჭავაჩიანო ტუებს, სათარხნო ტუებს) უწოდებენ. ამავე გვარებს წილი ეყუთვნოდათ თრიალეთშიც, რომელიც ლექებმა თურქებთან ერთად გაანადგურეს. მათვე გაწვიტეს და გაფართვეს რდესლაც მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, რასაც მოწმობს ეკლესიების დიდი რაოდენობით დარჩენილი ნაშთები, ალაგ-ალაგ შესანიშნავი არქიტექტურისა, აგრეთვე გაპარტახებული ხილის ბაღები, კოშე-სიმაგრეების ნაშთები.

8. მეფეების მიერ აშენებული ცხირეთის ციხე ხალხურ გადმოცემებში დღემდე სიმონ მეფის ციხედ არის ცნობილი, რა თქმა უნდა იმის გამო, რომ თურქებთან გამუშავებულ ომებში მყოფ ამ მეფეს აქ ჰქონდა თავისი აღგილ-სამულობელო. ეს ციხე ჭირდებობით მთელია. იგი მტკიცე აღგილას არის აშენებული, ხამი მხრიდან ციცაბო მთებით დაცულია და აღვილმისადგომია. მხოლოდ აღმოსავლე-



თილან. ამჟამად შიტოვებულ ციხეში უკლესიაც არის და მთებიდან ფრთული გამოყვანილი წყაროც.

9. დიდოურავიანი სტროფი 22.

10. კავთისხევი აზალქალაქიდან სამხრეთით რვა უერსით არის დაშორებული.

11. ოსებ მიტროპოლიტი თბილისისა ვახუშტის საწინააღმდეგოდ თვლის, რომ მხედართმთავრები ზაქარია და იარალი გმირულად დაეცნენ ნიაბის ბოლოს სერტის ჭალაში.

12. დიდოურავიანი სტროფი 24.

13. „ვახენოთ მელავი მარჯვენა“...

14. ნოსტეს ციხე, მოურავის მიერ ძელ უუძრზე აღდგნილი, ახლაც არის; მას 600 კვ. საცენი უკავია; კედლები ჭირ ისევ მოთელია; ციხის გარშემო აშენებული სამურნეო ნაგებობები და ორი უკლესია იყო, რომელთაგანაც ერთი („სული წმინდის“ სახელისა) შემკობილია უერწერული ურესკებით, მეორე, იმავე სტილისა, მას გვერდით მდებარეობს. მოთელი ადგილი მთის ძირშია, სადაც სოცლებითა და ვენახებით მოფენილი თვალწარმტაცია ული იშლება.

15. ჩივანების გვარი დღემდე არსებობს და ნაწილობრივ სათარხნოს სამულობელოში შემავალ სოცლელ კავთისხევში ბინადრობს.

16. სოცლელი კარსანი საქართველოს ანტროპოფაგიის ძეგლია, წარმართული სანისა. ვახუშტის მოუვანილი აქვს მის დრომდე შემონახული გადმოცემა: „კარსანელთ მართებთ კოდმანელთა ხუთი მკვდარი“. ჭერ კადეც წმ. ნინოს დროს იქ აშენებული ყოფილა ქრისტიანული უკლესია, ლვითისმშობლისაბთვის მიძღვნილი. ეს სოცლელი შაპ-აბასს 1616 წელს გაუნდგურებია. იქ უკლესის ნანგრევებილა შემორჩენილი, მაგრამ შლოცელებს მაინც იზიდავს.

17. ქალაქ მცხეთიდან 15 კილომეტრის მანძილზე, თავად მუხარ-ბატონების სამფლობელოს მოსახლეობრ სოცლელი განადგურებული იყო ლეკების მიერ და ხელახლა დასახლებულია 1827 წელს.

18. ვახუშტი აღნიშნავს, რომ ნუგზარის პაპას—ვანათელ აზნაურს მეცე სიმონ პირველმა ლიახვის პირზე მდგბარე ვანათის ციხის აღგბისათვის, თავადის წოდება მიანიჭა. სპარსელების მიერ მეცე სიმონის დატვევების გამო საქართველოში არცულობის ჩამოვარინის დროს, იგი ქსნის ერისთავის დახმარებით, თავს დაესხა არაგვის ხეობის მფლობელებს—თექურმანიძებსა და კარმულებს, დახოცა ისინი და დაპყრო ბაზალეთი, არაგვის საერისთავოს ერთ-ერთი სიხარული. მალე თვითონაც შეკვდა და უკანონო შეიოლები დატოვა. ამ უკანონი შეიოლებმა ურთიერთშორის ბრძოლა ატენებს. ერთმა მთვარმანი დახოცა დანარჩენები და თავი ერთადერთ დამოუკიდებელ მფლობელად გამოაცხადა. ერთ-ერთი მოკლულ ძმის შეიომა, ახალგაზრდა ნუგზარმა, რომელიც გადარჩა მათვარის ამოწყვეტისას, შემდეგში შეიტენილდა მოაწყო, ამხედრდა თავისი მამის მკვლელისა და სამფლობელოს მიმტაცებელი ბიძის წინააღმდეგ, მოყლა იგი, თავი არავის ხეობის მფლობელ თავადად გამოაცხადა და დამსახურებული მანამდე დაუმორჩილებელი ქართველი მთიელები. ტყვეობიდნ დაბრუნებულმა შეცე სიმონა, პაპის დამსახურებისათვის, მის გვარს არავის ხეობის მფლობელი თავადების შემკვიდრეობითი უფლება დაუმტკიცა.

ნუგზარის სახელი, როგორც მრისხანე მეომრისა და სისხლიანი ბრძოლების



გვირისა, დღემდე ისენიება ქართველ მთიელთა გადმოცემებში, რომელიც შემატებულია
თუ იმ ამბის სიძელეებს განსაზღვრავენ ნუგზარის მფლობელობის ეპოქით: „ხის-
ხლის წყიმების დროსათვის, ნუგზარ ერისთვის დროსათან“.

19. ახლანდელი სოლანლული. ძველად ეს ადგილი მეცნის აქლემების საძოვა-
რი იყო.

20. აღნაუალა—ქართულად თეთრი ციხეა. იგი აგებულია მონლოლთა შანის
ეკუბის მიერ, რომელსაც სპარსეთი დაპყრობილი ჰქონდა 1478 წლიდან 1485
წლამდე. შაპ-აბასმა იგი გოორგი მეტაცებ წაართვა და მის ირგვლივ მომთაბარე
ტომი ბორჩალუ დაასახლა. ცნობილია, რომ იმ დროიდან გაქრა ამ ადგილის უწინ-
დელი სახლი ბერდუჭი; მთელ ამ ადგილს ბორჩალო დაერქვა, მოსახლეობას კი
— ბორჩალოელები.

21. დიდმიურავიანი, სტროფი 168.

22. სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუზში, შაპ-აბასის თანამედროვე, ქებით
მოვითხოობს საქართველოში შაპის ლაშქრობის დროს დიდი მოურავის გოორგი
სააკადის გმირობას.

23. თემურაზი სპარსეთში ჭრ კიდევ მისი პაპის ალექსანდრეს დროს იუო
გაგზავნილი, მაგრამ კახეთში მამილიანი მეცნის კონსტანტინეს მოკვლის გამო, 15
წლის ასაჭმ კახეთის მეფედ აკურთხებს. ამავე წელს შეირთო ვურის მთავრის მა-
მია პირველის ქალიშვილი ანა, რომლისგანაც უყოლა შეილები: ლეიინი და ალექ-
სანდრე. 1809 წელს დადოფალი ანა გარდაიცვალა და თემურაზი მაშინვე გაუმ-
გზავრა სპარსეთში შაპით, რომელსაც სურდა მეუღლის დაკარგვით დამწუხრებუ-
ლი თემურაზისთვის ნუგზმი ეცა და დაეცოლებინა, გამოეცვალა სარწმუნობა და
დამამარტოდა შაპი, საქართველოს გამამარტინებით ბოლო მოცემ რუსეთთან უ-
ცოლვარი ურიკორთობისთვის.

24. კახეთზე დაღესტნის ლუკო თავდასხმებში მეცე აიძულებს, მათ წინააღმდეგ
სარდალ ქაიხოსრო ომანიშვილის მეთაურობით ჭარი გაეგზავნა.

ქაიხოსრომ ლაშქრობა წარმატებით ჩაატარა. მას სურდა ჭარში სამხედრო საკ-
რავები ყოფილიყო და მითითოვა დროებით ბუები გამოეცვავნათ, რომელთაც
მხოლოდ ჭარში მეცნის ყოფნის დროს შმარობდნენ.

კარისეაცემა ქაიხოსრო ომანიშვილის საქციელი მეცნის წინააღმდეგ ამბო-
ხებად ჩათვალებს. დაღესტნის თავზარდამცემი უბედური სარდალი, მეცნის განკარ-
გულებით, — რასაც ისტორიკოსი ვახუშტი არ ამართლებს, — კახეთში ცერაგულად
შეილებს. ასეა ისტორიკით; მაგრამ გადმოცემა, დროის შეხედულების მიხედვით,
ამართლებს ტახტზე მცდომ სუსტ მეფეს, ჩირქეს სცხებს ქაიხოსროს ხსოვნას და
ამას შაპისადმი ქაიხოსროს იღუმალ ერთგულებას მიაწერს. მზად ვართ ვირწუ-
ნოთ, რომ თემურაზი, როგორც მორწმუნე ქრისტიანი, ცერ აღმართავდა ცის-
კენ სისხლიან ხელებს თავისი სამეცნის გადარჩენისა და ბეღნიერებისათვის. უ-
კოველ დიად მაგალითში რაღაც უსამართლობა, მაგრამ ეს უსამართლობა რამდე-
ნიმეს მიმართ, ტაციტის შენიშვნით, ანზღაურდება იმ სარგებლობით, რასაც

25. იხ. ამის შესახებ შარდენის მოგზაურობა, პარიზი, 1828, გვ. 191. აი, რას
წერს ამის თაობაზე შარდენი: „ლუარსაბმა გადაწყვიტა ბრძოლა და იმედი
ჰქონდა, რომ სპარსელებს ტუმებში მოაწყვიდედა და იქ მოსპობდა. აბასმა გა-



დაწევიტა, აშკარად მიღლატეს, დავილუპეო. მას პქონდა ამ ფიქრის ცალკეულების მიზანით — მისი გარი დახსლობით 25 კოლომეტრით შეიჭრა ქვეყანაში. ლუარსაბმა თავისი გარი ორ ნაწილად გაუყ და გასასვლელები მოქრილი ხეების ზეინებით შეურა, ისე, რომ სპარსეთის გარს არც წინსვლა შეეძლო და არც უკან დახევა. აბასი შეძრუნებული იყო; მურადად წოდებულმა, იმის შიშით სიცოცხლე არ მოშისოს, უთხრა მას: „მეუკო, მე გაგიყვანთ აქედან სამ დღეში, რაზეც თავსა ვდებო“. მან თავისი სიტყვა შეასრულა; ცეხოსან გარს გზა გააკაცვინა. დატოვა ბანაკი, რომელიც გარშემორტყმული იყო ქართველებით და თან მხოლოდ ფეხოსანი გარი წაიყვანა. აბასმა პირადად მიისურვა მისი წაყვანა და, ტკუ რომ გაიარა, თავს დაესას კახეთის სამეფოს, სადაც დიდი სიმეკაცე გამოიჩინა, დააჭრევინა თუთის ხეებიც, რომლის უოთლითაც აბრეშუმის ჭიას კვებავდნენ, რათა ქვეყანა, რომელიც ამით უკეთზე დიდ დოკლათს შოულობდა, უსახსროდ დარჩენილიყო.

როდესაც ამ ამბავმა ლუარსაბამდე მოაღწია, თავი დაღუბულად ჩათვალა“.

მეორე ფრანგი მწერალი, რომლის სახელიც ჩემთვის უცნობია, ადასტურებს, რომ შაპ-აბასთან იმში მეცე ლუარსაბის პირველი მოქმედება იმდენად წარმატებითი იყო, რომ ტკუში მომწყვდებულ შაპს შეიძლება სრულიად დაღუპოდა გარი, რომ მის მიერ მურადად დასახელებულ მოურავს ტკუშიც სხვა გზაზე გარის გატარებით არ გამოენახა საშუალება იქიდან მისა გამოყვანისა.

„ამ ომის პირველი ამბები სპარსეთის მეფისათვის საკეთილდღეო არ იყო, რადგანაც ლუარსაბმა მოხერხებულად გამონახა საშუალება და მოამწყვდია იგი. მისი გარი უსათუოდ იქ დაიღუბებოდა, მურადს რომ არ გამოენახა ხერხი მისი იქიდან გამოყვანისა ტკუბზე გზის გაუყანით“.

საყურადღებოა, რომ ამ ისტორიულ წყაროებში მოურავი გოორგი საკაძე იხსენიება „სიმონ მერონანდ“, ან „მურადად“, ლუარსაბის მთავარმინისტრად.

26. შაპ-აბასმა მერონის (მოურავის) მეთაურობით შეაღწია ამ ქვეყანაში ქართველთა მიერ გაზრდილი გარით, რომელთა რიცხვიც დღითიდე სულ უცრო იზრდებოდა, ზოგს დაიმედებით და დაპირებით იზიდავდნენ, სხვებს კი მუქარა ან შურისძიების წადილი უბიძგებდა.

(იხ. შარდენის მოგზაურობა, ტ. III, გვ. 121).

27. მეცე არჩილის თხულებაში იხსენიება მუხაიბი, ხოლო სხვა ისტორიკოსები კი მას სარუ ხოჯას უწოდებენ.

„ერთი ხოჯა მუხაიბი...
ამასთანეე გამოგზავნა“...

28. ისეანდერ მუნშის სიტყვით ლუარსაბ მეცე შაპთან გამოცხადდა რამაზანის 13 დღეს, ე. ი. 1615 წლის ოქტომბრის პირველ კვირაში.

(Dorn, Mém de l'Acad. Sc. Pol. tom VI, peg. 32).

ამინაწერს ისტორიკოს მუნშის თხულებიდან, რომელიც ეხება შაპ-აბასის ლაშქრობას საქართველოში და დაწერილია დიდი მოურავი გოორგი საკაძის მითითებით, ვეცნობით „ქართულ მატიანეთა კრიტიკულ მიმოხილვაში, მოსკოვის არქივის დოკუმენტების საშუალებით“, რომელიც + წაგითხული იქნა 1844 წლის



1 ნოემბერს მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე. ეს წერილი სხვა, ასევე მნიშვნელოვან ცნობებთან ერთად მოთავსებულია (Bulletin de la Chasse Hist philologique, de l'Acad. Sc. de S. P. B. Tom. III, p. 4, 5, 6, 7).

29. ზაპაბასის მიერ ღვინის სმისა და ორიაქით მოწევის შესახებ წერს მეზე უკი თეომურაზ პირველიც, რომელიც არა ერთხელ ყოფილა მასთან სპარსეთში და იმას ღვინოც შეუსხამს მისთვის იმის გამო, რომ შეცეს უარი უთქვაშს მარხვაში ქრისტიანული წესის დარღვევაზე.

„ღვინოს სუამდა, სისხლად პსჩერდა
ორიაქს სჭამდა, არაბითა“.

30. ხელნაწერიდან რომელიც მე გადმომცა გორის უწმინდესმა ეპისკოპოსმა ნიკიფორებმ.

31. უწმინდესი ნიკიფორეს ხელნაწერიდან.

32. „ეპარტლისათვის რა ძე დავთმე, როგორ ტურფა სასურველი,
ჩემთვის ვარდი მაისისა, ალარინ ჰყავს მას იქ მშველი
წასელის ღონე არსით ჰქონდა, ბევრი ჰყვანდა
ჭაშუშ-ზველი,
იქ პატა დამიქარგავს, აქ არა მყავს გამკითხველი“.

მაშინ ზურაბ ბევრი მიმხრო, კაცი არის გამბედავი,
კაის ჭარით მამეშველა, მტერთ მემუქრი და მეღავი,
ომის დღესა წინ წამდგომი, დამშლელ უთხრის:—დამე დავი!“
მოყვარე და ჩემთვის მკვდარი, ის ეტლ სრული, მე ბედ ავი!

შან ცოლი დაპისთმო, ჩაიგდო სირცევილად სრულ არა რათა!
ვჰყაბდე: „უკეთეს შეირთავ, შენთვის მწვევ გასახარათა,
ხმალსა და სახელს აქ პიონე, კვლავ მზე მოგინონ დარათა,
ლუარსაბ მეფის დის შერთვა, შენთვის ას ეს საქმარათა!“.
(ზიღმოცურავიანი, სტროფ. 181, 182, 183).

მოურავის ვაჟს პაატას მამამისის ღალატის გამო, ზაპის ბრძანებით 21 წლისას ისპაანში თავი მოკვეთეს. მან კი, როგორც გულითა და სულით მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, სიკვდილის წინ უარყო მამადიანობა, რომელიც ძალით ჰქონდა მიღებული, ამიტომ სპარსელებმა არ აღირსეს მამადიანური წესით დასაფლავება. ქალაქის დაშორებით ხევშე გადადგმული მისა გვამი ისპაანში იმ დროს შეიოტა კათოლიკე-მისიონერებმა დაურჩალეს. მისმა მამამ გიორგი ხაკაძემ დიდი ხარჯი გააწია, თბილისელ ვაჭრებს მოანხვინა შვილის გვამი და საქართველოში ჩამოატანინა. კათოლიკოსის ნებართვით, პაატას ცხედარი დაკრძალულია ერთა-წმინდის ტარის დასავლეთ მხარეზე, სადაც მალე მოურავმა დღემდე არსებული

საგანგებო უკვდერი ააშენა. ზურაბ ერისთავის ცოლი კი, ძალით გამატმადიანერული, შაბის ცოლებს მოახლედ მიუყვენეს. შაბ-აბასის სიკვდილისა და ქმრის გამოწვევულების შემდეგ იგი საქართველოში 48 წლისა დაბრუნდა, კვლავ იწამა მართლმადიდებლობა და მონაცენად გარდაიცვალა, მან დიდი სიმიღარე უანდერდა მონაცენერს, რომელმაც მისი ცეცხლარი დედაბერ მართას სახელით მიიბარა.

გვ. ქართულ ქრისიკებში ისხნება უკიქნის-ხანად.

გვ. ისტორიებს გორგიანიძის მოთხოვნის მიხედვით იქნება ერისთავი და თემურაზ მუხრან-ბატონი სიცემი იუვნენ მოურავის თავად გორგი ხაკაძისა.

გვ. მთელ სამეფოში მოურავის გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ მასთან, თუ იგი არა ბრძანებდა, არც ერთი, ზოდებული, თვით არავის საერისთავოს მფლობელი ჰურაბიც კი არ ჭდებოდა. ასე წერს მოურავის თითქმის თანამედროვე მეცე არჩილი.

„მოურავი უფროსობდა
მასზედ და ქართველ ზედა,
თუ ეტყოდა დასხდებოდენ,
თუ არ დგიან სრულ უკელაზე“.
არჩილიანი.

გვ. გონიო, გამაგრებული ქალაქი მდინარე ჭოროხის სამხრეთ ნაპირზე მდებარეობს ბათუმის პირდაპირ, ზღვიდან 5 კილომეტრის დაშორებით. თურქებმა დაკავების შემდეგ, 1547 წელს იგი კედლებით გაამაგრეს და მეციხოვნენ ჩაუყენეს. აქ მეცე თემურაზმა, როცა ოჯახით ცხოვრობდა, მაცხოვრის ხახლობის ეკლესია ააშენა, მაგრამ მას შემდეგ თურქებმა იგი დენთის საწყობად გადააქციეს; ქრისტიანობის მტრები მას დაღმდე უჩქულო, უკანონო ხანის „გურჯიბანის“ მიერ აუცილებულ უწოდებენ.

გვ. ლუარსაბ მეცეის ცხოვრების აღწერაში კათალიკოს ანტონ მოძყავს გორგი საკაპის მიერ საქართველოში შაბ-აბასის წინაშე წარმოთქმული შემდეგი სიტყვები: „თქვენი ნება-სურეილის შინააღმდეგ თურქეთიდან გამოიწვიეთ კახეთის მეცე თემურაზ ხელასლა გასამცემბლად, ციხიდან ლუარსაბ მეცეს გამოიყვანენ და მას ქართლში გამეცებენ“. A

ამასევ წერს ისესებ თბილელი, ზიტროპლიტი, გორგი საკაპის შვილოშვილი, რომელსაც ბევრი მიკერძოებას სწავებს. „მოურავს ამის მეტი არა დაუშავებია, რომ ერთხელ ეს უთხრა ყანესა, ასტრაბადში მცოც ლუარსაბზე: „სანამდე ლუარსაბ მეცე ცოცხალია, მანამდე ქართლი არ დაწყნარდებაო“. A

სომები ისტორიების ჩამინიც შაპაბასის მიერ ლუარსაბ მეცეის დევნის, მიის მოკველის, მთელი საქართველოს აობრების მიზნზად მოურავს თვლის, რომლის წინამძღვრობითაც შაპი საქართველოში მოვიდა.

გვ. სომები ისტორიების არაქელ თავრიზელი, რომელმაც აღწერა დიდი მოურავის გორგი საკაპის ცხოვრება, მოგვითხრობს, რომ სამცხის ეს ათაბაგი თურქებს ციხიდან გამოიქცა, საღაც საფარ-ტაშის მიერ იყო დამწევდეული და საქართველოში სამასი ჭარისეაცი მოიყვანა (თავ. IX, XI, XVI, სომხ. ენაზე).

39. ეს ციხე მდ. არაგვიდან 12 კილომეტრის დაშორებით გუდიშმაქრის ვიწროების ახლო ხეობაში მდებარეობს. XVIII საუკუნის დასაწყისში ამ აღვილებზე მობინაძერე ხებით ციხეში მალვადნენ დიდგვაროვან ტუვეებს, რომელთაგანაც მნიშვნელოვან გამოსახუიდს ელოდნენ. 1791 წელს ვახტანგ ბატონიშვილმა ეს ციხე ნაა და სიგელით დაუზრუიცა ძველ მულობრელს, რომელსაც თავის მეგობრად თვლის, მაგრამ მეცე ერებულეს ხელქვეითად ასახელდას. ციხეში უოფნის ნიშნად ვახტანგმა ოს ბაგოს თავისი ხმალი აჩუქა, რომელიც იქ 1803 წლამდე ინახებოდა.

40. ანდუშაუარ ამილახვარის ცოლი მეცე სიმონ მეორის და იუო.

41. ხოსრო მირზა 1634 წლიდან 1655 წლამდე ქართლის ტახტზე იუო აკვანილი და როსტომ მეფის სახელით მეფობდა.

42. „თვალით ტურფა და ქეპლუცი
თმა მოგრძე, ამბარ ხშირია“.
(დიდმორურავიანი, სტროფ. 212).

43. ზოგ-ზოგი ბართიანი თან წამყვეს ცოლშეილიანად,
გიორგი ქავთარიშვილი, გერმანიზ მსახურ ყმიანად.
სხვა მსახურ მარჯვე კაცები, მსვლელნი არა თუ გვიანად,
იმ თემის აზაურშვილნი მოვლენ თამამად, ხმიანად.

ახალციხე და აშშევრი, ხერთვის და ფარავანია;
ყიზილბაშო ჭქონდა ციხენი, შიგ ჭანი ან საკინია;
ზოგი მე ძალად წავართვი, ვიხმარე კარგ რავანია,
ზოგი იმათვე გაუშვეს, გასცივდათ თეთრ, ღრაპკანია.

—
გიორგი ქავთარისშვილი სიტყვა-პასუხის მთქმელია,
წეანთქართან ამად გავიზავნე: „ოქეენ იყავ ჩვენი მშველია..
ეს ციხეები ავიღე, თქვენ გამოგზავნეთ მცველია“;
ხელმწიფემ ბრძანა: „საქმენი უქნია კარგ საქნელია“.

—
როსტია გედეონისძე, — ერთგული, თავდადებული,
დემეტრე საგინაშვილი, — იყო ჩემთანა ხლებული;
მათარსი შიხალრისძე, — ჭყუისა მქონე, ცნებული,
პაპუნა ვაშაყასშვილი — ჩემთვის მკვდარ თავშამებული.

—
სხვანიც ხომ ბევრნი მიახლეს, ესენი განუყრელია,
საათაბაგოს მივედით, მესხნი კარგ შესაყრელია,
მათი სიტქბო და სიამე სევდისა უკუმყრელია.
რომელიც გაწევეს სალხინოდ ხელისხელ ჩასაყრელია.

დაუთ-ბეგ ვოგორიშვილსა მყვიდრად აქვს ციხის ჭვარია,
მითხრა: „ხელო მოგცემ ციხესა“, მან დაიფიცა ჭვარია.
აფიეთს დაედეგ, მე მახლდა კიდევ კარგა რამ ჭარია;
მესხნი ყოფილან მოყვრისთვის თავისა გამსაჭარია!

ფარად ფაშა ხომ სიძედ მყავს, თავდღებ ჩემთვის მყვარია,
თანუნა ღიასამიძე, კაცი ბრძენი და წყნარია;
მან მითხრა: „თრიალეთისკენ ასპინძა ახლოს არია,
ყმა და ამბავი მოგწვდების, ავი თუ გასახარია!“

შალიკაშვილი როსტომ და ელიბარ თაქთირიძეო,
ყაენთან სწორად ვიყავით, ერთი ძმა, სხვა კი ვიძეო;
როსტომზ თქვა: „იცი ავარის კარგი მამული მიძეო;
იქ დადეგ, რაღან ქართლიდგან ჭვრხანად გამოიძეო!“
(ტიტლურავიანი, სტროფი 226—228, 231—234, 237).

44. ამ დროიდან ეს გვარი ისტორიაში გაქრა, ამბობენ, რომ მის მფლობელო-
ბაში იყო აღგალ-მამულები ლიახვა და ქანს შორის.

45. დვალეტის მოტების მაღალი მწვერვალები, ცხენისათვის მიუდგომელი, უე-
სით გადასახლებულაც კი მშეტად ძნელია. ხალხში ეს მწვერვალები ცნობილია
ბრუტსაბძელას სახელით. ცრუმირეშვილენი მათ ავ სულებით და კულიანებით
ასახლებენ გერმანული ბროკენის მსავალად.

46. კაზაურათნ ქსნისა და გუაღურის ხეობების გამუოფი ლომისის მთა და-
ვიარგვინებულია მის თავზე აშენებული წინინა გიორგის სახელ. ეკლესით, რო-
შელიც უკელი მხრიდან ჩანს. ყლესია აშენებულია მეთორმეტე საუკუნეში თა-
ში მეუჯის მიერ, რომელმაც ერთმანეთთან ხანგრძლივად მებრძოლ ირ ხეობას
შვეიცავისაკენ მოუწოდა. იმ დროიდან ორივე ხეობის მეციდრთა სალოცავად
ქცეული ეკლესია აერთიანებდა მათ საერთო მტრების წინააღმდეგ თავისუფლები-
სათვის ბრძოლაში. ამ ეკლესიას, მეულად შეუტო და დიდებულთა მრავალი შესა-
წირი ჰქონდა შენახული. ოქრო-ვერცხლის ჩარჩობიან ხატებს და წმ. ჭვარს და
ხევა შრავალ სიმდიდრეს ვახუშტიც იხსენიებს, ბევრი მათგანი, რომელთაც დღემ-
დე ხალხს უჩვენებენ, გასაოცარია სიღიდით. არ ვიცი, რას ემყარება ამ ეკლესია-
ში წმ. გიორგის დღეობა, პეტრე-პავლობის შარხვის უკანასკნელ. კვირეულებში
რომ იმართება.

47. დიდმოურავიანი, სტროფი 257.

48. ვახუშტი ამ ციხეს კიკანთბერას უწოდებს. იგი დღემდე უგას არენის
ხეობაში, მიუდგომელ მწვერვალზე.

49. ბიბლიოსის ციხე მდებარეობს შედ. ალგეთის ჩრდილოეთი კილომეტრზე
მისი წრეხაზი 10 კილომეტრამდეა. ტუებით დაუარულ მაღალ მთებს ზუა ბალა
ხებითა და საუცხოო წყაროებით მდიდარი დასერილია ღრმენით. მისი ცენტრულია
ტადელი მტრებისათვის მიუძღვომელია; შიგ შესასლელად კლდეებში ამოჭრილია
საფეხურები, რომელითაც მეცინოვნებს ძნელად, თითო-თითოდ შეუძლიათ ავ-
ლა. ასეთი საფეხურები 150 დავთვალე; ციტადელს ალაუაფის კარი აგურისა აქვს
უკელა დანარჩენი ნაკეთობა კლდეშია; ციტადელის თაშე გამართული აუზი, წვი-
მის წყლის ჩასაშვებად, კვადრატული ფორმისაა, სიგრძე ერთი საუნია. სიღრმე
ორი არშინი აქვს. მთელი ციტადელის ფართობი 150 კვ. საუნია. ამ ციხეში არის
ეკლესიაც, რომელსაც გარს მშვენიერი ჭალა ერტყმის. იქვეა საუცხოო წყარო
და ფეოდალიზმის დროინდელი კოშკები.

50. „ხელმწიფეს მუხლა ვაკოცი,
სიტყვა მიბრძანა თქმისანი, —
ვპარაზრე: „თქვენს ხმალა მოვენდეთ,
ყმობა ვერა ვჰქენ სხვისანი“.
(დიდობრუავიანი, სტროფი 419).

51. ფუანონისა და პამერის მიერ დაწერილ თურქეთის იმპერიის ისტორიაში,
რაც ჩემი ერთადერთი სარტმუნო წყაროა მოურავის უკანასკნელი საქმეების აღ-
წერისას, იგი ნახსენებია, როგორც ზაქ-აბასის მოღალატე, ქართველი თავადი მო-
ურავ-ხანი. V

სამწუხაროა, რომ ამ წიგნში ციტირებული არ არის ჩემ მიერ ამოკრეფილი
ცნობების პირველადი წყაროები.

52. ზოგიერთი თურქი ისტორიკოსი შეცდომით მიაწერს ამ ამბავს 1624
წელს. იმ დროისათვის მოურავი ჯერ კიდევ არ იმყოფებოდა თურქეთში.

1624 წელს, (1084) მიწურულში დიდვაზირი ჩერქეზი მუჭამედ-ფაშა გარდა-
იცვალა ტრკატში და მის ადგილზე დანიშნული იქნა ბაფიშ-ფაშა, დიარბეგირის
ბეგლარ-ბეგი, რომელიც ამ ქალაქიდან ოდნავ მოშორებით დაბანაკდა ჩემუკის
ველზე. მასინ, როგორც თხი ათასი თურქი დაირბეგირის მისადგომებშე იჩი-
ათასი სპარსელისაგან შემდგარ ჭარს ებრძოდა, როცა უარჩიხა-ხანი მთლიანად იყო
დაბრუელი, ზაპისაგან განდგომილი მოურავ-ხანის მიერ. (გვ. 220).

უცნაურია, რომ მოურავ-ხანის მიერ დამარცხებული ყარჩიხა-ხანი იმ ყარჩი-
ხა-ხანის მოსახელე იყო, რომელიც შპნ საქართველოში მოპეულა.

53. ხალილ-ფაშამ ლაშქარი არზერუმის გზას გაუყენა, სადაც მას ქართველი
მოურავ-ხან შემოუერთდა. დიდმა ვეზირმა ქალაქს ალყა შემოარტყა და რა
თევზე მეტი წნის განმავლობაში უშედეგოდ უტევდა ქალაქს. ბოლოს იგი იძულე-
ბული გახდა ალყა მოეხსნა და არზერუმი მიეტოვებინა 1627 წლის 25 ნოემბერს.
25 დღის დაშქანცველი გადასვლების შემდეგ, რა დროსაც მთელი ასეულები
იღუპებოდნენ ყინვებისა და თოვლის ზვავებისაგან, ხალილ-ფაშამ ქალაქ ტოკატს
მიაღწია.

ხალილ-ფაშა ამ უშედეგო ლაშქრობის გამო ჩამოქვეთოებული იქნა მეოთხე
რანგის ვეზირობამდე. ამის შემდეგ იგი მაღე გარდაიცვალა.

54. 1629 წლის 9 ივნისს დაიდა ვეზიირი სკუტარილან გამეგშავრა. მრავალი მგზემულობით, მისი გზა სისხლით იყო მოხილა. მან იმსახურდლა ღოთხოვთა ალბანე ტურქიშ-ბეი, რომელიც 60 წლის წინათ სულთან სულეიმან ეც კანუნის ჩამასტურიში იყო, ყარისხა-ხანზე გამარჯვებული მოურავ-ბეგი, მისი ვაჟითა და 40 ქართველითა, მოურავ გილირი აბუ-ბეგირი.

სერთი იურ შრავლი საბაზით გამოწეული მსხვერპლი ხუსრუ-ფაშას მოსის-
პრინც განცილებისა.

କର୍ତ୍ତା ଲୁଣଙ୍କ ମେନ୍ଦୁରାଙ୍ଗିଙ୍କ ସିଯିପିଡିଲୀଙ୍କ ତ୍ୱରିତ ଏବଂ ହିନ୍ଦୁପିଣ୍ଡିଙ୍କ ଦ୍ୱାରା ଉପରେ ଚାଲାଯାଇଥିଲା ଏବଂ କର୍ତ୍ତା ଲୁଣଙ୍କ ମେନ୍ଦୁରାଙ୍ଗିଙ୍କ ପାଇଁ ପରିବର୍ତ୍ତନ ହେଲା ।

ମାତ୍ରାବ୍ଲାଟାରୀ, ମେଲୁରାଙ୍ଗାଳ ମୈଯିପାଲିଙ୍କ ଶ୍ରେଷ୍ଠେ ଗାନ୍ଧାରୀଙ୍କ କ୍ଷେତ୍ରରେ-ପ୍ରାଚୀ 1629 ଫୁଲିଙ୍କ ଏକାକିମିଶ୍ରଙ୍କ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ଏହା ଅପରା ହେଉ ଗାନ୍ଧାରୀଙ୍କ ପ୍ରାଚୀଲ୍ଲାଦିତ୍ବରେ ଥିଲା ।

၃၆. ဦးခွေ အကဲ အရာဝါ၊ လုပ် ဒာသဗ္ဗံ့တိ အမိ ကျော်လာနှင့် ဤအာဆုန်၊ အင်္ဂ အာဆု ကျော်လာ-
ဦးခွေ အကဲ အရာဝါ၊ လုပ် ဒာသဗ္ဗံ့တိ အမိ ကျော်လာနှင့် ဤအာဆုန်၊ အင်္ဂ အာဆု ကျော်လာ-
ဦးခွေ အကဲ အရာဝါ၊ လုပ် ဒာသဗ္ဗံ့တိ အမိ ကျော်လာနှင့် ဤအာဆုန်၊ အင်္ဂ အာဆု ကျော်လာ-
ဦးခွေ အကဲ အရာဝါ၊ လုပ် ဒာသဗ္ဗံ့တိ အမိ ကျော်လာနှင့် ဤအာဆုန်၊ အင်္ဂ အာဆု ကျော်လာ-

57. თურქეთის ისტორიდან არა ჩანს, იყო თუ არა ხუსრუ-ფაშას ცოლი სულთანის და, მაგრავ ის კი სწორია, რომ მას, სულთანის განჩინებით, სიცოცხლე მოუსპოვ გალათის ხელმა ქ. სონტაში 1682 წლის დამდეგს.

58. විනිශ්චයාත්‍රී, පාලදායුම් මෙහෙයුම්.



ერთაშონდის ტაძარი

ერთაშონდის ტაბარის აღწერა

დიდწამებული წმ. ესტატეს სახელობის ერთაშონდის ტაბარი¹ დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შთამომავალთა, თავად თარხან-მოურავთა მამულში მდებარეობს და ქალაქ თბილისიდან 72 კილო-მეტრი მანძილით არის დაშორებული. ამ ტაბარის აგების დაწყებას მეხუთე საუკუნეში მცხოვრებ ვახტანგ პირველს მიაწერენ. მანვე დაარსა ღვთისმშობლის სახელობის მეტების ტაბარი, ერთაშონდი-დან 7 კილომეტრის დაშორებით რომ მდებარეობს.

ამ ტაბარის შესახებ გეოგრაფი ვახუშტი შემდეგსა წერს: „თე-დამზედ არს ახალ-ქალაქი. ამის ზეით ეკლესია გუმბათიანი ერთა-შონდისა, სასწაულმოქმედი; თლილის ქვით ნაშენი, კეთილოვანი, საარქიმანდრიტო, არამედ კათოლიკოსს უპყრია ტახტად თვი-საღ“...²

ერთაშონდის ანუ წმ. ესტატეს ტაბარი თვალწარმტაც ადგილ-ზე დგას. იგი, ტყიანი მთის პირში აღმართული და გუმბათატყორ-ცნილი, მთებიდან და ბორცვებიდან მტკვრის მარჯვენა მხარეს ქარ-თლის შორეული მინდვრებიდან თვალწარმტაცად მოჩანს. მის გარ-შემო ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით პირიზონტი 60 კილომეტრზე მეტით არის გაშლილი და სოფლებით, ვენახებითა და საყდრებითა მოფენილი. სამხრეთით, მაღალი მთით შეზღუდუ-ლი პირიზონტის სილამაზეს აგვირგვინებს ფიჭვნარის ტყე-ბუნების საუკეთესო სამყალელი.

ოთხ სვეტზე დაყრდნობილ ტაბარს სიგრძე ცხრა საუენი, სიგა-ნე ექვსი და სიმაღლე 15 საუენი აქვს. გარშემო მოხდენილად ამოჭ-რილი ჯვრებით და სხვა ჩუქურთმა-ქანდაკებებით არის შემკული. აღმოსავლეთის კედლის ორი წალო დაგვირგვინებულია ფრინტო-ნით, რომელზეც ლამაზად არის გამოკვეთილი ქვის ფრიზული სამ-კაულები — ყურძნის მტევნები და დიდრონი მბრწყინავი ჯვრები.

სამხრეთიდან შესასვლელი კარის თავზე წარწერა დრო-ეამისა-გან გაცვეთილი და გაურკვეველია. დასავლეთის შესასვლელი ძვე-



ლადვე ამოშენებული და აქ ტაძრისაგან კედლით გაყოფილი გადასახლებულია — ეკვდერი, რომელთა კედლებიც შემცულია მათი მიმშენებლის — მოურავის ღროის ბერძნულ წარწერით. ამ ეკვდერთაგან ერთ-ერთ-ში დაკრძალულია შაპ-აბასის მიერ მოკლული პაატა—შვილი დიდი მოურავისა.³ მრისხანე მოურავის შეილის ამ საკრძალავში, რომელიც 1796 წელს დაუკეტავთ, სიბნელე და მყუდროება სუფევს.

ფრანგი არქიტექტორი რიპარდი, თავის ოფიციალურ მოხსენებაში ამ ტაძარზე შემდეგსა წერს „არქიტექტურის სტილით, განსაკუთრებით კი თვით გუმბათის აგებულებით, ტაძარი საქართველოში ქრისტიანობის უძველესი ღროის ეპოქას ეკუთვნის, როდესაც ამ გვარი ტაძრები ქრისტეს სახელს ეძღვნებოდა. ეს არქიტექტურული იეგლი სადაა. ძველი ხუროთმოძღვარნი საქართველოში ტაძრების აშენებისას მათ გრძელ ოთხკუთხების სახეს აძლევდნენ და არც პილასტრებით ამკობდნენ, არც ცალკეული სვეტებით, მავრამ შენობის თთოეული ნაწილის ფასადს ფრონტონი ჰქონდა, რომლის შუაშიც ამოქრილი იყო ფრიზული ნაძერწით შემცული ფანჯარა. ასეთივე ერთაწმინდის ტაძარიც. ქართული არქიტექტურა ყოველთვის როდი ბაძავდა ბერძნულ არქიტექტურას. როგორც ორიგინალური და დამოუკიდებელი, იგი არ ცდილობდა ფასადის პორტიკები სვეტებითა და პილასტრებით შეემკო. არ შეიძლება განსაკუთრებული გაყვირვებით არ ალინიშნოს, რომ ქართველები მტკიცედ იცავდნენ არქიტექტურის ერთსა და იმავე წესებს თავისი სალოცავებისათვის, თუმცა ისინი საუკუნეების განმავლობაში მაპ-მაღიანური ქვეყნებს გავლენს განიცილენენ. თაღებს, კამარებს, კარ-ფანჯრებს ნახევარი წრის ფორმა აქვს, ზოგ ადგილს კი ისინი სფერული ფორმისაა. ყველა გულმოდგინედ თლილი ქვისაგან არის ნაგები. ეს ყველაფერი ნათქვამია მხოლოდ ტაძრების შესახებ; კერძო ნაგებობებს, კი, მაგალითად, ხიდებს, ქარვასლებს, ბაზრებსა და სასახლეებს სპარსული არქიტექტურის ბეჭედი აჩის.

ერთაწმინდის ტაძრის სახურავი გაყეთებულია ქვის ფილებით და ისეთი ხელოვნებით, რომ თუმცა მრავალი საუკუნე გავიდა, წყალი არ ჩადის ტაძრის თაღებამდე. მისი გუმბათი კონუსურად არის აღმართული ტაძარზე, და, ქართული არქიტექტურის სტილით აგებული, კერ კიდევ მთელია.

ტაძრის კედლები გარედან შემოსილია თლილი ქვით, შემცულია ქანდაკებებით. ლავგარდანი ამკობს გუმბათს და მთელი სახუ-

რავის ნაპირებს. ოღმოსავლეთ შხარეს, სამთავისის ტაძრის აღმოსავალი და გადამდებრებული ფაქტი ხელოვნებით შესრულებული ქანდაკებით. ასეთივე წალო ჩრდილოეთ შხარეზეც არის. ეს წალო უხეშად არღვევს კედლის სიმეტრიას, რადგან მოპირდაპირე შხარეზე ასეთი არ არის. აქედან ნათელია, რომ აღნიშნული წალო უფრო შემდგომი დროის ნაკეთობაა, რომ უკანასკნელ დროს, ან აქარების, ანდა ხელოვნების უცოდინარობის გამო, უწინ არსებული წალო ქვით ამოუშენებიათ. ამ ტაძრისა და აგრეთვე საქართველოში არსებული სხვა ტაძრების ფასადების გადალებისას ცნობისმოყვარე იდამიანს უნებლიერ გააოცებს ნაგებობათა ნაწილებისა და სამეცაულების შეუფერებლობა, ხშირად ისინი ხუროთმოძღვართა ნებისმიერი წარმოსახვით არის შექმნილი. ხუროთმოძღვრები ტაძართა განახლების, აღდგენის ნაცვლად, ამანინჯებდნენ არსებულს. ჩემი აზრით, ამას ისინი ჩადიოდნენ, ვინც ნაგებობათა განახლებისას, ვერ ახერხებდა დაეცვა მთელი ნაგებობის ძირითადი იდეა, რასაც ძველი ხუროთმოძღვრები კარგად იცავდნენ და საუცხოო ტაძრებსაც აშენებდნენ. ყველაფრიდან ჩანს, რომ ტაძრის გუმბათი ორჯერ განახლებულა. ქვები, რომლითაც იგი შემოსილია, სხვადასხვა ხარისხისა და სხვადასხვა გვარადაა დამუშავებული. გუმბათის სიმაღლე არ არის დიამეტრის პროპორციული. მას არა აქვს ისეთი სამეცაულები, ერთაშორისი ტაძრის, თანამედროვე გელათისა და მცხეთის ტაძრებზე რომ ვხედავთ. თვით ლავგარდანებს არა აქვს სამეცაულები. პირვანდელ გუმბათს კი იგი უთუოდ ექნებოდა, მაშინ, როდესაც ტაძრის მთელი შენობა და მისი კორპუსი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში არ შეცვლილა და კარგად შენახულა, შემცულია საუცხოოდ შესრულებული ქანდაკებებით. სხვაგვარად, ძნელი გასაგებია: როგორ მოხდა, რომ ლავგარდანები არაფრით არ არის შემცული. საგულისხმოა, რომ ჭართველი ხუროთმოძღვრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ტაძრების გარეგნობას, ტაძრებს შეძლებისამებრ, გარედან ამკობდნენ, შიგნით კი უკიდურეს სისადავეს იცავდნენ. ტაძრის დასაყრდენ სვეტებსა და თაღებზე ძალიან იშვიათად გვხვდება რამიტ სამეცაული. მშენებლები არ ზოგავდნენ ხარებს, ცოლნასა და მონდომებას და ტაძრის მხრიდან მდიდრულად ამკობდნენ გარეპირს.

ერთაშორისი გუმბათს, რომლის დიამეტრიც თბილისის სიო-



ეს ტაძრის გუმბათის დიამეტრზე დიდია, შხოლოდ ოთხვეულებულის აქვს, იმ ღროს, როდესაც ასეთივე ზომის სხვა ტაძრებს 10-დან 12-მდე და 14-მდე ფანჯარა აქვთ; ფანჯრების სიმაღლე — $5\frac{1}{2}$ — 6 არ-შინს აღწევს, სიგანე კი, ჩვეულებრივ, 10—12 სანტიმეტრია. ნაგებობის შიდა კედლები ზოგან ქვით, ზოგან კი აგურით არის მოპირკეთებული. სვეტების თაღები თლილი ქვისაა. გარკვევით ჩანს, რომ ტაძრის მთელი თაღი თლილი ქვებით ყოფილა მოპირკეთებული. მაგრამ ამჟამად აღარა დარჩენილა რა, კორიგინალურია, რომ გუმბათი გარედან ოთხვეულოვანია, შიგნით კი მრგვალი.

ტაძარი შიგნით მთლიანად მოხატული ყოფილა, რის ოდნავი კვალი ალაგ-ალაგ ახლაც ჩანს. ტაძრის სახურავზე, წილკნის და სამთავროს ტაძრების მსგავსად, მოწყობილია გამაგრებული სათოფურები. ისინი შემდგომი ხანისაა. ახლანდელი მშეიღობიანი დროისთვის უსარგებლო და მათი სიმძიმის დაწოლა თაღებსაც აზიანებს. ტაძრის დასავლეთი მხრიდან, ხის კარიბქეზე მიშენებულია კოშკი, რომელიც მთელ კედლს ჰქონავს, ეს კოშკიც უსარგებლო და დასანგრევი. ტაძარი შემოვლებულია ქვიტკირის გალავნით, რომლის სიმაღლე ალაგ-ალაგ $4\frac{1}{2}$ საუენს აღწევს.

თვით წმ. ესტატეს ტაძარი მთლიანად მოხატულია. ალაგ-ალაგ წმინდანთა სახეები ოდნავ თუ გაირჩევა; მოხატულია ეკვდერიც, რომელიც წმ. ნიკოლოზის სახელობის საკურთხეველს ეკვრის.

ფრესკოვანი ხატებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს:

1. ესტატე ჭლაკილის შეხვედრა ირემთან. კლდეზე შემდგარი ირმის რქათა შუა ნათელი ჯვრის გამოცხადება, ჯვარცმული ქრისტეს სხეულის სახით.

2. ესტატეს მიერ რომის ეპისკოპოსისაგან ქრისტეს რჯულის მიღება, ქრისტიანული ტაძრის წინ.

3. თეოფისტეს ცოლის აღათისა და თეოფისტეს შვილების დაკარგვა.

4. უღილესი შეცდუნების შემდეგ სასწაულით მათი მონახვა.

5. იმპერატორ ადრიანეს ბრძანებით ესტატესა და მისი ოჯახის წევრთა მხეცთა საჭიგნელად გადაცემა და სასწაულით მათი გადარჩენა.

6. ახალი სასჯელი — მათი დაწვა სპილენძის გახურებულ ღუმელში, სადაც, როგორც ქალდეულ ღუმელში ჩაგდებულმა ყრმებმა,

მათაც სული ღვთის ხელს ჩააბარეს, მაგრამ ცრუმორწმუნეთა გასაკვირვად, მათი სხეულები მთელი და უვნებელი დარჩა.⁴

სამსხვერპლში შესასვლელის თავზე წავიკითხე ხუცური ასოებით შესრულებული შემდეგი წარწერა: „აღიდე, ღმერთო, მეფეთ მეფე პატრონი მარიამ... შეწევნითა ღვთისათა და მეოხებითა წმიდისა ესტატისათა, ბრძანებითა და პატრონისა იორამისათა... ვახტანგისა... დავახატვინეთ მეორედ...“

წელიწადი არ არის აღნიშნული, მაგრამ როსტომის მეფობის დროის მიხედვით ჩანს, რომ ეს მისი მეფობის 1634 და 1658 წლების შუა მოხდა.

ტაძრის ახლანდელი კანკელი გაკეთებულია მეფე ერეკლე მეორის მეუღლის—დედოფალ დარეჯანის წყალობით, 1772 წელს.

ამ ტაძარში დაცული ხატები ყურადღებას სიძველით იპყრობს. ტაძრის საგანძურებელო შენახული 26-მდე ხატი აღმოვაჩინე. მათი აღრიცხვა სასარგებლოა, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოში ხატებისადმი პატივისცემაზე. ასეთებია:

1. წმ. ესტატეს სატაძრო ხატი ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი. ქვეშიდან უფიცირო. მასზე გამოსახულია წმ. ესტატე, ქვეითად, მარცხენა ხელში ხმლით, მარჯვენაში კი ჯრით; ხატის სიგრძე $\frac{3}{4}$ არშინია, სიგანე — 4 სანტიმეტრი. სახის ზემოთ გამოსახულია მფრინავი ანგელოზი, რომელიც წმინდანს წამებულის გვირგვინით ამკობს. სახე შემქულია აღმოსავლური ქვებით: ფირუზით, ლალითა და იაგუნდით. ზოგი ქვა ამოვარდნილია. ამ ქვებითა და სხვებით, რომლებიც სხვა ხატებზეა, შემკობილი იყო შაჰ-აბასის ხმალი, მის მიერ ამ სასწაულთა გამო შეწირული, სპარსელებმა და თვით შაჰ-აბასმაც რომ იღწმუნეს.

2. წმინდა ესტატეს მთელი ცხოვრების გამომსახველი ხატები. ერთ მათგანზე წმინდანის ფეხებთან წარმოდგენილია ღიმიტრი მეორე და ხუცური ასოებით წარწერილია ქართ. ქრონიკონის (ფლა) 531 წელი, რაც ახალი წელთაღრიცხვის 1311 წელს შეესაბამება.⁶

3. წმ. ღიმიტრის ხატი ქვევიდან წარწერით: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ღიმიტრი“. ეჭვი არ არის, რომ ეს იგივე ღიმიტრია, რომელმაც ხატი გააკეთებინა თავის წმ. ანგელოზის სახელზე.

4. წმ. თედორე ტირონის ხატი წარწერით: „ტომობით ასული

ათაბაგთა, შემამკობელი შეორედ ჯვარისა ამისა, გვერდი წმიდანი;
ამაო ყოველი სატრფოდ მსახისა და სურვილით მამკობს თეოდო-
რის ძითურთ მფარველი შექმნით, ღმერთო, შეიწყალე ათაბაგთა
ასული ქრონიკნსა 470 (უო)⁸.

XIII ციკლის ეს წელიწადი ახალი წელთაღრიცხვის 1112
წელს უდრის.

5. წმ. ათანასეს ხატი.
6. თომა ნაკურთხევისა.
7. მარინესი.
8. პროკოფისი.
9. იოანე ოქროპირისა.
10. ბასილ დიდისა.
11. გრიგოლ ღვთისმეტყველისა.
12. ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა.
13. მთავარმოწამე გიორგისა.
14. მახარობლისა.
15. კირილესი.
16. არტემისა.
17. წმ. წამებ. ეგნატესი.
18. პირე. წმ. სტეფანესი.
19. ჯვარი და მისი ორივე მხარეზე გამოსახული მთავარანგე-
ლოზი: — მიქელ-გაბრიელი.

ყველა ეს ხატები ერთი ზომისა და ერთნაირად ნაკეთებია, ისი-
ნი ერთმანეთთან დაკავშირებული ყოფილა როლებით, რის კვა-
ლიც დარჩენილია. ეჭვი არ არის, რომ ყველა ეს ხატი ტაძრის ძველ
ანტელს ამქობდა. ზოგი მათგანი დამტკრეულია, რაც იმის შედე-
გია, რომ ისინი ადგილიდან ადგილზე გადაპქონდათ, შეიძლება ხა-
ტების სიგანის არაპროპორციული სიგრძეც აადვილებდა გადაზიდ-
ვისას მათ დაზიანებას. ზოგ ხატს ნაწილები აკლია. რა თქმა უნდა,
მათი სრული კოლექციიდან ბევრი დაკრგულია.

ხატების ნამტკრევებში შემხვდა ერთი პატარა ოთხვეთხი ხა-
ტი წმ. ნაწილების 48 ბუდით; ბევრ ამ ბუდეში ნაწილები აღარ
არის, მაგრამ მკრთალად დარჩენილა ძველი ბერძნული წარწერები.
რომლებითაც აღინიშნება წმინდანის ნაწილი. ეს ბუდეები დაფა-
რულია თხელი ვერცხლის ფურცლით, რომელზეც გამოხატულია
მაცხოვარი, ოდესლაც აღმოსავლური ქვებით შექული სახით. მთელ

ამ სანაწილეს სიგრძე სამი სანტიმეტრი აქვს, სიგანე კი — 1. 1/2. ალბათ, იგი მეტრზე სატარებლად იყო გაკეთებული. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბევრი ქართველი მეფე ჩვეულებრივი ჯრის ნაცვლად ამგვარი სალოცავებით იმკობლა მეტრის. ხალხში ასეთი ჩვეულება უწინ არსებობდა, და ნაწილობრივ ახლაც არის.

შესანიშნავია აგრეთვე წმ. ესტატეს ჯვარიც, რომლის ოქროთი დაფერილ ვერცხლის ჩარჩოს შემდეგი წარწერა აქვს: „ცოდვილმა დეკანოზმა პავლემ მოვაჭედინე და შემოგწირე წმინდას ესტატეს ერთაშოინდას. შენდობით მომისხენით ქრისტეს აქით ჩლით (1719 წ.), ქრისტიანისა უზ“, (407 წ.).

წმინდა ნაწილებიდან ამჟამად ტაძარში, ცილინდრული ფორმის კიდობანში, ინახება წმ. ესტატეს მკლავის ნაწილი და ცერი, რომლებიც წმ. ესტატეს ოდესლაც არსებულ მთელ ნაწილებს როგორებაც გადარჩა. სპარსელების მიერ თბილისის აღებამდე, სახელდობრ 1795 წელს, მეფე ერეკლე მეორემ ბატონიშვილის თეკლას ავადმყოფობის გამო, სოხოვა კათალიკოსს, წმ. ნაწილები თბილისში გადაეტანა. სპარსელთა მიერ თბილისის აოხრებისას, სასახლის ეკლესიის ძეირფასეულობათა შორის ეს ნაწილებიც დაიკარგა, შემდეგ ისინი მეფე ერეკლეს დამ ანამ გამოისყიდა და თბილისის გაძარცვის შემდეგ ერთაშოინდის ტაძარში დაბრუნეს. ეს ნაწილები მოწიწებით თაყვანსაცემლად გამუდმებით გამოაქვთ წმინდანის ხატის წინ. მათი ჩარჩო, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, შემკული აღმოსავლური ქვებით, შეწირული იყო შაპ-აბას დიდისა და ნაღირ-შაპის მიერ.

ტაძრის ძეები სამკაულებიდან შენახულია:

1. მდიდრულად შემკული სახარება, მეფე ერეკლე მეორის ნაჩუქარი.

2. ვერცხლის ბარძიმი, დოდოსი, ვარსკვლავი.

შეწირული 16 წლის ასაში ყვავილისაგან გარდაცვლილი მეფე ერეკლე მეორის უფროსი ვაჟიშვილის ვახტანგის მეულლის ბატონიშვილი ქეთევანის მიერ.

3. ვერცხლის საცეცხლური, სასანთლეებმომტვრეული, მასზე გამოსახულია მონავარდუ არწივი—რუსეთის ოქრბი, ერეკლე მეფის მიერ იმპერატორ ეკატერინე მეორესთან 1783 წელს დადებული ტრაქტატის შემდეგ მიღებული. იგი შეწირულია მეფე ერეკლე მეო-

თის ქალიშვილისა და იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ძმის—
არჩილის მეუღლის მიერ. მასზე შემდეგი წარწერაა ლექსად:

„ტად ზენად ოლხედ ევსტატი სრული,
გიძღვნი ელენე მეფის ასული
მისხალი თბ. (77)

ელენეს, როგორც ერეკლე მეფის მეორე ქალიშვილს, გიულ-
დენშტეტიც ისენიებს, საქართველოში¹⁰ 1772 წელს მოგზაურობის
აღწერაში... ელენე მაშინ 18 წლისა იყო.

ტაძრის წიგნებს შორის ხელნაწერად შემდეგი მოიპოვება:

1. სამარხო სამსაგალობელი. გაზეთილ ქალალზე, დაწერილი
ორ სვეტად 1615 წელს.

2. სამთუენი, არასრული, აგვისტოსა, სექტემბრისა და ოქტომბ-
რისა, დაწერილი 1548 წელს მიხეიილ მთ. მონაზონის მიერ. რო-
გორც სხვა ხელით მინაწერი გვარწმუნებს, მიხეიილ მთ. მონაზონი
შემდეგ ნიქონის ეპისკოპოსი იყო.

3. ფერადი სამსაგალობელი წარწერით: დამწერი ფილიპე
შლვლელი, ჩილო. (1775 წ.),

4. მსოფლიო ეკლესიის ზოგიერთი წმინდანის შეტაფრასტები.

ერთაშონდის ტაძარი 1610 წლიდან, ე. ი. დღიდან როდე-
საც თავად თარხან-მოურავების წინაპარმა — მოურავმა გიორგი
სააკადემ განადიდა, თარხნიანთ გვარის წევრთა საკრძალავი გახდა.
საფლავთა შორის აღსანიშნავია:

1. თავად თარხნიშვილების წინაპრის—გიორგი სააკადის შვი-
ლიშვილის ძის ავთანდილის საფლავი, რომელსაც ადევს უბრალი
ქვა წარწერით გარდაცვალების წლის (1715 წ.) და წლოვანების
(82 წ.) აღნიშვნით.

2. დიდი მოურავის გიორგი სააკადის შვილის სპარსეთში შაპ-
აბასის მიერ მოკლული პატას საფლავი.

3. საფლავი ზაზასი, რომელიც როგორც საფლავის ქვის წარწე-
რიდან ჩანს, 1730 წლის 11 ავგვისტოს გარდაცვლილა.

4. საფლავი დიდი მოურავის შეილიშვილის ძის—ლუარსაბისა,
რომელიც მეფე თეიმურაზ მეორეს თავის შვილთან — ბატონიშვილ
ერეკლესთან (შემდეგ—მეფე ერეკლე მეორესთან) ერთად გაუგ-
ზავნია სპარსეთში და თეირანში გარდაცვლილა. შეიდი წლის შემ-

დეგ მისი გვამი საქართველოში ჩამოუტანიათ და 1762 წ. ამ ტაბელით მარში დაუსაფლავებიათ.

5. თავად ზაზას ასულის ბარბარესი, რომელიც დანიშნული ყოფილა თავად გიორგი აბაშიძეზე, გარდაცვლილა 1779 წელს, 16 წლის ასაკში.

6. მეფე გიორგი მეცამეტის ასულის თავად ლუარსაბ თარხნიშვილის მეუღლის ბატონიშვილ სოფიოს საფლავი. იგი 1836 წელს გარდაიცვალა.

7. თავად დავით თარხან-მოურავის, საქართველოს მეფებისა — ერეკლე მეორისა და გიორგი მეცამეტის ათასისთავის საფლავი; გარდაიცვალა 1839 წელს. გარდაცვალებისას პოდპოლკოვნიერი იყო.

აქვე დასაფლავებულნებარიან: კველთის¹¹ მღვდელი თევდორე, რომელიც თურქებმა 1609 წელს აწამეს, აგრეთვე თავად თარხნიშვილების გვარის ბევრი სხვა წევრი.

სასწაულებით სახელგანთქმულ წმ. ესტატეს ტაძარს ძველთავანეე ქართველი ქრისტიანები განსაკუთრებული მოწიწებით სცემდნენ თაყვანს.

ტაძარში დღემდე შენახულ რეინის ჭაჭვებს, რომლებსაც ნებაყოფლობით იყიდებდნენ ისეთი პირნი, რომელნიც ცხოვრების მძიმე პირობებში, ხალხის წინაშე თავმდაბლობისა და ცოდვათა აღსარების ნიშნად, ღმერთს აღუთქვამდნენ ჭაჭვის საჯაროდ ტარებას. ჭაჭვდაკიდებული იგონებდნენ იმ ჭაჭვს, რომლითაც შეკრული იყო წმ. ესტატე, იმპერატორ ტიტუსის სახელოვანი მხედარი, მისი თანამებრძოლი, იერუსალიმის აღებისას, ტრაიანეს მიერ გამორჩეული, რომის დიდებული, ქრისტეს წამების წინ იმპერატორ ადრიანეს¹² ბრძანებით ქრისტეს ეკლესიისათვის დიდწამებული. მისი ოვალური ფორმის რგოლებს ორი დიუმი სისქე და ხუთი დიუმი სიგრძე აქვს. მთელი ჭაჭვის სიგრძე ხუთ არშინამდეა.

ჭაჭვს ბოლოში კისერზე გასაკეთებელი საყელო აქვს, რომელიც საჭირო შემთხვევაში იკეტება.

ეს ჭაჭვი დადიანისად არის ცნობილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მისი ჩამოკიდება ნაკისრი ჰქონდათ. არანაკლებ ორ ფუთს იწონიდა.

ტაძრის შიგნით, ორ შუა სვეტს შორის, დარჩენილია კვარცხლბეჭერი, რომელზეც მრგვალი სვეტი იყო აღმართული. ქველად აქედან



კითხულობდნენ სამოციქულოს, საზეიმო დღეების გამოცხადებას
და ქადაგებას. ამ ადგილის ამგვარად გამართვა საქართველოს სწავლა
ძველ ეკლესიებში იშვიათად შემხვედრია.

კვარცხლბეკილან მოტეხილი სვეტი, 1 საჟ. სიმაღლისა, ტაძრის
ეზოში გდია.

გარედან ტაძრის ჩრდილოეთ მხარეზე, მხედრული ასოებით
ქვაზე ამოჭრილია შემდეგი წარწერა: „წმინდისა ესტატისა დეკანო-
ზი სვიმონ შეიწყალე, უფალო, ქრონიკონს უნგ“, (1765 წ.).

„ამ ქრონიკონსა უნც (1770 წ.) მეტყე ირაკლი და რუსისა ჯა-
რი იწვია, ოსმალო გააქცივა, სამი ათასი თავი მოპსჭრეს ლექისა და
ოსმალოსა“.

ეს წარწერა აღნიშნავს საქართველოში გენერალ ტოტლებენის
ლაშქრობას და ასპინძაში თურქებზე ერეკლე მეორის სახელოვან გა-
მარჯვებას.

ერთაშორის ტაძარს შემოვლებული აქვს ქვის კედლები, კოშ-
კებითა და სათოფურებით, რომლებიც მას მძარცველი ლექებისაგან
იცავდა. ასეთივე სათოფურები გამართულია თვით ტაძრის სახუ-
რავზეც.

ტაძრის სახურავი დაფარულია ირმის რქებით, ქრისტიანთა
ჩვეულებრივი შეწირულობით, რაც განსაკუთრებით შევფერება
ტაძარს წმ. ესტატესას, რომლის ხსენებისას უნებლიერ იგონებთ
ქრისტიანული განათლების სასწაულებრივ ნიშანს, მას ირმის რქებ-
შუა მაცხოვარი ჭვრის სახით რომ მოევლინა.

ძელად ირმის რქებისაგან საეკლესიო ჭალებს, შანდლებს, კი-
ლობნებსა და სტანიცებს—იკვეთებდნენ.

ტაძრის ეზოში, რომლის მოცულობაც 170 კვ. საენამდე იქნე-
ბა, დარჩენილია პატრიარქის სახლის ნანგრევები; ამ სახლში ჩერ-
დებიან დღეობაში, ე. ი. 20 სექტემბერს მოსული კათალიკოს-პატ-
რიარქები. ტაძრის აქეთ-იქით ყოფილ შენობებში ბინაძლობდნენ
ტაძრის მსახურნი და დაბა ერთაშორის ამოწყვეტილი მოსახლეო-
ბის ნაშთები.

ტაძარს ეკუთვნის:

1. წმ. გიორგი კალოუბნელის სახელზე აშენებული ფავნისის
საყდარი. იგი მთლიანად შემცული ყოფილა უძველესი ნახატებით,
იმუამად გაუქმებულია.

2: წმ. ესტატეს სახელობის, ან უფრო სწორად, ირმის რქებშუა

მოვლენილი ჯვრის სახელობის — ზედა ჯვრის ეკლესია; გაღმოცე მით ლეკები, ერთაშოინდის ტაძრის გაძარცვა რომ მოასწრეს, ლამის სათევად ტაძრიდან ერთი კილომეტრით მოშორებულ გორაკზე გა- ჩერდნენ, მხედველობის დასუსტება იგრძნეს და გზა ვეღარ განაგ- რძეს, მათ შეიგნეს წმინდა ტაძრის სასწაულებრივი ძალა და აღუთ- ქვეს, რომ შეუერთდებოდნენ სალოცავის მშევიღობიან თაყვანის- შეუძლებს და არსებული პატარა სიყდრი ააშენეს, მათვის სასწა- ულის მოწიწებით მოსაგონებლად.

მართლმადიდებელი ეკლესის მიერ დაწესებული წმ. ესტატეს დღეობა, პირველყოფილი ჩეველებისამებრ, ერთაშოინდის ტაძრი- ში 20 სექტემბერს საღამოთი იწყება და განთიადამდე გრძელდება. მთელ ღამეს ლოცულობენ, რაც ეკლესის დიდი მსოფლიო მოძღვ- რის წმ. წმებულთა პატივსაცემად ღმისთვევაზე წარმოთქმულ სიტყვებს მოგვაგონებს. „წმინდა ღამისთვეებით ღმე დღედ ვაქცი- ეთო“.

ამ დღეობას სულ პირველად 1847 წელს დავესწარი. ძალიან გამიკვირდა, რომ მლოცველი ნაძვის კვარს ხმარობლნენ — ღამით გასაშუქებლად. მაგრამ ნაძვის კვარი მარტო ღია ცის ქვეშ დღეო- ბებში როდი იხმარება, მთელ ღასავლეთ და ზემო ქართლში ასეთ ჩირალდნებს სანთლების ნაცვლად ხშირად ხმარობს უბრალო ხალხი.

ზეიზვნები

1. სახელწოდება „ერთაშოინდა“ გადასხვაცერებულია, „ესტატი წმინდიდან“ წარმოიშვა.

ამირგად, „ერთაშოინდა“ წმინდა ესტატეს ნიშნავს. გაშენებული სოცელიც ძველთაგანვე ტაძრის სიახლოვესავეა ნახსენები. ოდესლაც მნიშვნელოვანი მოსახ- ლეობიდან აქ ამჟამად 10-მდე უღარიბეს გლეხის ფახიდა მოიპოვება.

2. ახალქალაჭი ქალაქად როსტომშა აღადგინა, იქ ვაჭარი სომხები დაასახლა და ვაჭრობის უფლება უბოძა. მანვე აუშენა მათ დღემდე არსებული ეკლესია. ეს დაბა მდიდარია ვენახებითა და ბაღებით, აქვე ცხოვრობენ დიდი მოურავი ვიორ- გი საკარის შთამომავალნი — თავადნი თახსნიშვილები.

აი, შესანიშნავი წარწერა ტაძრის კედელზე: „მას უამს ოდეს იჭდა ერანთუ- რანს ბედნიერი ყანი ხელმწიფე შავ-სეცი...“

... სახელითა ღვთისათა ჩეკენ საქართველოს ხელმწიფის შვილმან მეფეთ-მე- ფემან პატრიონან როსტომ და თანამეცხედრებან ჩეკენმან დედოფალთ-დედოფალ- მან მარიამ ხელვავით აშენებად თეძამის პირსა ზედა ქალაქი და უწოდეთ შეფის ქალაქი და აღვაშენეთ საცდარნი და მონასტერი ... ქალაქისა ამის მკიდრობისა-

6. 3. იოსელიანი



თვის მეფის ქალაქელთა — სომეხთა ჩუენთა სახასოთა, ვაჭართა, ქორონიკონის ტურესა აპრილსა კდ.“ მეორე წარწერა სომხური კულესის კედლეზე ახერია „გვაგონა და მოვაჭენა ქალაქისა და საყდრისა ამის აღშენება კარისა, ჩვენისა მდივანმა ყორლანაშვილმან მერაბ და ისი ვალვაწერ აღმშენებლად საყდრისა ამისა. ვინც სწირავდეთ, მოიხსენებდნენ მერაბს ყოველნავე“.

ამ საყდარშე თვითონ მკვიდრთა მიგრ მიშენებულია სამრეკლო, რომლის წარწერაც ქორონიკონის 374 (1686) წელს მიუთითებს.

3. იბ. ზევით, გვ. 17 და 18.

4. ოცი სექტემბრის სადღისასწაულო.

5. ქართული კულესის ისტორია, გვ. 107, მეორე გამოცემა.

6. ქართული ქორონიკონით 531 წელი 1311 ფდრის. ეს საქართველოში დამიტრი თავდადებულად წოდებული დიმიტრი მეორის დროა... ეს ხატი 1279 წელს არის მოქედილი მეცე დიმიტრი მეორის ბრძანებით. მონიკვენებითი ანაქრონიზმი აისხენება იმით, რომ ძველად სრულ ციკლ შეცდომით ამცირებდნენ 32 წლით. და თუ ჩვენც გამოვაყენთ 32 წელს მივიღებთ ზუსტად 1279 წელს, ხატის შემქნის თარიღს. მისი შემქმნელია დიმიტრი III, რომელიც მეფობდა 1272—1289 წლებში.

7. თურქული სიტყვა ათაბაგი ნიშანავს მფლობელ ბატონს. მთავრის წოდებით ათაბაგი გამოჩნდნენ სპარსეთში სელჩუკების დინასტიის უკანასკნელი მეფეების ბატონობის ბროს. მტერთა სისუსტის გამო—ათაბაგებმა, როგორც ილქების შართველებმა, მოიპოვეს დამოუკიდებელი მთავრობის ძალაუფლება, რასაც თავიანთ შართმავლობასაც ანიჭებდნენ. ერთიმეორესთან ბრძოლით დასუსტებული მალიქ-შაჰის (1072—1115 წ.) შვილების დროს ათაბაგნ გაჩნდნენ აზერბაიჯანში, ფარსისტანსა და ლაზისტანში, სადაც სპარსულ მეფეთათვის მავნე მათი ბატონობა დამხმობილი იქნა სპარსეთის დამპურობი ჩინგას-ყავნისა და მისი შვილის უგედეულის მიერ, დაახლოებით 1225 წელს. ათაბაგები სპარსელი ათაბაგების მსგავსად, საქართველოს სამეფოს შიგნითაც (სამცხეში) გაჩნდნენ თამარ მეფის დროს. XV საუკუნეში გაითავისუფლეს თავი ქართველ მეფეთა გავლენისაგან და იქ XVIII საუკუნის ნახევრამდე ბატონობდნენ.

8. ამით ახალ ისტორიულ ამბავს ვიგებთ: სამცხეში ათაბაგობა თამარის მეფობამდე, ე. ი. საქართველოს ისტორიაში მითითებულ და ცნობილ ეპოქაზე ადრე არსებობდა. (მაგალითად, ათაბაგი სარგის პირველი 1285 წელს გარდაიცვალა) ეს ხატი მეტად ძველია, 1686 წელს სამცხეში ქრისტიანობა უკვე ალარ იყო და ფაზის წოდების მქონე ათაბაგი მუსლიმნებისანი იყვნენ.

9. იბ. ზევით, გვ. 19.

10. Reisen duzeh Russland und im Caucasischen Gebürge pag. 267 und 337 (გამოც. 1847).

11. იბ. ზევით გვ. 20. დაბა კველთაში მისი ხსოვნის აღსანიშნავად მეცე ლუარსაბ მეორემ ააშენა თვედორეს სახელობის კულესია, რომელიც დღემდე არსებობს.

12. რომაულ მატერიოლოგიაში იგი ისხენიება მეათე ლეგიონის სარდლად ისრაელთა წინააღმდეგ იპერატორ ადრიანეს ლაშქრობაში.



ՀՎԱՏԱՑԵՎՈՆ ԹՈՆԱԾՐԵՐՈ

ქვეთახევის მონასტრი

ეს არის ფრიდ ბარბაროსული ფილოსოფია და ფრიდ სასტიკი პოლიტიკა, ვიდრე ის პოლიტიკა და ფილოსოფია, რომელსაც სურთ აიძულონ ბედერული ადამიანი, ამ ქვეყნად იცხოვონს.

ადამიანები საკმაოდ დელიკუტურნი აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ გაერთიანებინათ მათი ავხორცულობისწირავებანი, მაგრამ ბედუულმართობა უფრო სათხო ეგოზმით გამოიჩინა: იგი უკველთვის იმასება, რათა თავი მისცეს ნეტარებას, იმ სურვილის აღსრულებას, რომელსაც ცრემლება ეწოდება. და თუ არსებობს ადგილი ხორციელი ნეტარებისათვის, მიცით ნება რელიგიას, რომ მას აგრეთვე ადგილი ჰქონდეს სულის გაზაფხულებისათვის, იმ სულისა, რომელიც სნეულებისადმი გაცილებით უფრო დიდი შიდრეებით გამოიჩინა, უფრო დიდხანს გრძელდება და მისი განკურნება გაცილებით ძნელი საქმეა.

შატობრიანი:

ქვეთახევის მონასტრის აღწერა

I

მონასტრისადან მიმავალი გზა

სოფ. ქვათახევი¹, მდინარე კავთურით ლამაზად არის გაყოფილი, კავთურას სათავე დიდგორის მთებშია, რომელთაც აგრეთვე ქსილძეს მთები ეწოდება. ვენახებით, ხილის ბალებით მდიდარი სოფლის ნაწილი ჭერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში გადაეცა საკუთრებად ქალთა მონასტერს, რომელიც სოფლიდან რვა კილომეტრით არის დაშორებული. ლამაზი და სასიამოვნო მდებარეობის ჯანსაღი ჰავისა და საუკეთესო წყაროების გამო ამ აღგილებს მეფეები ხშირად ირჩევდნენ თავიანთი სასახლეების ასაშენებლად. სოფელ კავთისსხვიდან დასავლეთით ერთი კილომეტრის მანძილზე, მგზავრს შეხვდება როსტომ მეფის მიერ აღდგენილი და 1636 წელს გალავნით შემოვლებული უწინდელ მეფეთა სასახლე. ეს სასახლე ორსართულიანია. მასში ნიკოლოზის სახელობის ეკლესია; სასახლის წინ შაბრევანის ნაშთია; რამდენიმე საუენის დაშორებით პატარა ტბაა, რომელშიც საუკეთესო წურბლებს იჭერენ, რაც



დღემდე კავთისხეველთა ერთ-ერთი ხელობაა. აქვე პატარაა მილიურაა
რე გუდარეხი ჩამოდის, რომელზეც მეფეებს წისქვილი ჰქონდათ
გამართული. ამ მდინარეს მეორე, კალმახით მდიდარი მდინარე ეზა-
ტი ერთვის და გარს ტყით ლამაზად დაფარული მთები აქვს შემორ-
ტყმული. მთელ ამ ადგილს, მისი სასიამოვნო მდებარეობის გამო,
ტელთაგანვე თვალადი ეწოდება, რაც თვალისთვის სასიამოვნოს,
მიმზიდველს ნიშნავს. ვახუშტი შემდეგს მოგვითხრობს: „გუდარე-
ხის ხევზედ თვალის სასახლე მეფეთა, ნაშენობა დიდი“.

მდინარე კავთურას ხეობით ქვამხხევის მონასტერში მისასვ-
ლელი გზის ნახევარ მანძილზე, შესანიშნავ ადგილას, თვალს იკუ-
რობს მდიდრადნაშენი საყდარი აზნაურ მაღალაძეებისა² და მათი
სახლი, ორივე დიდი ხნის წინათ დაცარიელებული. საყდარი თუმცა
მთელია, მაგრამ გუმბათი არა აქვს; შიგნით შემკულია ფერადი წარ-
წერებით. ალაგ-ალაგ გაცვეთილია; კანკელი მთლიანად მოხატული
ყოფილა და წმინდანთა სახეები ჯერ ისევ შესამჩნევია. ტრაპეზი
მთელია. იგი მტრების მიერ გაძარცული, მარტო დგას მოხატული სა-
კურთხეველის შუა. ეკლესიას სიგრძე 6 1/2 საეკნი აქვს, სიგანე 3
საეკნი და სიმალლე 5 1/2; ფიცარნაგზე დევს ქვის ჯერისმაგვარად
ამოკვეთილი ემბაზი. თაღები სავსეა ფრინველთა ბუდეებით, ხო-
ლო თვით ტაძარი, მის მახლობლად მცხოვრებთა სამარცხვინოდ
თავლად არის გადაქცეული. ეკლესის დასავლეთი მხარის მთელ
სიგრძეზე მიშენებულია კარიბჭე; ტახტიანი ეკვდერით, რომელიც
კედლებზეა მიდგმული. სამხრეთ კედლებზე დახატულია მთავარმო-
წამე გიორგის დიდი პორტრეტი. ეკლესია გარედან მოპირეობუ-
ლია თლილი ქვით. კარ-ფანჯრების თავქვეები შემკულია ფრიზული
ქანდაკებებით. საუცხოოა ჯვარი, ეკლესის აღმოსავლეთ მხარე-
ზე — ფრიზიანი პორტიკი, რომელზეც დახატულია ღვთისმშობელი
ჩილი მაცხოვრით. გარდა შესანიშნავი პორტიკისა, რომელიც ჯერ
კიდევ შენახულია, დანარჩენი ყველაფერი განახლებულია. კედლე-
ბიდან ჩამოვარდნილი ქვები დაუხელოვნებელი ხელით, სიმეტრიის
დარღვევით, ხელახლა ჩაწყობილი. იმდენად უშნოდ, რომ პირვე-
ლი შეხედულებისთანვე ემჩნევა უსწორმასწორობა. ერთ-ერთ
ქვაზე მხედრული ასოებით წარწერილია: „დამბადებელო, შეიწყა-
ლე ნიკოლოზ მაღალაძის დედა ელენე და მამა პაპუა. ქორონიკონს
ტნიზ. მოიხსენე, უფალო, ნიკოლოზ მაღალაძე“.

ამ წარწერის ქრონიკის წელი შეესაბამება 1679 წელს, ხო-
ს 86

ლო ნიკოლოზ მაღალაძის სახელი მიგვითითებს ქართველთა კათაშვილის
ლიკოს ნიკოლოზზე, რომელიც მაღალაძეთა გვარიდან იყო.

ტაძრიდან დასავლეთით ათი საეკის მანძილზე დგას ჭერ ისევ
დაუზიანებელი კვადრატული კოშკი, სიგრძე-სიგნით ოთხი არში-
ნისა; იგი ორ სართულად იყოფა. მეორე სართული ჩემთვის მიუწვ-
ლომელი აღმოჩნდა, მისი სიმაღლისა და ასასვლელის უქონლობის
გამო; ქვედა სართული ეკლესია. ამ პატარა ეკლესიაში ჭერ კიდევ
მოიპოვება კედელზე მიბჯენალი ტახტი, შეკრილი პატარა თაროში;
რომელშიც დახატულია ჯვარი ბერძნული წარწერით: „იესო ქრის-
ტე, ძლევა“.³ მის თაღსადა კედელზე დახატულია სარწმუნოებრივი
დღეობები; წმინდანთა სახეები დაჩხვლეტილია ქრისტიანული სა-
ქართველოს მუდმივი, შეურიგებელი მტრების—ლეკების ხანგლე-
ბით. თაღზე ვხედავთ ყოვლისმშეყრობელ უფლის ხატს; ტახტის
ცეტ-იქით გამოხატული არიან დიდი წმინდანები: იოანე ოქროპი-
რი, ბასილ დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, ნიკოლოზი, მთავარმო-
წამე ეკატერინე და წმ. ნინო, დასავლეთით მცირე კარის თავზე, და-
სატულია ტაძრის შემქმნელ და მთელი აღგილის მფლობელ მაღა-
ლაძეთა სურათები. თითოეული მათი სურათის თავზე ამოიკითხება
შემდეგი სახელები: ადამი, ზურაბი, მამუკა, პაატა, რევაზი, ნიკო-
ლოზი, სახლოუცესი პაპუა (მას აჩქიმანდრიტის სამოსელი მო-
სახს, გრძელი ჭოხი უჭირავს, რომელზეც მისი სამეფოს კარის წო-
დების ემბლემა ამოკვეთილი), გიორგი, სოლომონ, ელენე, ხვარა-
შანდა, ამ პირთაგან შეიტი დახატულია კარმარჯვნივ (მთელი სიმაღ-
ლით), ოთხი კი — კარმარცხნივ: ზევით ღვთისმშობელია, რომე-
ლიც ლოცავს მათ თავისი სამოსელით.

ეს სურათები შესანიშნავია ერთნოგრაფიული თვალსაზრისითაც—
მათზე ჩანს ქმისებური ჩექმები, სპარსული სამოსელი ჭრელი
ქსოვილისა, რომლის ზევიდანაც ჯიბებიანი ხიფთანი მუხლამდე
სწვდებათ. მოკლე ქუდი (ქვევიდან ცხერის ტყავით), სპარსული ქა-
მარი, განიერი ჭრელი ქსოვილისა. ქალებს გრძელი სამოსელი აც-
ვიათ. ტაძრის ეზოს აღმოსავლეთ მხარეზე მაღალაძეთა მსახურის
დათუნას საფლავზე საფლავის ქვა დევს. მასზე ამოკვეთილია თვი-
თონ მსახურის სურათი. მსახურს მარჯვენა ხელში კულა უკავია,
თავისებური, ძველთათვის ჩვეული სასმისი, მარცხენა ხელში —
აზარფეშა, თავადის კარზე მისი თანამდებობის მაჩვენებელი. ქო-
რონიქონა გვამცნობს, რომ 1675 წელს გარდაცვლილა.

ეკლესიის მოძღვრის ორსართულიანი სახლის ნახევარი ჭურ-კუმა
და დაუზიანებელია. ქვეღა სართულში დარჩენილი ქვევრები მოწ-
დეს, რომ აქ ჩვეულებრივი ქართული მარანი ყოფილა. დანარჩენი
შენობები მიწასთან არის გასწორებული. შემონახულია ეკლესიის
გარსშემოვლებული გალავანი (სიგრძე — 200, საექვნამდე). გალავ-
ნის შესასვლელთან აშენებულია სამრეკლო, რომლის ქვაზეც მხედ-
რული ასოებით შემდეგი წარწერაა: „სასომ შესავედრებელო და
შემწყნარებელო წმინდაო ღვთის შობელო, ცათა უვრცელესო დე-
დაო ნათლისაო, რომელმან ლირსმყავ შეგონებად მსახურებისა
ტაძრისა შენისა... ეპა, შენ, საშინელო და შესაძრწუნებელო ტაძა-
რო ღვთისა დიდებისაო, მე ფრიად ცოდვათა ჩემთა მიერ საარებუ-
ლი, მხოლოდ შეწევნისა მოქენე მაღალაძე, მდივან-მწიგნობარი მგა-
ლობელი სოლომონ გიმკობ და აღვაშენებ სამრეკლოსა ამას, ქრო-
ნიკონს უდ“ (1716 წ.).

ამ ეკლესიიდან ორასი საეკვნის დაშორებით, გორაკშე, დგას
მაღალაძეთა ციხე (კოშკითა და ნაგებობით). ყველა დანგრეულია.
ეზოშიც, კოშკშიც და სახლშიც ხე და ბალახი ამოსულა, დარჩენი-
ლია მხოლოდ კალის ხეები და სხვა ხეხილი, რაც იმას მოწმობს, აქ
ოდესლაც მოსახლეობა ყოფილა.

მდ. კავთურა ღრმა კალაპორში ხმაურით მოედინება, ადიდები-
სას მთებიდან ჩამოტანილ ვეებერთელა ქვებზე გადარბის. ხეობის
სრული მყუდროებისას კაცს ბრძოლებში გადარჩენილი სამეფოს
მწარე დღეების ფიქრები იტაცებს.

ხალხი ამ ეკლესისას ბეთლემს უწოდებს.

მდ. კავთურას ხმაურიანი ხეობით მივალწიე ქვათახევის მონას-
ტრის საზღვარს. მონასტრამდე კილომეტრ-ნახევარ მანძილზე კავ-
თურა მარჯვნივ რჩება. გადავდივართ მის მარჯვენა ნაპირზე და შევ-
დივართ მაღალი და ხშირი ტყით დაფარულ ჭალაში. ხეობის ბო-
ლოში, მაღალი, ტყიანი მთების შუა, რომლებიც ვაკე მოედანს
ოთხი კვ. კილომეტრის ფართობზე ერტყმიან გარს, თვალწინ აღიმარ-
თება ქვათახევის შესანიშნავი ტაძარი. ქვათახევი იმის გამო ეწო-
დება, რომ ქვათა ხეობაში მდებარეობს, მართლაც, არსად საქარ-
თველოში ჭერ არ შემხვედრია ისეთი მდინარე, ასეთი დიდი. მრგვა-
ლი ქვების კალაპორში რომ მოედინებოდეს.

ქვების სიმრავლის წყალობით, მდინარე, მთელ სიგრძეზე, მდ. მტკვართან შეერთებამდე, წმინდაა, კამქამა, მთელ ქართლშია განთქმული სიჯანსალით. შიგ კალმახსაც ბლომად იჭერენ.

ქვათახების მონასტერი მეფე დავით ალმაშენებლის მიერ 1126-წელს არის აგებული. იგი მაშინვე გადაეცა მონაზონ ქალებს. ეს ადგილი ყოველმხრივ დაფარულია მაღალი მთებით, მტრებისათვის მხოლოდ ჩრდილოეთიდან არის მისაწვდომი მაღალ მთებს შუა არსებული ხეობით.

მონასტრის მშენებას წარმოადგენს ტაძარი, რომელიც მეფე დავითის დროისაა, მისი სიგრძეცხრა საეკნია, სიგანე—ხუთი არშინი და სიმაღლე გუმბათისა კვრამდე 15 არშინი — დაყრდნობილია ოთხ რვაკუთხედ სვეტზე, შიგნით მოხატულია, გარედან კი — ქანდაკებით შემკული.

ტაძრის კედლები შემოსილია სოფელ კავთისხევიდან მოზიდული ყვითელი ქვით. ამ სოფელში დღემდე არის კეალი იმისა, რომ ეს ქვები იქ არის მოტეხილი. აქედან ჩანს, რა შრომა და ხარჯია გაწეული ამ დიდებული ტაძრის აშენებაზე. ქვას შორიდან მთიან ციცაბო, ხრამებიანი ხეობით ზიდავდნენ. მხოლოდ დავითს, ღვთისმოსავ ძლიერ დავით მეფეს შეეძლო ეს ქვები იქ მიეზიდა და ღვთისმშობლის პატივსაცემად მათგან დიდებული ტაძარი აღემართა ცაში. დიდრონი ჯვრებით მარტო ტაძრის კარ-ფანჯრები როდია შემკული, მთელი გუმბათი, ფაქიზად და წარმტაცად ნაჩუქურთმევი ფანჯრებით, ქანდაკებათა ისეთ მთლიან სურათს ჰქმნის, რომ თვალს არსად ხედება მოსაწყენი, ერთფეროვანი ფიგურები.

ფიგურების მრავალფეროვნებისას დაცულია მთლიანობა, თვალი ისევენებს მხატვრის იდეის ერთიანობით, მაყურებელს იპყრობს გაოცება, ცნობისმოყვარეობა, ებადება შესწავლის სურვილი. გუმბათის გარშემო ქვისავე ფანჯრები შემკულია უფაქიზესად გამოკვეთილი ფიგურებით. მათი მრგვალი სარკმელებით შუქი შიგნით შედის და მთელ ტაძარს ანათებს.

1821 წელს, ტაძრის გაუქმების შედეგ, გუმბათიდან ჩამოკვრდა ქვები, რომლებითაც თაღი და გვარი იყო შემოსილი.

გარედან ტაძარს წარწერები არა აქვს. დასავლეთიდან შემდეგ-



ში მიშენებული კარიბჭის კიბის თავზე კი წავიკითხე: „შეწყვენოთ ამის მონასტერისათა ჩევნ წინამდგარმან ჩხეიძემ ნიკოლოზ პლგა-შენ კარიბჭე ესე მეფობასა ვახტანგისა და დედოფლობასა დადიანის ასულის მარიამისაა“.

აქ მოხსენიებული ვახტანგი არის მეფე შავანავაზი, როსტომ მეფის შემცვლელი; რაც შეეხება დედოფალ მარიამს, ის მეფე როსტომის მეუღლეა, რომელიც ვახტანგ შავანავაზმა შეირთო 1660 წელს, სპარსეთის სამეფო კარის მოთხოვნით⁴.

კარიბჭის წინ — საუენის ფართობზე, გამართული იყო შადრევანი. ამ შადრევნის აუზში ამოსულია ეკლიანი ძირკვა, იქ წყარო აღაან ჩუხხუხებს, მაგრამ წყალი ტაძარს გვერდით ჩაუდის და მდ. კავთურის წმინდა ნაკადებს უერთდება.

მონასტრის ორსართულიან დარბაზებს და სენაკებს სახურავი მოხდილი აქვს, მათს გაშიშვლებულ კედლებს ნგრევა მოელით.

ტაძრის შიგნით, კანკელზე, დღემდე შემონახულა ფიცრებზე დახატული ხატები: ღვთისმშობლის მიძინებისა; იოანე ნათლის-მცემლისა და წმ. ნინოსი; ცალკე თორმეტი მოციქულისა და სხვები. ყველა ოქროთია შეფერილი; მათზე ჭერ კიდევ კარგად არის შენახული წარწერები, ქართული ხუცური ასოებით. აქვე მოვაჩინე 20-მდე სხვა ხატი. ისეთ ძველ ფიცრებზეა დახატული, რომ ფერი გადასულია. შენახულია აგრეთვე ვერცხლის პატარა ჩარჩოები, რომელგან ჩასმული სახეებიც გაურკვეველია. კედლებზე და გუმბათის თაღზე გამჭრიახი თვალით გასარკვევი ნახატი გვიჩვენებს, რომ ყველაფერი აქროთი შეფერილი, მშვენიერი, უცნაური აღმოსავლური ფიგურებით იყო მოხატული.

დასავლეთი კედლის კარის თავზე მთელი ტანით გამოხატულია საჯანის დამაარსებელი მეფე დავით მესამე. გაშიშვლებულს ხმალი მაღლა აღუმართავს და თავისი სადიდებელი ქრისტეს მტრებს ემუქრება. მეფის სახე მკრთალია, მაგრამ ისტორიის და ეთ-ონგრაფიისათვის მისი ასლის გადაღება შესაძლოც არის და საჭი-როც.

საუცხოოა ბიზანტიური კაპიტელები. ტაძრის შიგნითა კედლებზე ძველი ფერწერის კვალი ემჩნევა. შემორჩენილია თითქმის სრულად გაცვეთილი და გაურკვეველ წარწერათა ნაშთები. უკეთ არის შეჩჩენილი ოქროთი შეფერადებული ფერწერა ბიზანტიური

ჩუქურთშებით შემკულ თაღებზე. მათ მწვანე და ლურჯი ფერები გამოიყენებოდა აქვთ შემოვლებული.

კანკულში, ღვთისმშობლის სატაძრო ხატის წინ, სამეფო კარის მარცხნივ, არის დედოფალ ხორეშანის საფლავი, რომელსაც ადევს საუკეთესო მარმარილოს ფილა, 2 1/2 არშინი სიგრძისა. მასზე ძველი, ხუცური წარწერილი სიტყვები ძნელად გასარჩევია, რადგან მარმარილო ალაგ-ალაგ დამსკდარია. გარდაცვალების დრო სრულად ალარ არის აღნიშნული და წარწერა ასე იკითხება: „უკეთუ ენებოს ვისმე ცნობად ტაგრუცთა... ასული... რომელთა...და იხილოთ შენდობით მოიხსენებდეთ რამეთუ მეცა დიდებულ ვიყავ და ან მიწა ვიქენ... ესრეთ ცოდვანი...“ ესე კაცთაოვის ჩქე (1695 წ.) ქორონიკონს...“

ვისია ეს მთელ ტაძარში ერთადერთი მდიდრული საფლავი? ეპვი არ არის, რომ ეს წარწერა დედოფალ ხორეშანზე, მეფე გორგი მეთერთმეტის მეუღლეზე, იმერეთის თავადის გიორგი მიქელაძის ასულზე მიგვითითებს, რომელმაც ხელმეორედ შეამქი ჩარჩოთი სატაძრო ხატი; მათი დაქორწინება 1687 წელს კორონი მოხდა, და როგორც ვახუშტი წერს, რასაც წარწერაც შეესაბამება, იგი 1695 წელს ზამთარში გარდაცვლილა.

სხვა საფლავები ტაძარში არა ჩანს; მაგრამ ცნობილია, რომ საჭართველოში დაახლოებით 1400 წელს თემურლენგის საშინელი შემოსევის დროს მისი რაზმის მიერ დახოცილი მონაზვნებიც აქვე არიან დამარცხულნი. საჭართველოს ისტორიიდან ჩანს, რომ მკაცრმა თემურმა სავანის ყველა მონაზონი შეკრიბა, ეჟვნები ჩამოკიდა, ტაძარში გამოკეტა და ამოწვა. ვახუშტი გადმოგვცემს მონაზვნების ტირილით წარმოთქმულ სიტყვებს:

„ვაი ჩვენსა დედაბრინბასა, ეს რა გვეყლარუნებიანო“. გადმოცემა, ვახუშტის საწინააღმდეგოდ, გვეუბნება, რომ ეს სიტყვები ხალხური ანდაზისამებრ, მონაზონთა მიერ ჩადენილი ნამდვილი შემთხვევის გამო წარმოიშვა, მაგრამ თვით სამსხვერპლოდ განწირული წმ. ქალწულთა მიერ არ ყოფილა წარმოთქმული. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: სავანის საბოლოოდ გაუქმების დრომდე, 1821 წლამდე, კერავინ ბედავდა ტაძარში ფეხშემოსილი შესულიყო. მრავალთა სისხლით ნაკურთხი ტაძრის პატივისცემის გამო, იქ ყველ ფეხშიშველი შედიოდა, ანდა საგანგებო ქოშებს იცვამდა,

რომლებიც ტაძრის კარიბჭეში ინახებოდა. ტაძრის ფიცარნაგზე/
დღემდე ემჩნევა სარწმუნოების წამებულთა ტანჯვის კვალიფიკაცია
ტაძარში ფეხშიშველა შესვლის წმინდა ჩვეულებას დამატებით
ჩილნენ სპარსეთისა და ოურქეთის მფლობელები, როცა ისინი სა-
ქართველოში ბატონობდნენ. მოეიყვან საყოველთაოდ პატივისცე-
მით მოსილ მოსუცთა ზეპირ გადმოცემას:

თურქების ფაშის, რომელსაც რეზიდენცია ქ. გორში ჰქონდა,
კავთისხევის მთებში ნადირობის დროს ქვათახევის მონასტერში
თემურლენგის მიერ ჩადენილი მშავი მოახსენეს. ფაშის სავანის ნახ-
ვა გადაწყვიტა. ფაშის მცველმა მრავალრიცხოვანმა ამალამ, სავა-
ნის კედლებთან მიახლოებისას, ფაშის აცნობა, გალავნის ალაყაფი
წინამდგრად უნდაართვოდ არ გაიღება, ის კი იქ არ არისო. ქართ-
ველმა თავადებმა ბერები ლამშვიდეს, ნუ გეშინიათო, გალავნის
ალაყაფის კარი გააღს, ფაშის პურ-მარილი მიართვეს, და სთხოვეს
წყალობით მოძყრობა. მე თქვენი ვარ, თქვენ კი ჩემნიო, უპასუხა
ფაშამ, რატომ უნდა მეუცხოოს, მიჩვენეთ თქვენი ტაძარი, საქართ-
ველოში პატივცემულიო. სავანის ერთ-ერთმა ბერმა, თურქეთში
ნამყოფია და თურქული ენის მცოდნემ, ფაშის მოახსენა: „ჩვენ,
დიდი სულთანის ხელქვეითებს, არ გვაქვს ჩამორთმეული ჩვენი კა-
ნონი; ერთ ააშეს გთხოვთ: ღვთის სახელის გულისითვის, რომელსაც
ეს ტაძარი ეძღვნება, დაიცვათ ჩვენი ძელთაძელი წესი, — თურ-
ქების კანონისამებრ, ეკლესიაში ფეხშიშველი შედითო“. მე მზად
ვარო, უპასუხა ფაშამ, მაშინვე გააღო კარი და შევიდა ორი კაცის
თანხლებით. ფაშამ დაათვალიერა ტაძარი, დაასაჩუქრა ბერები და
კმაყოფილი გამოვიდა.

სპარსელთა ხანმა, ნადირ-შაპის ჭარის აზმი რომ ახლდა და
ქართლის სოფლებში ხარქს ჰკრეფდა, მოისურვა შაპის უბრძანებ-
ლად სავანებში მისულიყო და ქვათახევის ტაძარში შევიდა. წინა-
მძღვარი პავლე ამის გაგებისთანავე, თვითონ მიეგება მას და ტაძ-
რის საჩუქრებით შეეცადა დაეკმაყოფილებინა ხანის ანგარება, მაგ-
რამ ხანი გაჭიუტდა. მან აქაური ადათი იცოდა და ტაძარში შესვ-
ლისას ფეხსაცმელი გაიხადა, საკურთხეველში ფეხშიშველი შევი-
და. ტაძრის ძვირფასეულობა დამალული იყო. ამის გამო ხანი წი-
ნამძღვარს დაემუქრა: თქვენ დიდი შაპის მიმართ უნდობლობას
იჩინთ, ის კი თურქეთის ბატონობისაგან გათავისუფლებოთ. ამით
შიაღწია კიდეც მიზანს: მიართვეს ოქროს თასი და სავანეში შენა-



ხული ძვირებასი თოფიც. შემდეგში ხანი კახეთში ლეკებთან ომში მოქლეს და ის საჩუქრები კვლავ დაუბრუნა სავანეს მეფე თეიმულაშვილის რაზ მეორემ.

მონასტრის გალავანს გარეთ დარჩენილია ბერების უპატრონი. ბაღები: იქ სამოცამდე მარტო კაკლის ხე დავთვალე, დიდებულად რომ აღმართულან ზეცისაკენ და ფართო ტოტებით მიღამოს რომ ჩრდილავენ.

ვათ შუა მრავალ ნაკადად გემრიელი და ჯანსაღი წყაროს წყალი მოედინება. ამ ადგილის ღირსებები: ვახუშტის შემდეგი სიტუაციით აქვს აღწერილი: „და არს ადგილი შემკული, ზაფხულ გრილი, წყაროიანი, ზამთარ თბილი, გარემოს მთა ტყიანი, შენობა მრავალნი!“

დასავლეთით სავანისაგან 3 კილომეტრის დაშორებით, დიდგორის ქედის უმაღლეს წერტილზე აგებულია მტრისთვის მიუდგომელი ციხე კავთა და მასში წმ. გომრგის ეკლესია. ისიც სავანის აშენებისას აშენდა და უცხოელთაგან სამეფოს არეულობის დღეებში ტაძრის ძეირფასეულობათა დასამალავად იყო განკუთვნილი.

ამ საყდრის ხატი, სიმაღლით ხუთ და სიგანით ოთხვერმოკიანი, აქედან კავთისხევის სამრევლო ეკლესიაშია გადატანილი. წარსული საუკუნის ნახევარში, ე. ი. იმ უნივერსო დროს, როდესაც კავთისხევის მთელი ხეობა ლეკების ბუნავი განდა, რომლებმაც 1740 წლამდე ქართველები აიძულეს ქვათახევის ტაძარიც დაეკეტათ და კავთისცინის საყდარიც. ოქროთი შეფერილ ხატის ჩარჩოს შემდეგი წარწერა აქვს: „წმინდაო გომრგი კავთისავ, შეიწყალე ნიკოლოზ მაღალაძე, ამინ, ქრონიკონსტ“. (1616 წ.).

თემურლენგის შემოსევამდე სავანეს დედაბერნი განაგებდნენ. ისტორიას არ გადომოუკია მათი წინამდლევრის არც ერთი სახელი. თემურლენგის შემდეგ იგი კვლავ დასახლდა, მაგრამ ბერებით და მას აჩქიმანდრიტები განაგებდნენ. ზოგი მოძღვრის სახელი მოყვანილია წიგნებასა და სიგელებში:

1. გერმანე, ერობაში გომრგი, ახალციხის ათაბაგის ყვარყვარეს მეუღლის ნესტან დარეჭანის მამა, რომელიც როგორც სავანის აქტებიდან ჩანს, დაახლოებით 1460 წელს ცხოვრობდა. გაურკვეველია, რა გვარიდან იყო გერმანე, რომლის ასულიც, როგორც აქტშია აღნიშნული, ღირსი ყოფილა ისტორიაში უპირველეს მთავრად ცნობილი სამცხის ათაბაგის მეუღლეობისა.

2. სილიბისტრო, აზნაური მაღალაძე; შცხ. 1517 წ.
3. დავითი — 1568 წ.
4. თომა ბერძენი — 1596 წ.
5. ტრიფილე, იმერეთის თავადი, შაპ-აბასის მიერ დააწლოებით 1617 წელს მოკლული.
6. დავითი, სააკაძეთა სახლის წარმომადგენელი, სააკაძეებს შემდეგში თავადი თარხნიშვილები ეწოდათ.
7. იოსები, ნასიძეების გვარიდან გამოსული, რომლის დროსაც ვოხდა ლუარსაბ მეფის ქორწინება გიორგი ჭავაძის დასთან.
8. მიტროპოლიტი იოსებ თბილელი საგმირო პოემაში — „დიდ-მოურავიანში“ მასზე წერს:

„შეფე ქვათახევს მობრძანდა, ნოსტიდან ახლო არია,
 ჩემი დაც თან წაიყვანა, დღე ჰქონდათ გასახარია,
 წინ მიეგება მაზარით ნასიძე წინამძღვარია,
 მან თქვა: მეფეთა ქორწილი, ქვათახევს გასაკმარია.⁷

9. ალაპიტი, თავად ჩხეიძეების გვარიდან გამოსული, რომელმაც 1680 წელს ტაძრის კარიბჭე ააშენა.
10. დიმიტრი, დაახლ. 1695 წელ., მეფე გიორგი მეთერთმეტის მცულლის ხორეშან დედოფლის დროს მცხოვრები.
11. ნიკოლოზი, თავად ავალიშვილების გვარიდან გამოსული. ამ გვარით არის აღნიშნული საეპისთვის 1716 წლის 2 აპრილს მიცემულ სიგელში.
12. უქვთიმე, მოხსენიებული მოსამართლეთა: ოთარ, გივი, შიომ, ლიპარიტ და ზაქარიას მიერ შედგენილ სასამართლო სიგელში. როგორც მრავალი სიგელიდან ჩანს, იგი 1700 წ. ცხოვრობდა.
13. ქრისტეფორე, მოხსენიებული მეფე ბაქარის სიგელში, რომლითაც ქვათახევის სავანეს ებოდა ამომწყდარი გლეხის ავთანდილ გორგიგანიძის მამული.
14. ბავლე, 1799 წელს ლუკების მიერ მოკლული. მისი გარდა ცვალების შემდეგ სავანე დაცარიელდა და მისი წინამძღვრები ბინალრობდნენ კავთისხევში, მათ მიერ აშენებულ ფუნდუქში, რომელიც დღემდე ცნობილია იდლეთის სახელით, ეს პატარა ეკლესია



იოანე ნათლისმცემლის დაბადების სახელმისაა. სახლიც და ეკლესიური მართვისაა. სიაც ჯერ კიდევ არსებობს კავთისხევში.

15. იოანე, მოხსენიებული სასამართლო სიგელსა (რაც შედგე-ნილია კათალიკოს-პატრიარქის გადწყვეტილების საფუძველზე 1746 წელს) და მეფე ერეკლეს მიერ 1764 წ. 12 მარტს მიცემულ ერთ სიგელში.

16. ანტონი, თავად თარხნიშვილების გვარიდან გამოსული, როგორც სიგელებიდან ჩანს, მცხოვრები 1743 წლიდან 1794—წლამდე.

17. ათანასე, თავად თარხნიშვილების გვარიდან გამოსული, გარდაცვალილი 96 წლის ასაკში, 1807 წელს, დასაფლავებულია კავთისხევში, ქვათახევის სავანის კავთისხევის ფუნდუკის იდლეთის ეკლესიაში.

18. დოსითონი, აზნაურ ფიცხელაურების გვარიდან გამოსული, რომელმაც ხელახლა დაასახლა ქვათახევის მონასტერში ბერძონაშენები, გარდაცვალებისას მთავარეპისკოპოსის წოდება ჰქონდა. გარდაიცვალა ქ. თბილისში და დასაფლავებულია ფერისცვალების მონასტერში, 1830 წელს.

19. ათანასე ალექსიშვილი, გარდაიცვალა მოსკოვში, უკანასკნელად მონასტრის წინამძღვრის წოდება ჰქონდა. იგი უკანასკნელი წინამძღვარი იყო ქვათახევის სავანისა, რომელიც 1821 წელს წმ. სინოდის ბრძანებულებით გააუქმდა და თბილისის ფერიცვალების მონასტერში გადაადგილეს საქართველოს ეგზარქოსის მიტროპოლიტ იოანეს დროს.

მეფეებისა და ქრისტიან თაყვანისმცემელთა მიერ შეწირულმა ტაძრის სამეაულთა სიძიდიდრემ ქვათახევის ტაძარი ქართლის პირველხარისხოვან სავანედ აქცია. მასზე ლუქებისა და ქრისტიანობის მტრების განუწყვეტელმა თავდასხმებმა გაანადგურა საუკუნეებით. დაგროვილი სამეაულები. თურქების ტყვეობაში შეწუხებული მეფე სიმონ პირველის გამოსასყიდად მარტო ქვათახევის სავანემ 70.000 მანეთზე⁸ მეტი ოქრო-ვერცხლის ნივთები გაიღო.

ამჟამად თბილისის ფერიცვალების მონასტერში ქვათახევის შემდეგი ხატები და ნაწილები მოიპოვება:

1. უწმინდესი ღვთისშობლის სატაძრო ხატი, ფიცრისა; რუსეთში წალებული იყო არჩილ მეფის მიერ, ჩამული იქროთი დაფერილი ვერცხლის ჩარჩოში და 1751 წელს აქ გამოგზავნილი.



გარშემო მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სახეებია. მარგალიტები ამოვარდნილია, მაგრამ როდის, გაურკვეველია.

ღვთისმშობლის მაღალხარისხოვანი ხატი, რომელზეც მარადი-
ული ბავშვია გამოსახული. იგი დახატულია კაკლის ხის ფიცარზე,
სივრცე 14 სანტიმეტრი აქვს, სიგანე — 9 სანტიმეტრი, ჩარჩო ოქ-
როთი დაფერილი ვერცხლისა. ძველი ქართული, ფრიად ფაქიზი და
სწორი ნაკეთობისაა. ჩარჩოს ნაპირებზე გამოსახულია მაცხოვრისა
და ღვთისმშობლის დღესასწაულები: წარწერილი აქვს ხუცური
ასოები. წმ. ხატის გვირგვინი შემქობილია ოთხი მსხვილი იაგუნ-
დით, რომელთა შორის ერთი ლურჯია და სამი —წითელი, ათი ფი-
რუზით და რვა მარგალიტით, სახის მრგვლივ 95 სწორად ასხმული
მარგალიტია. ხატის მეორე მხარეზე, ფიცარზე დაკრული ვერცხ-
ლის ჭვარზე წავიკითხე შემდეგი წარწერა: „ღრუბელო ნათლისაო
და კიდობანო სჯულისაო! მაყუალო შეუწუელო, რომელი გიხილა
მოსე, ჩუენ, ცუა-ფარვად ფრთხოა თქვენთა ქუეშე მოლტოლვილ-
მან დიდისა და სახელოვანისა მეფისა გიორგის თანამეცხედრემან,
სამის სახელმწიფოს სარდლის მიქელაძის ასულმან დედოფალმან
პატრიონმან ხუარეშან, ვინებე შემკობა შენი ყოველთა შემამკობე-
ლო, სასოებაო ჩუენო, ქუათახევის ღვთისმშობელო, რომელი ვიხი-
ლე ავაზაკთაგან განძურცვილი პირუელ და აწ მეორედ ჩვენ შეგამ-
ეთ პატიოსნად, რათა შემწე გვეყო წინაშე ძისა შენისა და მეუფი-
სა ჩვენისა.

ოდეს გამკობდი, მას უამს, მოიწია ჩუენ ზედა განჩინებული
სიკუდილი განსულა უხანოსა სოფელსა, აღვესრულე და არის. სა-
მარხო და განსასუენებელი ჩუენი წინაშე შენსა. დედაო, ნათლი-
საო, შენ შემწე მეყავ. ადამს აქეთ შვიდას ორას სამსა. ქორონიკონ-
სა ტბგ (383), აღვესრულე თებერვალს კდ. (24), დღესა კვირიაესა,
უამსა პირველსა.

მოიხსენე უფალო ხელოვანი გიორგი⁴.

ხატის ფიცარზე არის ლურსმების კვალი, რომლებითაც მიქე-
დილი ყოფილა ახლანდელზე უფრო დიდი ჭვარი და ნაპირებზე
ოთხი მახარობელი. ამ ხატის შემამკობელია მეფე გიორგი მეთერ-
თმეტის მეუღლე ხორეშანი, გარდაცვლილი, როგორც უკვე მო-
ვიხსენიეთ⁵, 1695 წელს.

წმინდა ნაწილებიდან დაცულია:

ა) წმ. წამებულის თავის ქალა, სხვათა მიხედვით წმ. თომასი.

ბ) წმ. წამებულის ევგენის თავის ქალა.

გ) მთავარ წამებულის და მძღვანელის გიორგის თეძოს ნაწილი.

დ) წმ. წამებულის დიმიტრის ხერხემლის ნაწილი.

ე) წმ. ნაშთების მცირე ნაწილები ვერცხლის პატარა კიდობანში, რომელზედაც ლეთისმშობელია გამოსახული. ეს წმინდა ნაწილები ინახება შიომღვიმის სავანეში, რომელიც ფერისცვალების მონასტერზეა მიწერილი.

პინაკი¹⁴, რომელზეც, გადმოცემით, შესრულებული იყო მაცხოვრის საიდუმლო ტრაპეზი, სიგრძე ერთ არშინზე მეტი აქვს, სიგანე ხუთი ვერშოკია, სისქე ნახვაზე ვერშოკამდეა, გარდა ამოზნეული არშიისა, რომელიც რამდენადმე უფრო სქელია. შემდეგში მთელი სინი დაფარული იყო თხელი ოქროთი და ვერცხლის ფურცლით, რომელზეც მოქედილი იყო ყვავილები და ფიგურები. ამათ შორის ჯერ კიდევ ჩანს ანგელოზის ფრთა და მოციქულთა სახეები (არშიაზე), მაგრამ დღისათვის დარჩენილია მხოლოდ პეტრე მოციქულის სახე: წარწერა ქართულია, მაშისადამე, სამკაული საქართველოშია გაკეთებული, დაფარულია თხელი ოქროვერცხლიანი ჩარჩოთი, მოციქულების ამოზნეული სახეებით. ფიცარები იმდენად ძველია, რომ ხელის შეხებით იფხვნება, ჩარჩო კი მოვარდილია. ეს სინი მთელი არ არის, ნახვარია. ეტყობა, ოვალური ფორმისა იყო. გადმოცემით, იგი საბერძნეთიდან, ბერძნთა მეფის ასულის, ელენეს მიერ არის მოტანილი. ელენე მეფე ბაგრატ კუროპალატის მეულე იყო.

მეთორმეტე საუკუნეშივე მეფე დავით აღმაშენებელმა ეს წმ. ნაწილი ქვათახევის სავანეში გადმოიტანა. 1735 წელს, ქართლში ლევების გაძლიერებული მხარცეველობის დროს, როდესაც ლევებმა მონასტერიც დაიკავეს და მთელი ქვათახევის ხეობაც, წმინდა ნაწილები მთის ერთ გამოქვაბულში, მონასტრის ახლოს იყო დამალული.

წინამდვარი დოსითეონი დაახლოებით 1809 წელს, ძველი გადმოცემების მიხედვით, ეძებდა მას. იგი ბერძებმა აღმოაჩინეს პატარა გამოქვაბულში, რომელიც ძალიან ოსტატურად იყო გარედან ქვებით ამოვსებული.

ასე შეეხება ამ სალოცავის სიძველეს, ამის შესახებ, მე ამოვ-წერ მისი შემსწავლელის ა. ნ. მურავიოვის მჟევრმეტყველურ სიტ-ზ. პოსელიანი

კვებს: „ფრემპროთალი ფიცირის სიძველე, თითქოს დროით გაცილენდა თილისა, მოწმობს წმ. სინის სიძველეს... უკეთუ, დროის სიმუშავით და ქვეყნის უბედურ გარემოებათა გამო, დაიკარგა ინ მონასტრის რომელიმე გაურკვეველ აქტიში ინახება ამ ფასეულობის შესახებ წერილობითი საბუთები, მაინც არა გვაძეს მიზეზი დავეპლეთ, ჩვენ დრომდე შემონახულ ღვთისმოსავ გადმოცემაში. იმდენი ბერძნული სალოცავი იყო გადმოტანილი საქართველოში, ბერძენთა მეფეების ასულებთან მის მეფეთა და უფლისწულთა ქორწინებათა გამო (და თვით მეფეებიც ასეთ ფასტულობებს ოქრო-ვერცხლზე მეტად იძნებნენ), რომ არაფერი არის დაუჯერებელი, რომ ძვირფასი სალოცავი თბილისში არსებობდა. ქვეყნის მოქცევის დასაწყისშივე განა არ გამოუგზავნეს მეფეს ქალაქიდან ჯვრის ლურსმები და მისი, ე. ი. ბაგრატ დიდის, დავითისა და თამარის დროს, ძალიან ბევრი წმინდა ნივთი არ შეხვდა საქართველოს მემკვიდრეობით? და სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მან მოახერხა მათი დაცვა, მიუხედავად მონღოლთა, თემურლენგისა და სპარსელთა შემსევების ცველა საშინელებისა“.

ტაძრის ზოგ სიგელში ქვათახევის ხატი დასახელებულია ვლა-
ხერნისად¹². ამჟამად ძნელია დადგენა, რისთვის დაარჩევეს მას ისე-
თი სახელი, იმისათვის, რომ იგი იმ ტაძრის ღვთისმშობლის ხატის
ასლი იყო, კონსტანტინეპოლში იმპერატორმა მარკიანემ და პულ-
ხერიამ 451 წელს რომ ააშენეს ვლახერნის ყურეს ნაპირზე, თუ იმი-
სათვის, რომ მისი ნიმუშით ააშენა მეფე დავით მესამემ ქვათახევის
ტაძარი. ერთსაც და მეორესაც ის საფუძველი აქვს, რომ საქართვე-
ლოში ბევრი ტაძარია აშენებული საბერძნებისა და პალესტინის
ტაძრების მსგავსად და დღემდე შენახულია სახელები: იტრიისა¹³,
ოლიმპიისა¹⁴, იკონიისა¹⁵ (ოქონისა), სიონისა¹⁶, გეთსიმანისა¹⁷, ბეთ-
ლუმისა¹⁸, ანტიოქიისა¹⁹, ბეთანიისა²⁰, ლავრისა²¹ და სხვ.²²

ლოთისმშობლის სამოსლისაგან უწიდესი სასწაულმოქმედება-
ნი, აგარიანებისა და სარკინოზების მიერ მეშვიდე საუკუნეში
განცდილი სასწაულმოქმედი ძალა, ხოლო მეცხრე საუკუნეში რუ-
სი²³ რაინდების ასკოლდისა და დირის მიერ, და შემდეგ—ეკლესია-
ში ღვთისმშობლისათვის მიძღვნილი ე.წ. ღაუგდომელის²⁴ მაღალი
გალობის შემოღება, კეთილმორწმუნე მეცეს საბაზს აძლევდა სა-
ჭარველოში კლახერნის ღვთისმშობლის ტაძარი აეგო.

ძელი გადმოცემა, თუმცა იგი წერილობით საბუთს არ ემყა-



რება, გვარშმუნებს, რომ ქვათახევის ჩინებული ტაძრის საძირკველ-^{ეროვნული მუზეუმი} ში ჩაყოლებული ღვთისმშობლის სამოსლის ნაწილი, დედოფლის მიერ კონსტანტინებოლიდან არის ჩამოტანილი, როგორც სხვა სა-ლოცავი და სამეფო ძვირფასეულობათა დამაგვირგვინებელი.²⁵

სამხედრო დროშებზე გამოხატული ეს ხატი მეფე დავით მესა-მის დროიდან წინ უძლოდა ჯარს გამარჯვებისაკენ, დასავლეთ ქარ-თლის ქრისტიანული რაზმის ლაშქრობა ქვათახევის მონასტრის ხა-ტითურთ, ხალხისა, სამშობლოსი და ქრისტიანობის დაცვის დიად საქმეში ნაჯურთხევი იყო აკაფისტის კითხვით.²⁶ ღვთისმშობლის ასეთივე საგალობელი საბერძნების იმპერატორთა მიმსგავსებით, სრულდებოდა მეფეთა სასახლეშიც, განსაკუთრებით ხალხის უბე-დურებათა შემთხვევაში, ან მტრებზე გამარჯვების საზემო დღე-ებში.

თემურლენგის რაზმის მიერ დედაბეჭ-მონაზენების დახოცეს შემდეგ, არც ერთ ქალს არამცუ ტაძრში, არამედ თვით მონას-ტერშიც არ შეეძლო შესვლა. საერთო გადმოცემით, რაც დავით გა-რეჯის უდაბნოს წინამდვარმა ხუცესმა ითანებ დაადასტურა, ამ ჩვეულებას მტრიცედ იყავდნენ 1796 წლამდე. მონასტრიდან ერთი კილომეტრის დაშორებით მიჩვენეს ნანგრევი ქვის კედლისა, რომ-ლითაც ტაძრის მოედანზე შესასვლელი იღობებოდა და რომელ-ზეც არ დადგმულა არც ერთი მღლოცველი ქალის ფეხი. თემურ-ლენგის მიერ მონაზენების საზარელმა ამოწყვეტამ ქრისტიან ქა-ლების დაუბადა აზრი, რომ ისინი არათუ სავანეში ცხოვრებისა, არა-მედ მასში მისვლის ღირსნიც კი არ იყვნენ. სამაგიეროდ, კედელ-თანვე, თემურლენგის შემდეგ, დაახლოებით 1488 წელს აშენებულ იქნა ნიში, სადაც ისინი ჩერდებოლნენ და ლოცვებს სწირავდნენ ღვთისმშობლის ქვათახევის სასწაულმოქმედ ხატს.

თვით მოედანზე, ტაძრისაგან 30 საეკნის მანძილზე, ჩანს პირ-ველყოფილი, დედათა სავანის სენაკების საძირკველი, ასეთი სენა-კი, ნაგებობათა საძირკველების მიხედვით, ოცამდე ითვლება. მათი სწორი რიგი, მთის ფერდობზე განლაგებული და ხეივნით დაჩრ-დილული ამეამად ხშირი ტყით არის დაფარული. ამ ძველ ხეივნის თავზე მოჩუხხებებს ანკარა წყარო, რომელსაც მხოლოდ მენახირ-ნი ამღვრევენ, ტაძრის ირველივ საქონელს რომ აძოვებენ. მათგან მოშორებით ჭერ კიდევ დევს ოდესლაც განთქმული ზეთსახდელი ქვის ბორბალი.

მთელი საქართველოს თვითმპყრობელობის ეპოქაში მეფე და
ვით მესამის, თამარ მეფისა და ალექსანდრე პირველის დროს სრულად
ტაძარი იერარქიული რიგით, საარქიმანლრიტთა შორის პირველ
ადგილზე იდგა. ქართლისა და კახეთის სამეფოდან დანარჩენი სა-
ქართველოს გაყოფის შემდეგაც კი, ქვათახევის წინამდღვარი, სახე-
იმო შემთხვევების დროს შუამთისაზე წინ იდგა. შუამთის მონას-
ტერი ხომ კახეთში მოძღვართ-მოძღვრად²⁷, ანუ, სწორი გამოთქ-
მით, პირველხარისხოვნად ითვლებოდა. იერარქიული წესის ასეთი
უფლება განმეორებულია უკანასკნელი მეფის—გიორგი მეცამეტის
დაკრძალვისას 1800 წელს, ქვათახევის, წინამდღვრის ათანასეს პი-
რით, რომელსაც მთელ საქართველოში უკანასკნელი იერარქის ნი-
კოზის ეპისკოპოსის შემდეგ პირველი ადგილი ეყავა.

ამ ტაძრის ბიბლიოთეკის წიგნებიდან ჩვენამდე არაფერი შენა-
ხულა. რამდენიმე ასეული წიგნი, ძველად კავთის ერთ-ერთი მთის
გამოქვაბულში დამალული და XIX საუკუნის დასაწყისში ნაპოვნი
ტაძრის სხვა ფასეულობებთან ერთად, სინესტისაგან სრულიად და-
ფერფლილი აღმოჩნდა. გადარჩა ბერების მიერ შენახული სამო-
ნასტრო სიგელები. დაწერილია პერგამენტსა და გაზეთილ ქაღალ-
დებზე... მათგან უძველესი 1432 წლისა, ყველა სიგელი შეგროვი-
ლია 1818 წელს საქართველოს ეგზარხოსის მიტროპოლიტ თეოფი-
ლაქტიეს მიერ და ჩაბარებულია სინოდის კანტორაში. ზოგი მათგა-
ნი ფრიად მნიშვნელოვანია ისტორიისათვის, ამიტომ აქ მათ მოკ-
ლე მიმოხილვას მოვიყვან.

1

მეფე ერეკლე პირველის, მისი მეუღლის — დედოფლის ანას
და შვილების: დავითის, კონსტანტინესი და თეიმურაზის სიგელით,
რომელიც გაცემულია 1703 წელს 26 აპრილს, განახლებულია მე-
ფეთა უწინდელი შეწირულებანი ქვათახევის ღვთისმშობლის ტაძ-
რისათვის. მეფის მიერ ძეელი სიგელების გასინჯვას ესწრებოდნენ: კათოლიკოსი ევლემოსი, ქართლის ეპარქიების ეპისკოპოსი, ქვა-
თახევის მახლობელ სავანეთა წინამდღვარნი, ქართლის თავადები და
ერისთავები. ამავე სიგელში მოთავსებულია ოაპი, ტაძრისათვის
შეწირულებათა აღნიშვნით. სულის მოსახსენებლად: მეფე კონს-
ტანტინეს ვაჟის ბაგრატ ბატონიშვილისა; მონაზონ ნინოსი; მონა-



ზონ მართასი; ეკატერინესი; ელენე დედოფლის გამდელისა; მეფე დემეტრეს დედის — დედოფალ გულაშარისა; თაბაბაგის ყვარყვარეს მეუღლის — ნესტან-დარეგანისა, რომელსაც ათაბაგი გაეყარა; ათაბაგ ამირსპასალარისა; ყვარყვარეს მეუღლის ნინოს ძმის კოსმასი; ვირშელის მეუღლის ვარდისახარისა; მარიამ დედოფლის გამდელის ნარისა; თამარ დედოფლის გამდელის ხალისისა; მეფე დემეტრესი, რომელმაც, დაავალდებულა თავისი ქვათახეველი გლეხება ყოველწლიურად გადახსადათ მისი მოხსენიების წირვა, რისთვისაც თავისუფლდებოლნენ ლაშქრობის ბეგარისაგან; ლუარსაბ მეფის გამზრდელისა, რომელსაც შეუწირავს ტაძრისათვის სავენახე ნაკვეთი; დიდი ზაზას შვილის თავად მერაბ ციციშეილი-ფანასკერტელისა (შეწირული გლეხების დავალდებულებით, რომ ყოველწლიურად, მოხსენიების დღეს, მოეტანათ ქვათახევის სავანეში ოთხის ჰური გორულის ჩარეკითა; თორმეტი კოფა ღვინო; ორი ზურგიელი; ყველა ჭიშის მუხუდო დიდი რაოდენობით; ერთი ლიტრი (9 ვირვანქა) თაფლის სანთოლი; გირვანქა საკმეველი და ორი ლიტრი (18 ვირვანქა) ზეთი საშუქებისათვის; თამარ დედოფლისა; მეფე ალექსანდრე პირველის სვინაქსარში ჩაწერილი წესით მისი და მრავალი სხვა პირების შესახებ (სამწუხაოდ ამ სვინაქსარს ჩვენამდე არ მოუღწევია, ისტორიისა და ქართველთა გვარებისათვის კი მას დიდი მნიშვნელობა აქვს); მეფე სიმონის, მისი მეუღლის ნესტან-დარეგანის, მათი შეილებისა და მმების; ზედგინიძეთა ასულის ღვათის მხევლის ასტრანდარისა, რომელსაც შეუწირავს სოფელ სველლეთის ერთი მესამედი ნაწილი; ქრისტეფორე საგინაშვილისა, რომელსაც ტაძრისათვის შეუწირავს მის მიერ ვამართული წისქვილი; მეფე გიორგი მეთერთმეტის მეუღლის დედოფალ ხორეშანისა.

ამ სიგელის ძალით საგანის გლეხებს ცვალებათ მუდმივად, რიგ-რიგობით, ოთხ-ოთხი კაცი გამოყონ ბერების ქეშიკებად (მსასურებად). ამ სიგელით ყველა ძველი სიგელი, გაცვეთის გამო, ჰქარგავს იურიდიული სიგელის ძალას. იგი დამტკიცებული მეფე ერეკლე პირველის, დედოფალ ანას, კათალიკოს ევდემოსის, და თანმიმდევრობით, შემდგომი მეფეების, მეფის გვარის წევრებისა და სხვა კარისკაცთა ბეჭდებით, სახელდობრ, მეფე თეიმურაზ მეორის, ერეკლე მეორის, ბატონიშვილის, შემდეგში მეფე გიორგი მესამეტის, ლეონის, ვახტანგის, ალექსანდრეს, ფარნაოზის, კათო-

ლიკოზ ანტონ მეორის, სახლთუხუცესის... თბილისის
დავითისა და სხვათა მიერ.



2

ფანასკერტელი თავაღის ზაზას შეილის თავად მერაბ ციციშვილის დიპტიხი, მისთვის მიცემული ქართ. ქორონიკ. 250 წელს (1562 წ. ქრ. წ.) დამტკიცებულია კათალიკოს ბასილის და სხვების მიერ, რაც ძნელი გასარჯევია.

3

ბატონიშვილ გიორგის, შემდეგში მეფე გიორგი მეცამეტის, თავად ციციშვილის ქალის დედოფალ მარიამისა სასამართლო აქტი გაცემული 1794 წლის 16 ოქტომბერს, ქვათახევის სავანის კუთვნილი გლეხების შესახებ დავაზე.

4

სიგელი თავად ივანე შალვას ძე სოლოლაშვილისა, დავით მეფის უხუცესისა მწიგნობართ-უხუცესისა, გაცემული ქართული ქორონიკონით 207 წელს (1599 წ.), რომლითაც სავანეს შეეწირა გლეხები და ადგილ-მამული სოფელ კავთისხევში. ამ სიგელზე შემდეგია წარწერილი:

მე მეფემან დავით დავამტკიცე.

მე ქართლის კათალიკოსი ბასილი კანონითა ვამტკიცებ.

ესე მეფე-მეფის ძემან ლუარსაბ დაგიმტკიცე.

მე მეფეთ-მეფის ძემან ადარაზიან დაგიმტკიცე.

მე მეფეთ-მეფის ძემან რამაზ დაგიმტკიცე.

ამ სიგელში მოხსენიებულია მთავარმოწამე ლონგინოზის სახელ. ეკლესიაც. ეჭვი არ არის, რომ აქ იგულისხმება ქვათახევის ტაძრის ერთ-ერთი ის მკვიდრთაგანი, მხედარი ლონგინოზი, მკრთალად რომ არის გამოსახული ხელში ხმლით, უფლის ჭერის წინ.

დედა-მონაზონი ნინოს დიპტიხი, რომელსაც ვინმე ქაჩიბაძეს-
 თან ოჯახში უცხოვრია, შესრულებულია 1477 წ., ამით მონაზონ
 მართას მიერ შეწირულ გლეხებს ევალებათ წელიწალში ერთხელ
 შოთაშენიონ იგი ქვათახევის სავანეში, ან ყოველწლიურად ოც-ოც
 მარჩილი შეიტანონ.

დედოფალ გულაშარის დიპტიხი, გაცემული სავანის სახელზე,
1448 წ. აქედან ჩანს, რომ ის მამული, რომლის შეწირვისათვისაც
 უნდა მოეხსენიებინათ დედოფალი, მის მიერ 15.000 ვერცხლად იყო
 ნაყიდი.

რა იგულისხმებოდა თეთრის სახელწოდებით, რაც ხშირად
 შემხვედრია სხვა უძველეს საბუთებში, ჯერ გაურკვეველია, არსად
 არ ჩანს, რომ თეთრი საქართველოს სამეფოს რაიმე ფული იყო.
 რაც შეეხება დედოფალ გულაშარას, სხვა საბუთებიდან ჩანს, რომ
 იგი მეფე დიმიტრი მეორის დედა იყო.

აზნაურების მათესი და ბაღრის დიპტიხი, გაცემული სავანის
 სახელზე 1432 წ. მასში მოხსენიებულია მეფე კონსტანტინე მეორე,
 რომელსაც თავის ცხვრის ფარები ქვლივიძეებისათვის მიუნდვია.

მეფე ლუარსაბ პირველისა და მისი ძმების აღარაზიანისა და
 რამაზის სიგელი, მიცემული 1522 წ. 11 დეკემბერს, ქვათახევის სა-
 ვანის სახელზე. ამით სავანის ზოგი გლეხი სახელმწიფო გადასახა-
 დებისაგან თავისუფლდება.

მეფე როსტომის სამი სიგელი, გაცემული 1641, 1647 და 1653
 წლებში, გორის მცხოვრების ქვათახევის გლეხის გიორგი გორგი-

ჯანიშვილის სახელზე. ამ სიგელებით მეფეს ეკლესიისათვის მიუწოდება
ცია საწისქვილე ადგილი გორში.

გიორგი გორგიჭანიშვილი არის შვილი ქართველი ისტორიკო-
სია, რომლის ისტორიის დედანიც მე აღმოვაჩინე 1842 წელს და
შარვაზგინე მეცნიერებათა აკადემიაში. სავანის სიგელიდან ჩანს,
რომ ეს გვარი დაახლოებით 1684 წელს ამომწყდარა.

10

მეფე დავით მერვეს და მისი მეულლის, ხვარამზეს შვილის,
შატონიშვილი რამაზის სიგელი, მოუმული 1580 წლის 20 აპრილს.
ამით სავანეს შეეწირა სოფელი თელეთუბანი.

სიგელიდან ჩანს, რომ ღვთისმოსავი მეუღლენი მონაზნობაში
შევიდნენ პირველი—რომანოზის სახელით, ხოლო მეორე — ქრის-
ტინეს სახელით.

11

მეფე ერეკლე პირველი ნაზარ-ალიხანის რძლის თანათინისა და
შინი ვაჟის თომას სიგელი. წელიწადი მასზე აღნიშნული არ არის.

12

1568 წელს მამისი გაგანიძისა და მისი შვილების — გიორგი
და სუმბათის მძერ შესრულებული სიგელი, რომლითაც სავანეს
შესწირეს ტყვეობიდან გამოსყიდული შვიდი სული, რომელიც
თურქებისათვის მიუყიდიათ...

13

ბატონიშვილი ბაქარის ზეობის აღუნიშნავად. იგი საქართვე-
ლოში მეფობდა თურქების ბატონობის დროს, დაახლოებით 1728
წელს.

14

შეფე სიმონისა და მისი მეუღლის დედოფალ ნესტანის სიგელი,
შიცემული 1514 წლის 2 ოქტომბერს, რომლითაც მტკიცდება, რომ

ქვათახევის სავანეს ძველი დროიდანვე საკუთრების უფლება ჰქონდა და სოფლებზე — ქსოვრისა და იდლეთზე, იგი შემდეგში დამტკიცებულია მეფე როსტომის ბეჭდით.

15

1508 წლის 15 მაისს შალხა და ივანე ქვათარაშვილების მიერ ამირსპასალარი ყვარცვარეს მეუღლის ნესტან-დარეჯანის სახელზე გაცემული სიგელი, რომლითაც მას მიეყიდა ვენახი კავთისხევში.

16

სიგელი დედა ბარბარესი, რომელიც შიომღვიმის უდაბნოში ცხოვრობდა, შესრულებული თევდორე და სულთამონ კოტეტიშვილების მიერ, მიცემული 1518 წ. სიგელიდან ჩანს, რომ დედა ბარბარემ კოტეტიშვილებს 2 ათასი თანგი გადასცა და დავალდებულა, რომ იგი მოეხსენიებიათ ქვათახევის ტაძარში. ეს ფული — თანგი შეადგენდა აბაზის მეოთხედს, ანუ შაურს (ვერცხლით).

17

მეცე ალექსანდრე პირველის სიგელი, მიცემული 1442 წ., რომლითაც დაწყევლილი და შეჩვენებული არიან ქვათახევის სავანისაგან მისი საუკუნეებით დაგროვილი დოკატის წართმევის მცდელი; დამტკიცებულია თვითონ მეფის, დედოფლის თამარის, ბატონიშვილების — ვახტანგის, დიმიტრის, დავითის, ვიორგის, რამაზისა და კათალიკოს მალაქიას ხელმოწერით.

არის მისივე მეორე სიგელი, ჩვენამდე ნაჭრების სახით მოღწეული, დროის აღუნიშნავად. მასში სწერია, რომ ქვათახევის ტაძარი თემურლენგის მიერ აოხრების შემდეგ მისგან განახლებულია.

18

მეფე გიორგი მერვის სიგელი, გაცემული 1460 წლის 30 დეკემბერს, რომლითაც ქვათახევის სავანის მონაზვნები დავალებულნი არიან ილოცონ მისი სულის განსვენებისათვის, ყოვლად უშმინ-

დესი ღვთისმშობლის მიძინებისა, მთავარანგელოზისა და პეტრე-ზევლეს დღეებში. მეფის ხელმოწერა შემდეგია: „მეფემ გიორგიმ დავამტკიცე“.

სიძეელის გამო ამ სიგელს დასაწყისი არა აქვს და ნაპირები მოგლეჭილია.

19

სავანისათვის 1520 წლის 9 ნოემბერს დედა ნინოსთვის ერობაში ათაბაგ ყვარყვარეს ყოფილი მეუღლის ნესტან-დარეჯანის მიერ მიცემული სიგელი. მის მიერ შეწირულია კავთისხევის ხევთაშუა მდებარე ვენახი.

20

მეფე სიმონ პირველის, მისი მეუღლის დედოფალ ნესტან-დარეჯანის, მათი შვილების გიორგისა და ლუარსაბის და მათი მმების: მეფე ვახტანგისა და ალექსანდრეს სიგელი, გაცემული სავანის სახელზე 1567 წლის 12 ივნისს. ამ სიგელით შეწირულია სოფელი სველნეთი, მეფის სიკვდილის შემდეგ მის მოსახლესნიერბლად. ჩამოთვლილნი არიან მეფისა და მისი სახლის ჭევრნი, აგრეთვე წარწერილია: „ჩვენ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოსი პატრიარქი ნიკოლოზ კანონითა ვამტკიცებ“.

21

სასამართლო გადაწყვეტილება სახლოუხუცესის პაპუა სარდლის, ქაიხოსროს, ავთანდილ მოურავისა და სხვ. მსაჭულთა დაწერილი 1700 წლის 19 ნოემბერს, სოფელ სველნეთში სადაო აღგილების თაობაზე, რომელსაც ითვისებდნენ გორგიგანიძეები, მასში მოხსენიებულნი არიან: ავთანდილ-ბეგი, ქართველი ისტორიკოსი გიორგი გორგიგანიძის შვილი, კათალიკოსი ქრისტეფორე, ავთანდილ — დიდი მოურავის თავად თარხნიშვილის შვილიშვილი და წინამძღვარი ონოფრე.

მეფე ერეკლე პირველის ბრძანება თარიღის აღუნიშნავად.
 მასში მოხსენიებულია ულუმბოს ეკლესიის პირველხარისხოვანი
 წინამძღვარი თავად არავის ერისთავთა გვარიდან.

სიგელი შატბერაშვილებს შეწყნარების თაობაზე, თარიღის
 აღუნიშნავად. მასში მოხსენიებული არიან წინამძღვარი ექვთიმე,
 ობილელი მიტროპოლიტი დომენტი, ბოლნელი ეპისკოპოსი მაქსი-
 მე და წინამძღვარი ონოფრე. ქვათახევში ექვთიმეს წინამძღვარო-
 ბის დროის მიხედვით ჩანს, რომ სიგელი დაწერილია დაახლოებით
 1700 წელს.

მეფე ერეკლე მეორის სიგელი მიცემული წინამძღვანი ანტო-
 ნისათვის თავად თარხნიშვილების გვარიდან 1746 წლისა, კახეთის
 მსაჯულებისადმი ბრძანებით, რომ დაიცვან ქვათახევიდან ნაფარე-
 ულში გადასახლებული 60 კომლი გლეხი.

კათალიკოს ანტონ პირველის სიგელი, გაცემული 1743 წ. კავ-
 თის ეკლესიის დეკანზის ონოფრეს სახელზე, რომლითაც განახ-
 ლებულია დაძველებული სიგელი, მიცემული მისი მამის დეკანზ
 საბასათვის კათოლიკოს დომენტის მიერ. ამ სიგელში, რომლითაც
 კავთის ეკლესიას უმტკიცდება მამულები, მთავარმოწამე გიორგი
 ძლევის წმ. გიორგად იხსენიება.

მეფე გიორგი მეცამეტის ასულის — ბატონიშვილი სოფიის
 მიეკლი, დაწერილი, საეკლესიო დოკუმენტის ზოგი მიმთვისებლების
 მიმართ. აი, მისი ზუსტი შინაარსი:



„ვინ არიან ესენი, ვინც ასე თავხელურად აწყენინებჲ ქუმშეჭებ
გის სავანეს წინამძღვარს? როგორ არ ეშინიათ მათ მეუფისა? ვურცავ განსვენებულ მეფე გიორგის ცხედარს, არ დავტოვებ უცუ-
რადლებოდ მათს საქციელს. როგორ ბედავენ გამოუცხადონ ომი
ეკლესიას? თუ მართალი არიან, რატომ არ წარმოადგინეს მოწმენი
ან საბუთები? რატომ არ კმაყოფილდებიან გადაწყვეტილების სიგე-
ლით? საეკლესიო დოკუმენტის ისინი ვერ დაუუფლებიან“, და სხვ.

27

სინოდიკი, გაცემული მცხეთის ტაძრის მქადაგებლის არქიმან-
დრიტ ნიკოლოზ მაღალაძის მიერ, კავთისხევის ბეთლემის ეკლესი-
ის სახელზე 1618 წელს. ამით ეკლესიისათვის შეწირულ გლეხებს
ევალებათ, მისი და მისი მშობლების პატარის და სხვ. სულის მო-
სახესენებლად ყოველწლიურად მიიტანონ ეკლესიაში 12 ლიტრა ზე-
თი, 2 ლიტრა სანთელი და 1 ლიტრა საქმეველი.

მდიდარი შენწირებიდან, რაც უძველესი დროიდან ღვთისმო-
სავობით შეუწირავთ სავანისათვის, დღემდე ჩრდება მხოლოდ ად-
გილ-მამულები და გლეხები.

მამულების უდიდეს ნაწილში ვენახებისაგან შემდეგში ტყე-
ები აღმოცენდა და გაგარეულდა; დატაცებულ ადგილებზე დარჩე-
ნილი ვაზები და უძველესი კავლის ხეები, მთელი კავთისხევის ხე-
იბაში 10 კილოტონის მანძილზე, ხმაურიანი კავთურის ორივე ნა-
პირზე გაფანტული, მოწმობს, რომ ძველად აქ ბალები ყოფილა.
მთელი ეს ხეობა, მისი გეოგრაფიული მდებარეობით, ჩრდილოეთი-
დან დაცული მთაგრეხილის მაღალი კედლით, და ნათესებისა და
მებაღეობისათვის მდიდარი, ხელსაყრელი ადგილი დიდ სარგებ-
ლობას მოიტანდა სამეურნეო თვალსაზრისით, მაგრამ ვინ მოერევა
საუკუნოვან ტყესა და ბუჩქებს, მტკიცედ რომ გაუდგამს ფესვები
მთების ნაყოფიერ ფერდობებზე, სადაც მხოლოდ ახლახან მიიყვა-
ნეს მდ. კავთურა, კავთისხევისა და წინარების სოფლების ბალებისა
და ვენახების სარწყავად. რაც შეეხება ძველ მეფეთა მიერ სავანის-
თვის შეწირულ გლეხებს, ისინი ლექების მიერ საზარლად განადგუ-
რებული, აიყარნენ თავიანთი ადგილებიდან და გაფანტულად
ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იმისათვის, რომ
ლექების მახვილისაგან თავი დაეცვა, რომელნიც კავთისხევში და

მის გარშემო ადგილებში გლეხობას წყვეტდნენ, მეფე ერეკლე მეორე, XVIII საუკუნის შუაწლებში იძულებული გახდა, ისინი კახეთში გადაესახლებინა და დროებით სოფელ ნაფარეულში დაესახლებინა, თანაც სიგელი მიეცა, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე სავანის ახლოს დააბრუნებდა. სხვადასხვა ადგილებში გაფანტული გლეხების კომლთა რიცხვი 224-მდე აღწევს. მათგან 59 ამჟამად აღაზნის გარმა, ნაფარეულში ცხოვრობს, 70—კავთისხევში, 6—კურდელაურში, 9—თბილისში, 16—ბებნისში, 6—რუისში და სხვა ადგილებში.

შეიძლება მექამად, საყოველთაო შვიდობის უამს, ქვათახევის სავანის ის გლეხები, რომელნიც კახეთში ცხოვრების 102 წლის განმავლობაში ჯერ კიდევ ეველრებიან კავთისხევის ღვთისშობლის სახელს და დროგმოშვებით რამდენიმე დღით, აღთქმის შესასრულებლად, სალოცავადაც მიღიან სავანეში, კელავ მოინახულებენ წინაპართა ძვირფას სალოცავებს. ასეთივე გრძნობებით გამსჭვალული არიან სხვა გლეხებიც, რომელნიც სხვა შორეული ადგილებიდან შველის შესთხოვენ თავიანთ მამაპაპეულ სალოცავებს. რაი შვიდი წლის განმავლობაში მთელი კავთისხევის ადგილ-მამული სულ ისეტყვებოდა, კავთისხევში დარჩენილმა მოსახლეობამ ჩრდებითა და იმედით ღრმად გამსჭვალულმა, 1827 წელს მოსთხოვა სასულიერო წოდებას, რომელმაც გაუქმებული სავანიდან ღვთისშობლისხატი თბილისში გადაეტანა, რამდენიმე დღით კავთისხევში მიესვენებიათ საკურთხევლად.

კავთისხეველ ღვთისმოსავთა სურვილი დღემდე სრულდება მათ სანუგეშოდ და მათი ნაყოფიერი მინდვრების საკეთილდღეოდ.

სავანის თვალწარმტაცმა ადგილებმა, ტაძრის სიმშვენიერებმ, წმინდა და მაღალმა ქრისტიანულმა მოგონებებმა, მისდამი საყოველთაო პატივისცემამ და განახლების აზრმა ქართული ეკლესიის ზოგ იერარქს ქვათახევის სავანის ნახვის სურვილი აღუძრა. ამ მიზნით, 1799 წელს, გაუქმებამდე გაცილებით ადრე, კათალიკოს პატრიარქმა ანტონ მეორემ ძლიერ მოახერხა ამ ხეობაში შესველა. აღელვებით ვისმენთ მხილველთა მოთხოვობას, თუ როგორ შევიდა ანტონი ტაძარში ფეხშიშველა, როცა ლეკების თავდასხმის მოლოდინში 500 მხედარი ახლდა. ამაღამ მიპარა თავის მთავარმოძღვრის მაგალითს. დაღესტნის ველური შვილები, ქართველების მტრები, ჯერ კიდევ დაეხეტებოდნენ ამ ადგილებში, ამიტომ შეწუხებულმა

ანტონშა ხელსაყრელ დრომდე გადაღო მონაზენებით სავანის კვლავ დასახლება.

საქართველოს ეგზარხოსმა, მიტროპოლიტმა იონამ სავანე 1826 წელს ინახულა. ბერ-მონაზენების სამყოფელად ამ ადგილის უპირატესობაში დარწმუნებულმა, მონაზონთა რიცხვის სიმცირის გამო, წინადადება მისცა ითანე ნათლისმცემლის უდაბნოს ბერებს, თუკი მოახერხებდნენ, გადმოსულიყვნენ. მაგრამ ბერებმა არ დატოვეს დიდი მოღვაწეობით სახელმოქმედების კლდეებს შორის მოთავსებული უწყლო წმ. ითანე ნათლისმცემლის სავანე, და ქვათა-ხევის მონასტერი დაუსახლებელი დარჩა.

ბოლოს, 1848 წლის 2 ოქტომბერს, საქართველოს ეგზარხოსმა ისილორემ, დიდი ყურადღებით რომ ეპყრობოდა თავისი სამრევ-ლოს ყველა ძეველ ძეგლს, დაათვალიერა ქვათახევის მთელი მიდა-მოები, თვით ქვათახევის ტაძარი და მშვენივრად აქოჩრილი საუკუ-ნოვანი ტყეები, რომლითაც დაფარული იყო სენაკები, გალავანი და მინაშენები. ამ დათვალიერების ნაყოფს მომავალი მოიმკის. მაგ-რამ ეგზარხოსმა უკვე უკველაფერი იღონა იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ერთი მოამაგის აზრს, რომლის სახელსაც, მისი თავმდაბ-ლობის გამო არ მოვიხსენიებთ²⁸, რომელიც მზად არის აღადგინოს ეს წმინდა ადგილი სავანედ. შეიძლება ამ სავანეზე აღსრულდეს წინასწარმეტყველის სიტყვები: „გამდიღრდებიან წითელი უდაბ-ნონი და სიხარულის შეიმოსებიან მთები“.

უ ა ნ ი ფ ა ნ ე ბ ი ა ნ

1. ამ მონასტრის ჩვენ დრომდე შემონახული სიგელებიდან ჩანს, რომ მთე-ლი ხეობა, სადაც სავანე მდებარეობს, უწინდელ მეფეთა მიერ მას ჰქონდა მი-კუთვნებული. ასევე, სხვადასხვა სიგელებით კუთვნოდა სხვა დასახლებებიც, და დაცარიელებულნი XVII—XVIII საუკუნეებში, სავანის ამ მამულებთან მო-მიჯნავედ XVI საუკუნის დამდეგს ფართო ადგილებს ფლობდნენ თავად თარხ-ნიშვილების წინაპარი დიძი მოურავი გიორგი სააკაძე და მისი შთამომავალი. მასევ შევეუთვნებოდა XVI საუკუნიდანევე ხოფელი ქავთისხევის ნაწილი. ქვა-თახევი, სხვა დაბებიანად შევიდა სათარხნოს სამულობელოში, ეს ჩანს მეცე როსტომის მიერ თავად ორამ თარხანისათვის 1652 წელს მიცემული სიგელი-დანაც, რომელშიც აღნიშნულია ქავთისხევის საგვარეულო მიწები და სამკვიდ-როები, აგრეთვე აზნაურ ჩივაძისათვის მიცემული სიგელიდანაც, რომელსაც მა-მულიც ჰქონდა და კლებებიც ჰყავდა. ამ თავადებს დღემდე მრავალი მიწა აქვთ მონასტრის გარშემო.

2. გადაწყვეტით ვერ ვიტუვით, დღევანდელი თავადი მაღალაძეები (მაღალაშვილი) არიან თუ არა ზემოთ ნახსენებ მაღალაძეთა შთამომავალნი.

3. ამავე გვარშე და გაუწვევილ ბერძნულ ასოებშე მოკლედ წერდა აკადემიკოსი ბროსეც, რომელმაც ჩემთან ერთად დათვალიერა ის ადგილი შარშან ლვინობისთვეში.

Bulletin Scienti II gae de lcademjé de S. B. № 27.

4. ამ ამბავშე წერენ შარდენი („საქართველოში მოგზაურობა“, ტ. 3, კარი 285) და ქართველი ისტორიკოსები.

5. ქართველი ისტორიკოსი ჩაუნა ორბელიანი წერს: „გარდაცვალა დედოფალი ხორეშანი, მეფე გიორგის მეუღლე. მისი გვამი წაასვენეს ქვათახვის მონასტერში“.

6. 1405 წლიდან.

7. დიდმოურავიანი, სტროც. 99.

8. 1601 წელს გარდაცვლილი მეფის ცხედარი საქართველოში ჩამოიტანეს და მცხეთის ტაძარში დაკრძალეს.

9. გვ. 98.

10. ამ დისებო აქვს ბერძნული სახელი პინაკი და მხოლოდ ამ სიტყვას ხმარდენ მისი მნიშვნელობის აღსანიშნავად. ეს მიუთითებს მის სიძველეშე, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მის ბერძნულ წარმოშობაზე.

11. საქართველო და სომხეთი (რუსულ ენაშე) ნაწ. III, გვ. 43 და 44.

12. ამ ტაძარში ინახებოდა ღვთისმშობლის სამოსელი. შეძენილი მეხუთე საუკუნეში, წმინდანი ძმების გალვისა და კანდიდის მიერ.

13. ზემოქართლში, იმერეთის საზღვართან.

14. ზემოქართლში, სოფელ ალის ახლოს. ამ მონასტერში დაკრძალულია სიახლელ გამათა ერთ-ერთი მოღვაწე მიხეილი.

15. ქ. გორში.

16. თბილისში, ატენსა და სხვა ადგილებში.

17. მცხეთაში.

18. ქავთურას ხეობაში.

19. მცხეთაში.

20. თბილისიდან ცხრა ვერსის დაშორებით.

21. ჩემ მიერ აღწერილი ქვათახვის მონასტრიდან შვიდი ვერსის სამხრეთათ.

22. საერთოდ ამ და სხვა ადგილების აღწერა, რომელთაც ბერძნული სახელები აქვთ, შეადგენს საგანგებო წიგნის საგანს.

23. ისტორიიდან ცნობილია, რომ აგარიანებისა, სარკინოშებისა და ასკოლ-ალისა და დირის მიერ კონსტანტინეპოლის ალყის დროს ღვთისმშობლის სამოსელი მრავალრიცხოვანი ხალხის ლოცვისას ჩავებული იქნა ბოსფორის წყალში. ამოგარდილი ქარიშხალი ღუპავდა ალყაშემორტყმული მტრების ფლოტს. ასკოლდი და დირი, რომელიც ცდილობდნენ მიზანტიის დამარცხებას, ღვთის განვებით დატორჩილნენ იქსო ქრისტეს, მიიღეს ქრისტიანობა და მისი მფარველობით დაასრულეს თავიანთი ცხოვრება. (იხ. კარამჭინის ისტორია, ტ. 1, შემთხვევა 284).

24. სინაკესი დიდმარხებისა მეხუთე კვირის შაბათს.

25. ამავე სამოსელის ნაწილი თავადმა ვასილ გოლიცინმა საბერძნეთიდან რუსეთში ჩამოიტანა და დღემდე ინახება მოსკოვის უსპენსკის ტაძარში.

26. აკაცისტის ქითხვა მიღენად გავრცელებული იყო ქართული ცელესის მხევლებს ზორის, რომ არ მოიპოვება სახლი, სადაც მისი რამდენიმე ცალი არ ყოფილიყო. აკაცისტებს მშობლები შეიტებს მზითვად ატანდნენ და პატარძლის ნივთების სიაში მას პირველი ადგილი ეჭირა. დვოისმოსავთა ეს ჩვეულება დღემდე შემონახულია. ამ მიზნით მეცე ვახტანგ მეგებეგმ, საქართველოში პირველი სტამბის დაარსებისთანავე, მხედრული ასოებით 5000 ცალი აკაცისტი დაბეჭდა, რომელთა ცალებიც დღემდე ბევრ ოჯახში შენახული. ამავე მიზნით მეცე ერებულებ მხედრული ასოებითი 1782 წელს დაბეჭდა 1500 ცალი აკაცისტი. რა სასარგებლო იქნებოდა, ცელების ასეთი დვოისმოსავთა ჩვეულება რომ დაგვიცვალელი აკაცისტებიდან, რომლებიც დღემდე შენახულია ხელნაწერების ხასით, ორია შესანიშვნავი. ერთი ის არის, რომლითაც ქეთევან კახეთის დედოფალი ლოცულობდა წამების დღემდე. ეს ცალი 1848 წელს ვნახე ქართველ ბატონიშვილ თეიმურაზთან. შემდეგ იგი, მის სხვა წიგნებთან ერთად, მეცნიერებათა საიმპერიის აკაციების საკუთრებაში გადავიდა. მეორე ცალი, ხუცური ასოებით ფაქიზად დაწერილი, უმცირესი ფორმატისა, მიმრეთის დედოფლის მარიამისა, მეორე სოლომონ მეორის მეუღლისათვის, მის მიერ ჩემთვის ნაბოძები 1885 წელს ხანკუტი. პეტერბურგში, როგორც ლოცვა სამსახურის გზაზე ჩემს მიერ მეცნიერების კურსის დამთავრების შემდეგ.

27. კახეთში მოგზაურობის ჩანაწერები. გვ. 140.

28. მთარგმნელის შენიშვნა: ეს პირი იყო მეცე გომირგი XII-ის შეილიშვილი ხოლო ბატონიშვილისა და ლუარსაბ თარხნიშვილის შვილი, ივანე თარხნიშვილი, რომელმაც თავისი სახსრებით მთლიანად აღადგინა ქვათახვეის მონასტერი.

ს ა რ ჩ ი 3 0

თანამდებობა — პლატონ იოსელიანის „ზოდი მოურავის გიორგისაძის ცხოვრება“, — შერილი	5
დიდი მოურავი გიორგი სააკადის ცხოვრება	13
შენიშვნები	58
ერთაშორის ტაძრის ოლქერა	71
შენიშვნები	81
ქვათახევის მონასტრის ოლქერა	95
შენიშვნები	110

რედაქტორი შ. ხანთაძე
 გამომცემლობის რედაქტორი ნ. ა გ ი ა შ ვ ი ლ თ
 მხატვარი ვ. გ რ ი გ თ ლ ი ა
 მხატვრული რედაქტორი ს. ც ი ნ ც ა ძ ე
 რეპნიური რედაქტორი თ. ნ ა თ ი შ ვ ი ლ ი
 კორექტორი თ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი
 გამომუშები თ. კაზალავი

გადაეცა წარმოებას 10/X-72 წ.
 ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/X I-73 წ.
 ქაღალდის ზომა $60 \times 841/16$, საბეჭდი № 2
 ნაბეჭდი თაბახი 6,74
 საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 5,7
 უ 00577. შეკვ. 239 ტირაჟი 5000



 გამომცემლობა „მერანი“
 რუსთაველის 42. თბილისი. 1973

Иоселиани Платон Игнатьевич

**Жизнь Великого Моурава
Георгия Саакадзе**

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»
Руставели, 42
Тбилиси, 1973



საქ. კვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

o 22 393.

26/45

